პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეათე

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ.
რედაქტორის . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო ბადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

სამშაბათი, 13 იანვარი 1931 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 11 (2966)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- გაიხსნა სამხრეთ უელსის მემაღაროეთა კონფერენცია.
- საუკეთესო მუშაკები — „სოიუზმიასო"-ს სისტემას.
- ინსტრუქცია საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ.

ამოვფხვრათ კონდრატიევშჩინის ფესვები საქართველოში

სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში დღითი-დღე ახალ გამარჯვებას პოულობს. პარტიის სწორი პოლიტიკის მეოხებით უკვე წარმატებით და სამუდამოთ გადაიჭრა სოციალიზმის სასარგებლოთ საკითხი „ვინ—ვის" მრეწველობაში. გასულ წელს გაფართოვდა სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორი საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების სახით, მთელ რიგ ადგილებში შესაძლებელი გახდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. საკოლმეურნეო მშენებლობის გაძლიერების გამო შეიქმნა კოლმეურნეთა მრავალმილიონიანი მასა, რომელიც მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხებთან ერთად პროლეტარიატის დიქტატურის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენს სოფლად. ეს კი შესაძლებელს ხდის სოციალისტური შეტევის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას კაპიტალიზმის ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის.

ყველა ამ მიღწევების მოპოვება პარტიას უხდებოდა და უხდება კლასობრივ მტრებთან გამწვავებულ ბრძოლაში, მომაკვდავ ექსპლოატატორულ კლასების გაფთრებულ წინააღმდეგობის პირობებში. მომაკვდავი კლასები სოციალისტურ მშენებლობას ებრძვიან ყოველგვარი საშუალებით. ისინი ამყარებენ მჭიდრო კავშირს უცხოეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ ძალებთან; და ჰქმნიან ერთიან ფრონტს პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმის მოსაწყობად, ინტერვენციის განსახორციელებლად, რომლისთვისაც მრავალი წელია იღწვიან პუანკარეები, დეტერდინგები და ნობელები. „სამრეწველო პარტიის" პროცესმა გამოამჟღავნა კლასობრივი მტრის მრავალგვარი მახინაციები, რომელთაც ის მიმართავდა ჩვენი სამეურნეო ძლიერების შესასუსტებლად და აშკარა მავნებლობით ცდილობდა ინტერვენციისათვის სათანადო პირობების მომზადებას. მსოფლიო კაპიტალიზმის და საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის აგენტები, მოკალათებულნი სხვადასხვა სამეურნეო და საგეგმო ორგანოებში, აწყობდენ მუშათა კლასის ღამუშევას და ამით ცდილობდენ უკმაყოფილების გამოწვევას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

„სამრეწველო პარტიას", კონდრატიეველები და მათთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მენშევიკები ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდენ კაპიტალისტურ ელემენტების გადასარჩენად დაღუპვისაგან, ხოლო ამისთვის ცდილობდნენ ხუთწლედის გეგმების ჩაშლას, ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ჩაფუშვას და მთელ იმედს კულაკურ მეურნეობების ზრდაზე ამყარებდენ.

ასეთია კონდრატიეველთა ხაზი, მათი სამოქმედო პროგრამა მთელ საბჭოთა კავშირში, მის ყოველ მხარეში, რადგან ერთიანია მთელ საბჭოთა კავშირში კლასობრივი მტრის ზრახვები და ამიტომ სწორად აღნიშნავს საქართველოს კომპარტიის ცეკას 2 იანვრის დადგენილება, რომ „ცდარია ყოველგვარი მტკიცება იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა საქართველოში არ არსებობს პირობები კონდრატიევშჩინის აღმოცენებისა და განვითარებისათვის. ასეთი მტკიცება „არსებითად წარმოადგენს კონდრატიევშჩინისათვის ხელის შეწყობას და კლასობრივი მტრის პოზიციის გაძლიერებას". მხოლოდ კონდრატიეველს ან მის პირდაპირ აგენტს შეუძლია იმის უარყოფა, თითქოს „კონდრატიევშჩინა შეუთავსებელია ქართული კულტურის და ეროვნული განვითარების ინტერესებთან". განა ამაზე მეტი შეგნებული მატყუარობა შესაძლებელია?, განა ეს კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ ბრძოლის შენელებას, მისთვის ხელის დაფარებას და გვერდში ამოდგომას არ ნიშნავს? ამას კი ამტკიცებენ ქართული მენშევიზმის ისეთი „ყოფილი" წევრები, როგორიცაა სეით დევდარიანი, თევზაია, იმნაიშვილი, რამიშვილი და სხვანი. როგორ ჰბედავენ ამის მტკიცებას კონტრ-რევოლიუციონური ქართველი მენშევიზმის ადვოკატები, იმ ქართველი მენშევიზმის, რომლის ღალატობა მუშათა კლასისადმი, მისი მჭიდრო კავშირი შავი რეაქციის ძალებთან, რიაბუშინსკებთან და დენიკინებთან საბოლოოდ დამტკიცებულია. რა სურთ ამით ამ „ყოფილ" მენშევიკებს? კონდრატიეველთა ნამდვილი ბუნების მიჩქმალვა. რას ამტკიცებენ არსებითად ამით ისინი? იმას, რომ კონდრატიევშჩინას და მენშევიკებს შორის განუყრელი კავშირი არსებობს, რომ მენშევიზმი კონდრატიევშჩინის ერთი-ერთი სახეობაა; ამით ისინი „ერთხელ კიდევ ამჟღავნებენ თავიანთ მენშევიკურ ბუნებას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვეულებისამებრ სპეკულიაციას ეწევა ეროვნულ ინტერესების დაცვაზე". (საქ. კომპარტიის ცეკას დადგენილებიდან).

ჩვენ, ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს პირობებში გვყავს კონდრატიეველები: ჭუმბურიძის, სავიცკის, გონჩაროვის, ავერბახის და სხვათა სახით. რომელნიც არაფრით არ განსხვავდებიან რუსეთის თუ უკრაინის კონდრატიეველებისაგან და საქმე გვაქვს კონდრატიეველთა ერთიან პროგრამასთან, რომელიც მიმართულია ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციისაკენ.

ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცეკას ხსენებული დადგენილება საჭიროდ სცნობს ბრძოლის მეტი აქტივობით გაშლას კონდრატიევშჩინის ადგილობრივი კუდების, აშკარა თუ ფარულ კონდრატიეველთა გამოაშკარავებისათვის, ამ თეორიის კონკრეტულ მატარებელთა გამომჟღავნებისათვის და მათი გავლენის ყოველგვარი ნასახის დაუზოგავად ამოწყვეტისათვის.

არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ იმას, რომ სპეციალისტთა უმრავლესობა ჩაბმულია სოციალისტურ მშენებლობაში და ეწევა ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. საჭიროა ასეთი სპეციალისტებისა და მეცნიერებისადმი ყურადღებით მიპყრობა და მათ შორის სათანადო მუშაობის გაშლა: საჭიროა, მეორეს მხრით, მუშაობის გაძლიერება პროლეტარულ წრიდან გამოსულ, საკუთარ საბჭოთა მეცნიერების და სპეციალისტების მოსამზადებლად, მუშათა არსებული კადრების კვალიფიკაციის ასაწევად და საერთოდ კადრების სწორად გასანაწილებლად. საჭიროა ყველა ფარულ და აშკარა კონდრატიეველთა, მათი ხელის შემწყობთა არა მარტო გამოაშკარავება, არამედ, როგორც ამას მოითხოვს საქ. კომპარტიის ცეკას დადგენილება, მათი დაუყოვნებლივ გაძევება ჩვენი სამეურნეო და საგეგმო დაწესებულებებიდან. ამასთანავე ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურებას სამეურნეო საგეგმო ორგანოებში, სადაც დღემდე მოკალათებული იყვნენ კონდრატიევის, ჩაიანოვის და ჭუმბურიძე-ავერბახის ტიპის „სპეციალისტები".

კონდრატიევშჩინის კონტრ-რევოლიუციონური ბუნების გამოსამჟღავნებლად ფართო მუშაობა უნდა ჩავატაროთ მუშათა მასებში, ყველა მსხვილ წარმოებასა და დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლე ახალგაზრდობაში და საბჭოთა სპეციალისტთა წრეებში. ამავე დროს დაუნდობელი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ ჩვენს პარტიაში მემარჯვენე-„მემარცხენე" გადახრების და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ, რადგან „მავნებლური ჯგუფი კონდრატიევის და სხვათა მეთაურობით იდეოლოგიურ და პოლიტიკურ დასაყრდენს პოულობდა ამ გადახრების ოპორტუნისტულ დებულებებში". ამიტომ, აქ კომპარტიის ცეკას 2 იანვრის დადგენილება პარტიულ ორგანიზაციებს წინადადებას აძლევს, რათა „კონდრატიევშჩინის და „სამრეწველო პარტიის" საკითხის დამუშავება დაუკავშირდეს ბრძოლას მემარჯვენე გადახრასთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, „მემარცხენე" გადახრასთან, კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტული იდეოლოგიის ნაშთების ყოველგვარ გამოხატულებასთან, სირცოვ-ლომინაძის ახლად მოვლენილ მემარჯვენე-„მემარცხენე" თვალთმაქცურ ბლოკთან და გადახრებისადმი შემარიგებლობასთან, აგრეთვე დიდმპყრობელურ შოვინიზმის, როგორც თანამედროვე ეტაპის მთავარი საფრთხის, ყოველგვარ გამოხატულებასთან, და ადგილობრივ ნაციონალიზმთან, რომელიც ძლიერდება კაპიტალიზმის წინააღმდეგ მთელ ფრონტზე სოციალიზმის გადამწყვეტ შეტევისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით". (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებიდან).

ჩვენ ვაშენებთ და ავაშენებთ სოციალიზმს

საბჭოთა კავშირის მეხუთე მოწვევის ცაკის მესამე სესია, რომელიც 10 იანვარს დასრულდა, საბჭოთა კავშირის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს ადგილს დაიჭერს: მასთანაა დაკავშირებული ხუთწლედის იმ მესამე გადამწყვეტი საკონტროლო ციფრების მიღება, რომელმაც უნდა დაამთავროს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება; მასთანაა დაკავშირებული ჩვენი საბჭოების ცხოვრების იმ ახალი პერიოდის დასაწყისი, რომელმაც უნდა მოახდინოს მათი მუშაობის გადაუგრელი გარდაქმნა და საბჭოები გადააქციოს პარტიის გენერალური ხაზის განხორციელების ნამდვილ ორგანოებად.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილად მშენებელი 161 მილიონი მშრომელის წარმომადგენლებმა ერთხმულოვნად მოიწონეს საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, მშვიდობიანობის მტკიცედ დაცვის პოლიტიკა, გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პოლიტიკა, მშრომელთა მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების პოლიტიკა. სესიამ საბჭოთა მთავრობას დაავალა მტკიცედ და გადაჭრით დაიცვას ყველა ქვეყნის მშრომელთა სოციალისტური სამშობლო ინტერვენტების და ჩვენი ქვეყნის შიგნით მათი აგენტურის თავდასხმისაგან.

სესიამ მუშათა კლასს და კოლმეურნეებს, ღარიბ და საშუალო გლეხობის მრავალმილიონიან მასებს მისცა კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის კონკრეტული გეგმა, გეგმა ხუთწლედის მესამე წლისა, რომლის განმავლობაშიაც შესრულებულ უნდა იქნას საკ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის და ცენტ. საკონტროლო კომისიის დეკემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილება საბჭოთა კავშირის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრების შესახებ.

ეს გეგმა ითვალისწინებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური ელემენტების სწრაფ ზრდას, განსაკუთრებით ჩამორჩენილ ნაციონალურ რაიონებსა და რესპუბლიკებში. ამ გეგმის განხორციელება ნიშნავს უდიდესი ნაბიჯის გადადგმას ლენინური ნაციონალისტური პოლიტიკის განხორციელების საქმეში, ნაციონალური უთანასწორობის ნაშთების აღმოფხვრის საქმეში.

სესიამ გადაჭრით დასვა საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულების შემოწმების საკითხი.

სესია უმნიშვნელოვანესი საფეხური იქნება პარტიის იმ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული გატარებისათვის, რომელთა მიხედვითაც საბჭოები ნამდვილად უნდა გარდაიქმნენ და თვითეული ქალაქის და სოფლის საბჭო გადაიქცეს ჭეშმარიტად ბოლშევიკურ ციხე-სიმაგრედ პარტიის გენერალური ხაზისათვის და მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შტაბად.

ცაკის მესამე სესიამ ჩვენს ქვეყანას მისცა 1931 წლის მთლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმა,—გეგმა, რომელშიაც გაშლილია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და საფინანსო მეურნეობის ამოცანები. მარტო ეს გარემოებაც კი ანსხვავებს ამ წლის გეგმას წინანდელი წლების საკონტროლო ციფრებისაგან. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სახალხო მეურნეობის ის ბუმბერაზული, ჭეშმარიტად გაუგონარი და მხოლოდ სოციალისტური მშენებლობის ქვეყანაში წარმოსადგენი გაქანება, რომელიც ხუთწლედის მესამე და გადამწყვეტი წლის მთლიან გეგმაშია დასახული,—გაქანება, რომელიც საგრძნობლად აღემატება ხუთწლედის პირველი ორი წლის ტემპებს.

საკმარისია რამდენიმე ძირითადი ციფრი მოვიყვანოთ რომ ეს ნათელი გახდეს.

სახალხო შემოსავალმა მიმდინარე წელს უნდა მიაღწიოს 49 მილიარდ მანეთს (1926-1927 წლის ფასებით), რაც მხოლოდ 700 მილიონითაა ნაკლები იმ სახალხო შემოსავალზე, რომელიც ნავარაუდევია ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის.

კაპიტალისტურმა დაბანდებებმა სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში 1931 წელს უნდა მიაღწიონ 17 მილიარდ მანეთს, 1930 წლის 10 მილიარდის ნაცვლად.

სოციალისტური მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოებზე და ელექტროფიკაციაზე გათვალისწინებულია 7.470 მილიონი მანეთის დახარჯვა.

მთელი სახელმწიფოებრივი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1931 წელს უნდა გაიზარდოს 45 პროცენტით, 1930 წელთან შედარებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სამრეწველო წარმოების ხუთწლიანი გეგმა შესრულებული იქნება 79 პროცენტით, ხოლო მძიმე ინდუსტრიის დარგებში—98 პროც.

1931 წელს მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უნდა გაიზარდოს 2 მილ. კაცით (14 მილიონიდან 16 მილიონამდე). კოლექტივიზაციის პროცენტი 1931 წელს აყვანილ უნდა იქნას საშუალოდ 50-მდე, ხოლო მარცვლეულის უმნიშვნელოვანეს რაიონებში კოლექტივებში უნდა გაერთიანდეს გლეხურ მეურნეობათა 80 პროცენტი.

მთლიანმა საფინანსო გეგმამ თავი უნდა მოუყაროს მთელი სახალხო შემოსავლის ორ მესამედს და უნდა მოახმაროს იგი სოციალისტურ მშენებლობას.

ამ ბუმბერაზული გეგმის შესრულებას უზრუნველჰყოფს პროლეტარიატის, კოლმეურნეთა და ყველა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა, რომელიც დღითი დღე იზრდება, სოციალისტური შრომის ახალი ფორმებისა და მეთოდების გავრცელება და სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატება, რომელიც მიღწეულ იქნა ხუთწლედის პირველ ორ წელიწადს ჩვენს ქვეყანაში. ამ წარმატებას ჩვენ მივაღწიეთ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, მისი გენერალური ხაზის საფუძველზე, დაუზოგავი ბრძოლით კლასობრივ მტერთან და მის აგენტურასთან—მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმთან, იმ ბრძოლით, რომელმაც უზრუნველჰყო გლეხობის ძირითადი მასების გადასვლა სოციალიზმის მხარეზე.

ამ გეგმის შესრულებას უზრუნველჰყოფს ჩვენს ქვეყანაში უკვე შექმნილი მძლავრი მატერიალური ბაზა, რომელიც თანდათან იზრდება და მაგრდება.

ეს გეგმა აშკარად ცხადჰყოფს, თუ რა განსხვავებაა ტროცკისტულ და მემარჯვენე ოპორტუნისტულ „ქვემავალ მრუდესა" და განვითარების ბოლშევიკურ მრუდეს შორის, რომელიც თავის აბსოლუტურ და შედარებით გამოხატულებაში გვიჩვენებს შეუჩერებელი ზრდის მკაფიოდ გამოხატულ ტენდენციას.

ეს ტენდენცია დამახასიათებელია აგრეთვე მთლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის იმ მაჩვენებლებისათვის, რომელნიც შეეხებიან მუშათა კლასის კეთილდღეობის ზრდას და მშრომელთა საარსებო პირობების გაუმჯობესებას, რასაც, სხვათა შორის, ყველაზე უკეთ ამტკიცებს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის შეუჩერებელი ზრდა.

ეს გაუმჯობესება შესაძლებელი გახდა მხოლოდ პარტიის მიერ აღებული კურსის წყალობით მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის და ქალაქად ბრუნვასა და წარმოების სფეროში კაპიტალისტური ელემენტების შევიწროვების კურსის წყალობით. პარტიის სწორედ ასეთი კრიტიკის შედეგად ჩვენ მივაღწიეთ სახალხო შემოსავლის გადამწყვეტ გადანაწილებას მშრომელთა სასარგებლოდ, პირველ რიგში—პროლეტარიატისა და კოლმეურნეების სასარგებლოდ.

მთლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმა უაღრესად გამოხატავს ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და ყველა დროებითი სიძნელეების უსწრაფესი გადალახვისაკენ; სიძნელეების, რომლებსაც ჩვენ ჯერ კიდევ განვიცდით მეცხოველობის პროდუქტებით და დეფიციტიური სამრეწველო საქონლით ჩვენი ქვეყნის მომარაგების საქმეში.

ამგვარად, მთლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმა წარმოადგენს ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში საბოლოო შესრულებისათვის ბრძოლის გეგმას. „დაიმახსოვრეთ შემდეგი,—ამბობდა ამხ. მოლოტოვი თავის საბოლოო სიტყვაში, ცაკის მესამე სესიაზე,—1931 წლის დავალებათა განხორციელება ნიშნავს ხუთწლედის ოთხ წელიწადში აუცილებლად განხორციელებას".

ამოცანებს, რომლებიც მთლიანი სახალხო სამეურნეო გეგმით დასახულია ჩვენი მრეწველობისათვის, კერძოდ მეტალურგიულ, სათბობ და სამანქანათმშენებლო მრეწველობისათვის, ამოცანებს, რომელნიც დაკავშირებულია მრეწველობის სხვანაირ გეოგრაფიულ დანაწილებასთან,—საგრძნობი ცვლილებები შეაქვს კავშირის ჩამორჩენილ რესპუბლიკების, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რესპუბლიკების მეურნეობის სოციალურ და ეკონომიურ ხასიათში.

მთელი საბჭოთა კავშირის უსწრაფესი ინდუსტრიალიზაციის მთლიანი სახალხო სამეურნეო გეგმა, როგორც ჩვენ აღნიშნული გვქონდა, ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის ჩამორჩენილ ნაწილების კიდევ უფრო სწრაფ ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ ის ციფრები, რომელნიც ახასიათებენ საბჭოთა კავშირის ცალკე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას. ისეთ მოწინავე რესპუბლიკების ბიუჯეტები, როგორიცაა რ.ს.ფ.ს.რ. და უ.ს.ს.რ., მიმდინარე წელს იზრდებიან 30-32 პროცენტით, უზბეკისტანის ს.ს.რ. ბიუჯეტი—61 პროცენტით, თურქმენისტანის ს.ს. რესპუბლიკის—87 პროცენტით, ტაჯიკისტანის—108 პროც. საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიამ განსაკუთრებით აღნიშნა ჩამორჩენილ რესპუბლიკებში სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპების დაჩქარების აუცილებლობა, რაც წარმოადგენს ლენინურ-ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების მაგალითს.

გარდა ამისა, გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების მაქსიმალურ განვითარებას კავშირის ცალკე რესპუბლიკებში და ახალი სამრეწველო ბაზების შექმნას საბჭოთა კავშირში. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საბჭოების ქვეყნის ჩამორჩენილ ნაწილების შემდგომი განვითარებისა და მათი უსწრაფესი ინდუსტრიალიზაციისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ ამ ბუმბერაზული ამოცანების შესრულება მოითხოვს მთელი სახელმწიფო აპარატის და თვითეული მისი ნაწილის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას, თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის გაძლიერებას მისთვის მინდობილ საქმისათვის. ჩვენი აპარატი, რომლის გაუმჯობესებაში პარტიის მიერ ბიუროკრატიზმთან საბრძოლველათ გადაჭრილი კურსის აღების წყალობით, წმენდისა და თვითკრიტიკის გადამჭრელი გაშლის წყალობით ჩვენ საგრძნობ წარმატებებს მივაღწიეთ,—ეს აპარატი ჯერ კიდევ დაავადებულია მრავალი ნაკლით და ბიუროკრატიული სენით. ბიუროკრატიზმთან შემდგომი ბრძოლა წარმოუდგენელია, თუ ჩვენ არ ვაწარმოეთ თავიდან ბოლომდე საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულების მეტად გულდასმითი და სისტემატიური შემოწმება. შესრულების შემოწმება ჩვენ საშუალებას მოგვცემს შევამციროთ უდიდესი ზედნადები ხარჯები, რომლებიც სოციალისტურ მშენებლობას აწევს საბჭოთა აპარატის მოუქნელობისა, უმოძრაობისა და ბიუროკრატიზმის გამო. სესიამ მოიწონა შესრულების კომისიის შექმნა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან. ამ კომისიის შექმნა მკვიდრ საფუძველს უყრის ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური მშენებლობის გეგმების განხორციელების შემოწმებას, მთელი საბჭოთა აპარატის პასუხისმგებლობის და ბოლშევიკური გარკვეულობის განმტკიცებას. „ფაქტიური შესრულების შემოწმება,—ამბობდა ამხ. მოლოტოვი ცაკის სესიაზე,—უნდა გადაიქცეს უმნიშვნელოვანეს ბერკეტად სახ. აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად".

სოციალისტური რეკონსტრუქციის ბუმბერაზული ამოცანები მოითხოვენ საბჭოების მთელი მუშაობის არსებით გაუმჯობესებას, საბჭოების, რომელნიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ მუშების და გლეხების ათეულ მილიონებს.

ხუთწლედის მესამე წლის ამოცანები განხორციელებული იქნება მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების მონაწილეობით, მათი პოლიტიკური აქტივობის ამაღლების გზით: მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის ლიკვიდაცია, საფინანსო-სამრეწველო გეგმების შესრულება, სოციალისტური მეურნეობის საფინანსო ბაზის განმტკიცება,—ყველაფერი ეს მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული მშრომელი მასების აქტივობის ზრდასთან. ამ დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოების მუშაობას, რომელნიც ჯერ კიდევ ჩამორჩებიან რეკონსტრუქციის პერიოდის მოთხოვნებს. საბჭოების არჩევნებმა, რომლებიც ახლა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იშლება, პირველ ყოვლისა უნდა გამოიწვიოს საბჭოების მუშაობის ძირიანფესვიანად გარდაქმნა.

„საბჭოების ახალი არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობა,—ნათქვამია საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის დეკემბრის პლენუმის რეზოლიუციაში საბჭოების არჩევნების შესახებ,—იმაში მდგომარეობს, რომ ახლანდელი არჩევნები უნდა გადაიქცნენ უმნიშვნელოვანეს საშუალებად საბჭოების მთელი მუშაობის არსებითი გარდაქმნისათვის, რეკონსტრუქციის პერიოდთან შეფარდებით გარდაქმნისათვის.

საბჭოების მუშაობის საჭირო გარდაქმნა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ გადიდდება საბჭოების, როგორც პარტიის გენერალური ხაზის გამტარებლების როლი, — ხაზის, რომელიც შეურიგებლად მტრულია როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე" ოპორტუნიზმის მიმართ. საბჭოების როლის ამაღლება პარტიის ლენინური პოლიტიკის პრაქტიკულად გატარებაში—ასეთია საარჩევნო კამპანიის ძირითადი პოლიტიკური ამოცანა".

საბჭოების საარჩევნო კამპანიის მსვლელობა გვიჩვენებს, თუ როგორ გაიზარდა მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ძირითადი მასების აქტივობა. როგორც წესი, ა[illegible] არჩევნებში მონაწილეობს მეტი პროცენტი, ვიდრე წინანდელ არჩევნებში. მასების აქტივობის ეს ზრდა შესაძლებელი გახდა იმ პოლიტიკის საფუძველზე, რომელსაც პარტია ატარებს,—მთელი ფრონტით გაშლილი სოციალისტური შეტევის, ბოლშევიკური ტემპებით სოციალიზმის მშენებლობის პოლიტიკის საფუძველზე.

ახალი საბჭოები ნამდვილად უნდა გადაიქცნენ ხუთწლედის განხორციელების საბჭოებად და მათ გადაჭრით უნდა აღმოფხვრან საბჭოთა პრაქტიკაში მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტული დამახინჯება. პირველ ყოვლისა—საბჭოების ხელმძღვანელ ორგანოების პრაქტიკაში. ახალ საბჭოებში უნდა უზრუნველვყოთ საუკეთესო დამკვრელების და კოლმეურნეების გადამჭრელი გავლენა, საარჩევნო კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარება, ბრძოლის უნარის მქონე, კლასობრივად გამობრძმედილი საბჭოთა ხელისუფლების რაიონული ორგანოების არჩევა, მთელი საბჭოთა აპარატის განახლება და გაუმჯობესება, ქალაქის საბჭოების პირით წარმოებისკენ მობრუნება—ასეთია ცაკის ახლად დამთავრებული სესიის ერთი უმნიშვნელოვანესი დირექტივათაგანი.

საბჭოების არჩევნებმა უნდა განამტკიცონ რაიონი, როგორც სოციალისტური მშენებლობის ძირითადი რგოლი სოფლად. ეს უმნიშვნელოვანესი კამპანია უნდა ჩავატაროთ ამომრჩეველთა მაქსიმალური დარაზმვის და შეუსუსტებელი პარტიული ხელმძღვანელობის საფუძველზე. არც ერთი კულაკი, მოკულაკო ოპორტუნისტი არ უნდა გავიდეს საბჭოებში.

ცაკის სესიამ დაადგინა—15 მარტისათვის მოწვეულ იქნას საბჭოების მე-6 სრულიად საკავშირო ყრილობა. ამ დროისათვის უნდა დამთავრდეს არჩევნები, უნდა დამთავრდეს საბჭოების რაიონული, საოლქო და რესპუბლიკანური ყრილობები, რათა საბჭოების მე-6 სრულიად საკავშირო ყრილობამ და მთელმა ჩვენმა ქვეყანამ შესძლონ უკვე მიღწეულ უდიდეს წარმატებათა რიცხვს მიუმატონ კიდევ ერთი გადამჭრელი წარმატება—საბჭოების ბოლშევიკური გარდაქმნა, საბჭოების გაწმენდა ოპორტუნისტებისაგან, რომელნიც ფარავენ კლასობრივ მტერს და მავნებელს, საბჭოების გადაქცევა მტკიცე ბოლშევიკური პოლიტიკის ნამდვილ ორგანოებად და ლენინური პარტიის გენერალური ხაზის განხორციელების ნამდვილ იარაღად.

„პრავდა", 11 იანვარი.

საკავშირო ცაკის მესამე სესია

მივსცეთ სოციალისტურ მშენებლობას მომზადებული მუშა-ხელი

საბჭ. კავშირის შრომის სახ. კომისრის ამხ. ციხონის მოხსენება

8 იანვარს საღამოს სხდომაზე სესიამ მოისმინა საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისრის ამხ. ციხონის მოხსენება სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლად მიღებულ ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელმა დასაწყისში მოიყვანა მთელი რიგი პარალელები, რომელნიც ახასიათებენ სამეურნეო და პოლიტიკურ მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებში და საბჭოთა კავშირში. კაპიტალიზმის ლპობას თან სდევს უმუშევრობის არაჩვეულებრივი ზრდა, ბურჟუაზიის გალაშქრება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის წინააღმდეგ, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, სიღარიბის განუწყვეტელი ზრდა და, როგორც შედეგი ყველა ამისა, მასიური გაფიცვები, რომელნიც აშკარა რევოლიუციონურ ხასიათს ღებულობენ.

ამავე დროს საბჭოთა კავშირში მოხდა უმუშევრობის საბოლოო ლიკვიდაცია, ხოლო მშრომელთა მდგომარეობა უმჯობესდება. ჩვენი სიძნელეები ზრდის სიძნელეებია, სოციალისტური მშენებლობის რევოლიუციონური ტემპების სიძნელეებია. სოციალისტური მშენებლობა თავის მხრივ დამატებით მოითხოვს უამრავ მუშა-ხელს, კერძოდ, კვალიფიციურ მუშა-ხელს. 1931 წელს საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებში უნდა გაიგზავნოს 800.000 მოზარდი, ამ სკოლების შიგნით უნდა მოხდეს 200.000 მოწაფის გადაჯგუფება და 118.000 მოწაფის გამოშვება ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის. საჭიროა, რომ წელსვე მომუშავე პროლეტართაგან 600.000 კაცი გადაყვანილ იქნას ზემოდ, კვალიფიკაციის კიბის ზემო საფეხურზე. შრომის ცენტრ. ინსტიტუტისა და სახელოსნო სკოლების შემწეობით უნდა მოხდეს 550.000 წერა-კითხვის უცოდინარის გადამზადება. დასასრულ, საჭიროა სეზონობით მომუშავეთა უდიდესი, ათმილიონიანი არმიის დარაზმვა, უმთავრესად სამშენებლო სამუშაოებისათვის და—1.600.000 ქალის ჩაბმა წარმოებაში, აქედან 600.000 ქალისა—სოფლის მეურნეობაში, კერძოდ საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში სამუშაოდ. ამ ბუმბერაზული პროგრამის შესრულება, დიდძალი თანხების დაბანდების გარდა, მოითხოვს შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების, პროფკავშირების, ყველა პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციების და მთელი მუშათა საზოგადოებრიობის მიბრუნებას პირით წარმოებისაკენ, პირით სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანებისაკენ.

შრომის სახალხო კომისარიატის ძველი ხელმძღვანელობა გაკოტრდა სწორედ იმიტომ, რომ იგი მხედველობაში არ ღებულობდა ჩვენს ქვეყანაში მოთხოვნილების ზრდას მუშა-ხელზე, რომ მას არ გააჩნდა კადრების მომზადების კონკრეტული გეგმები და მუშა-ხელის განაწილების გეგმები. ძალიან ვნებდა საქმეს სამეურნეო მუშაკების უმოქმედობა; სამეურნეო მუშაკებმა, რომელნიც მიეჩვივნენ მუშა-ხელის მიღებას, ვერ ისწავლეს ამ მუშა-ხელის გამონახვა უშუალოდ მშენებლობის ადგილას. თურქესტან-ციმბირის რკინის გზამ ბრწყინვალე ნიმუში მოგვცა იმისა, თუ როგორ უნდა შესრულდეს პარტიის დირექტივა ადგილობრივი ეროვნების წარმომადგენელთა ჩაბმის შესახებ პროლეტარიატის რიგებში. ეს გამოცდილება ყველამ უნდა შეითვისოს და გაატაროს ბოლშევიკური დაჟინებით და თანმიმდევრობით. შრომის სწორი ორგანიზაციისა და მთელი წარმოების რაციონალიზაციისათვის (ახალი მექანიზმების ასი პროცენტით გამოყენების ჩათვლით) საჭიროა სამეცნიერო დაწესებულებების მიღწევები, სანიმუშო საწარმოთა გამოცდილება პრესის საშუალებით გაოტანილ უნდა იქნას ყველა ჩვენს საწარმოებში. ბრძოლა მუშა-ხელის ცვალებადობასთან უსათუოდ უნდა დაუკავშირდეს ხელფასის პოლიტიკას; ხელფასი უნდა გადიდდეს ცხელ და მავნე საამქროებში, უნდა გადიდდეს აგრეთვე შრომის ყველაზე უფრო პასუხისმგებელ და მძიმე დარგებში. უნდა ხდებოდეს დამკვრელობის და სოცშეჯიბრების სისტემატიური წაქეზება მატერიალურად. ერთმმართველობა ყველგან სრული თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს. სწავლაში ჩაბმულებმა სწავლის პირველი დღიდანვე უნდა მიჰყონ ხელი პრაქტიკულ მუშაობას. იმ დირექტივების შესრულების შემოწმებაში, რომელიც შეეხება მრეწველობის უზრუნველყოფას კადრებით, ჩაბმულ უნდა იქნას საზოგადოებრიობა. ამ საზოგადოებრიობამ შრომის ორგანოების ირგვლივ უნდა შექმნას უფართოესი აქტივი, რათა მთლიანად შესრულდეს ხუთწლედი და უზრუნველყოფილი იქნას სოციალიზმის სრული აშენება ჩვენს ქვეყანაში.

კამათი ამხ. ციხონის მოხსენების ირგვლივ

სესიის 9 იანვრის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის ამხ. ციხონის მოხსენების ირგვლივ. შრომის პრობლემიდან გამომდინარე საკითხებმა მკვეთრი გამოხმაურება ჰპოვეს კამათში.

ამხ. ზელენოვა (უკრაინა) ამბობს: კადრების პრობლემის გადასაწყვეტად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის მექანიზაციის სწრაფი ტემპით ჩატარებას შრომის ტევადი კულტურების დარგში იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს განთავისუფლებული მუშა-ხელის გამოყენება სამეურნეო ფრონტის სხვა ნაწილებში.

ამხ. გასტევმა გააცნო სესიას მუშა-ხელის ის დიდი რეზერვები, რომლების მოცემაც შეუძლია შრომის სოციალისტურ ორგანიზაციას. ამხ. გასტევმა დაწვრილებით უამბო სესიას ის დიდი წარმატება, რომლის მიღწევაც შრომის ორგანიზაციის ახალი ხერხების წყალობით უკვე მოხერხდა საბჭოთა მრეწველობის სხვადასხვა დარგში.

ამხ. ზატონსკიმ მთავარი ყურადღება მიაქცია საორგანიზაციო მომენტს. გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს შრომის ორგანოების არაჩვეულებრივ კონსერვატიზმ, ვიდრე ამხ. ციხონი შრომის ორგანოებში მოკალათებულ ოპორტუნისტებს არ განდევნის, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ.

დიდის ყურადღებით მოისმინა სესიამ ამხ. კრუპსკაიას სიტყვა.

კადრების საკითხის გადაწყვეტის საქმეში,—აღნიშნა ამხ. კრუპსკაიამ—მთავარ ამოცანას შეადგენს ის, რომ თვითეული მუშაკი დავაყენოთ იმ ადგილზე, სადაც მას თავის უნარის მაქსიმუმის მოცემა შეუძლია, ეს მეტად ძნელი ამოცანაა და მისი გადაჭრა მარტო შრომის სახალხო კომისარიატს არ შეუძლია. საჭიროა, რომ ამ საქმეს ხელი მიჰკიდონ სხვა სახკომებმაც.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია როლი განსახკომისა, რომელმაც მთელ თავის მოქმედებაში უნდა განავითაროს შეგნებული დამოკიდებულება შრომისადმი და აამაღლოს მუშა-ხელის კვალიფიკაცია. მეტად საჭიროა მუშების მომზადება დაუკავშირდეს განსახკომის მუშაობას. ჩვენ უნდა დავეხმაროთ განსახკომს მის წინაშე დასახული საპასუხისმგებლო ამოცანების გადაჭრაში და საერთო ძალღონით მუშათა მასების განათლების საქმე ავწიოთ სათანადო სიმაღლეზე (ადს).

საბჭ. კავშირის ცაკის სესიის უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი, 11 იანვარი. 10 იანვარს საღამოთი შესდგა საკავშირო ცაკის სესიის უკანასკნელი სხდომა.

ამხ. ენუქიძე გამოვიდა მოხსენებით საბჭოების მე-6 ყრილობის მოწვევის შესახებ.

ყრილობის მოწვევა მიმდინარე წლის 5 მარტს, ე. ი. ვადაზე ცოტა უფრო ადრე,—აღნიშნა ამხ. ენუქიძემ,—გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა: ყრილობის ჩატარება გაზაფხულის თესვის კამპანიის დაწყებამდე, მისი მოწვევა ხუთწლედის მესამე წლის დასაწყისშივე, რათა უფრო წარმატებით განვახორციელოთ ამ წლისათვის დასახული ამოცანები, დავამთავროთ ამჟამად მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანია—საბჭოების გადარჩევა.

საბჭოების მომავალმა ყრილობამ ისტორიული როლი უნდა შეასრულოს; მან უნდა გადასწყვიტოს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები. ეს საკითხები შეეხებიან ურთიერთ დამოკიდებულებას ცალკე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოებს შორის; სახელმწიფო აპარატის განმტკიცების და სხვ.

სესიამ ერთხმად მიიღო საბჭოების მე-6 ყრილობის მოწვევის დადგენილების პროექტი.

შემდეგ სესიამ ერთხმად დაამტკიცა ანგარიში 1929-30 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და 1931 წლის საფინანსო გეგმა შემდეგი რაოდენობით: შემოსავალი—31.918 მილიონი მანეთი, გასავალი—30.148 მილიონი მანეთი.

დამატებით სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებებისა, საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიისა და საშუალო აზიის უნივერსიტეტის საბჭოებისათვის გადაიდო — 500.000 მანეთი.

ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია ამხ. ციხონის მოხსენების გამო.

ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესია გამოცხადებულ იქნა დახურულად. (ადს).

სესიის დახურვა

ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, სახალხო-სამეურნეო გეგმის და საკავშირო ბიუჯეტის დამტკიცებით ჩვენ დავამთავრეთ უდიდესი საგეგმო მუშაობა, რომელიც რამდენიმე თვეს გრძელდებოდა. უნდა ითქვას, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმა და ბიუჯეტი ჩვენ დავამტკიცეთ წლის დასაწყისშივე. ჩემის აზრით, ეს იმის თავდებაა, რომ ბიუჯეტი და გეგმა ისევე წესიერად და მთლიანად შესრულდება, როგორც მიღწეულ და დამტკიცებულ იქნა სესიის მიერ. თუმცა საერთოდ გეგმა და მისი დეტალები მკაფიოდ იყო გაშუქებული ცაკის წევრების მოხსენებებსა და სიტყვებში, მაგრამ მაინც ნებას მივცემ თავს შევჩერდე ერთერთ ელემენტზე, რომელიც, ჩემის აზრით, ამ გეგმის მთავარი ელემენტია, სახელდობრ მუშახელის საკითხზე.

შემთხვევითი არ არის ის, რომ ამ სესიის დღის წესრიგში ჩვენ დავსვით სწორედ მუშა-ხელის საკითხი. სულ ცოტა ხნის წინად ჩვენს საზრუნავ საგანს შეადგენდა უმუშევრობის მოსპობა. ეხლა კი ჩვენს წინაშე სდგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დავძლიოთ მუშა-ხელის ნაკლებობა. საიდან გამომდინარეობს მუშა-ხელის ეს ნაკლებობა, რა მიზეზებით არის გამოწვეული მსოფლიოში ჯერ არ ნახული მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ამჟამად საბჭოთა კავშირში? უნდა ითქვას, რომ ეს არის, პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირის უდიდესი საწარმოო მიღწევების შედეგი. უმუშევართა მილიონიანი მასების ჩაბმა საწარმოო პროცესში იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, შორს წავედით წარმოების მოწესრიგების სფეროში, ამ წარმოებაში მუშათა ახალი ფენების ჩაბმის სფეროში, მეორეს მხრით—ჩვენ [illegible]ით, რომ მუშა-ხელის ნაკლებობა აიხსნება აგრეთვე მისი სუსტად გამოყენებით და სუსტი ორგანიზაციით.

ამგვარად თქვენ ხედავთ, ერთის მხრით, დადებით მაჩვენებელს: გაიზარდა ჩვენი წარმოება და გაიზარდა იმდენად, რომ მან ჩაყლაპა უმუშევართა მთელი მასა, მეორეს მხრით,—არის მრავალი ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ ჩვენს საწარმოო აპარატში ჯერ კიდევ არიან ზედმეტი კადრები, რომელნიც უკეთესი ორგანიზაციისა და მოხერხებულად განაწილების დროს შეამცირებენ მუშა-ხელის ნაკლებობას.

შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებისა და, საერთოდ, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების წინაშე ამჟამად სდგას საკითხი დაგეგმვის საქმის გაუმჯობესების შესახებ. ეს თვით წარმოების საარსებო ამოცანად იქცევა. აქედან აშკარაა, რომ შრომის სახალხო კომისარიატის როლიც საგრძნობლად იზრდება. როგორც კი გამოირკვა მუშა-ხელის ნაკლებობა, შრომის სახალხო კომისარიატი, რომელიც იყო აღრიცხვაზე ამყვანი, სამუშაოზე გამგზავნი და შრომის დაცვისთვის თვალყურისმდევნებელი ორგანო, გადაიქცა შრომის ორგანიზაციის ორგანოდ.

ამხანაგებო, სულ მცირეოდენი კავშირი წარმოების სფეროსთან, საერთოდ, და მრეწველობასთან, კერძოდ, გვიჩვენებს, რომ შრომის ნაყოფიერება დღემდის დამოკიდებულია არა მარტო ტეხნიკაზე, არამედ თითქმის უმთავრესად, მუშახელის სწორ ორგანიზაციაზე. ფაბრიკების, ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ყველა გამოკვლევებიდან სჩანს, რომ იქ, სადაც ცოტად თუ ბევრად მოწესრიგებულია შრომის ორგანიზაცია, შრომის ეფექტიურობა თანაბარ ტეხნიკურ პირობებში ბევრად უფრო მაღლა სდგას. ამიტომ ამჟამად მუშა-ხელის ორგანიზაციისა და განაწილების საკითხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობენ.

ჩვენ ახლა გაშლილ სოციალისტურ მშენებლობას ვაწარმოებთ. რას ნიშნავს ეს: ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგნებულად, გეგმიანად და მიზანშეწონილად ვახდენთ საწარმოო ძალების გადანაცვლებას. სოციალისტური მშენებლობის მთავარი აზრი და შინაარსი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ჩვენ გიგანტები ავაგეთ. გიგანტებს ბურჟუაზიული სახელმწიფოებიც აშენებენ. რაც არ უნდა დიდი იყვნენ ჩვენი გიგანტები, ისინი ან თანასწორი არიან უცხოეთის გიგანტებისა ან ცოტათი სჯარბობენ მათ და საერთოდ და მთლიანად ჩვენი გიგანტები ბევრ გაუმჯობესებას საჭიროებენ უმთავრესად მუშა-ხელის უფრო ორგანიზაციულად და მიზანშეწონილად გამოყენების მხრივ. აი სწორედ არსებული მუშა-ხელის ორგანიზაციული გამოყენება, მისი, რაც შეიძლება მიზანშეწონილად განაწილება საზოგადოებრივი მასშტაბით, ყველა იმ სპეციფიურ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც ამ ძალას აქვს (მხედველობაში მაქვს ქალთა და ახალგაზრდობის შრომის გამოყენება და სხვ.),—ყველაფერი ეს უდიდეს მნიშვნელობას ღებულობს.

ჩვენს წინაშე ახლო მომავალში დადგება საკითხი ქალთა შრომის გამოყენების შესახებ იქ, სადაც ეს ყველაზე უფრო ადვილია ქალებისათვის, ისინი ჩაყენებულ უნდა იქნან ისეთ პირობებში, რომ მუშაობამ ზიანი არ მიაყენოს მათ ჯანმრთელობას. ჩვენ დავსვით საკითხი ახალგაზრდობის ჩაბმის შესახებ მუშაობაში. ახალგაზრდობას ჩვენ ორი მხრით უნდა მივუდგეთ. ერთის მხრით, ეს არის უმთავრესი მუშა-ხელი, რომელიც წარმოებაში იმყოფება, ხოლო მეორეს მხრით—ისეთი მუშა-ხელი, რომელმაც უნდა მიიღოს კვალიფიკაცია და გააუმჯობესება და რომლიდანაც შემდეგში გამოვიდნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი მუშები. ერთის სიტყვით, ამხანაგებო, ჩვენს წინაშე უძნელესი ამოცანა სდგას მუშა-ხელის რაც შეიძლება მიზანშეწონილად და გეგმიანად განაწილების სფეროში. მაგრამ ეს, ამხანაგებო, ამოცანის მხოლოდ ერთი მხარეა. ამოცანის მეორე მხარეა—კვალიფიკაციის გაუმჯობესება, მუშა-ხელის საწარმოო ეფექტიურობის გადიდება, მუშა-ხელი შედარებით ნაკლებია, ამავე დროს ჩვენი მშენებლობის მასშტაბი იზრდება და მუშათა კლასის საჭიროება დიდდება. ამიტომ მუშა-ხელის ნაკლებობა საგრძნობი იქნება. როგორ ვიბრძოლებთ ჩვენ ამ ნაკლებობის წინააღმდეგ? რაიონებსა და საწარმოთა შორის მუშა-ხელის უკეთესი, უფრო გეგმიანი განაწილების გარდა, ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ მუშების კვალიფიკაცია. იქ, სადაც ხუთი მუშა მუშაობდა, ეხლა ეს პროცესი ერთმა მუშამ უნდა შეასრულოს. ჩვენ უნდა ავამაღლოთ კვალიფიკაცია ყოველი მუშისა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მუშის, ისე სრულიად უბრალო მუშის.

თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი მრეწველობის ყველაზე უფრო სუსტ ადგილებს, დავინახავთ, რომ ყველაზე ნაკლებ ეფექტიურობას იძლევა უბრალო მუშის შრომა, იმ კატეგორიის მუშის, რომელიც ჩვენში ბევრად უფრო მეტია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, ამიტომ მე ვამბობ, რომ ჩვენს—წინაშე დასმული ამოცანის მეორე მხარეა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება და ამასთან ერთად, თავისთავად ცხადია, მუშათა კულტურული დონის ამაღლება, ვინაიდან ადამიანის სრულიად უბრალო შრომაც კი მოითხოვს წერა-კითხვის ცოდნას და ერთგვარ განათლებას.

ერთის სიტყვით, ამხანაგებო, ჩვენ შეგვიძლია გარკვევით განვაცხადოთ, რომ ამჟამად წარმოების ეფექტიურობას ხელს უშლიან ჩვენი ორგანიზაციული დეფექტები. სოციალისტური წარმოება მოითხოვს უნაკლო ორგანიზაციას; განსაკუთრებით საჭიროა ყურადღება მიექცეს ამას. ამხანაგებო, ყოველი ახალი გამარჯვება შრომის ორგანიზაციის სფეროში, ჩემის აზრით, ერთ ერთი დიდი გამარჯვებათაგანია სწორედ სოციალისტურ მშენებლობაში.

ამხანაგებო, მე მინდოდა შევჩერებულიყავი ერთ საკითხზე. უცხოეთის პრესაში ამჟამად დიდი განგაშია ატეხილი, „საბჭოთა დემპინგის" გარშემო, იმის შესახებ, რომ ჩვენი საქონელი ვითომ იძულებითი შრომით მზადდება (გამოტოვებულია). ჩვენ ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯს ვსდგამთ მუშა-ხელის მიზანშეწონილად განაწილების საქმეში, დაგეგმვის საქმეში. და მიუხედავად ამისა, ამხანაგებო, ჩვენს მიღწევებს მუშა-ხელის მიზანშეწონილად განაწილების საქმეში, აგრეთვე გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში უცხოეთის პრესა უაღრესად მტრულად შეხვდა. ბურჟუაზიას კლასობრივი ინსტიქტი უკარნახებს, რომ ამ პირველ წარმატებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თუ გავზომავთ ჩვენს მიღწევებს და შევაფასებთ მათ მნიშვნელობას, პირდაპირ უნდა ვსთქვათ, რომ სოციალისტური მშენებლობის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა,—კოლექტივიზაცია და მუშა-ხელის გეგმიანი, მიზანშეწონილი განაწილება, რომელსაც ჩვენ ესეს არის შევუდექით. ამ განაწილების ეფექტიურობა ახლო მომავალში დაგვანახვებს მთელ თავის დადებით მხარეს. ის რასაც ჩვენი მტრები ცდილობენ სახელი გაუტეხონ, როცა ლაყბობენ „იძულებითი შრომის" შესახებ, არის სოციალიზმის ნამდვილი წარმატება შრომის ორგანიზაციის სფეროში, ის არის შესრულება ჩვენი პარტიის პროგრამისა, სადაც ნათქვამია: „სახალხო მეურნეობის გეგმაშეწონილ განვითარებისათვის საჭირო—მთელს სახელმწიფოში არსებულ მუშა-ხელის მაქსიმალური გამოყენება, სწორი განაწილება და გადანაწილება როგორც სხვადასხვა ტერიტორიალურ ოლქებსა, ისე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის, უნდა შეადგენდეს საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო პოლიტიკის უახლოეს ამოცანას, რომლის გადაჭრაც შეიძლება მხოლოდ პროფესიონალურ ორგანიზაციებთან მჭიდროდ დაკავშირების საფუძველზე".

სასაცილოა ლაპარაკი „იძულებითი შრომის" შესახებ იმ ქვეყანაში, სადაც სახალხო შემოსავლის 98,2 პროც. მშრომელთა საჭიროებას ხმარდება იმ დროს, როცა ამერიკაში მშრომლებზე მოდის სახალხო შემოსავლის მხოლოდ 54 პროც. ის განგაში, რომელიც სწარმოებს „საბჭოთა დემპინგის" და ვითომ იძულებითი შრომის გარშემო, მიზნად ისახავს მუშათა კლასისათვის თვალის ახვევას. ყველაფერი ეს წარმოადგენს ბურჟუაზიის ცდას—ეკონომიურ კრიზისში ბრალი დასდოს საბჭოთა კავშირს. მართლაც, გადავათვალიეროთ დემპინგის საკითხი საღი აზროვნების თვალსაზრისით. ამბობენ, რომ ჩვენ საქონლის გატანით ვცდილობთ კაპიტალისტურ მსოფლიოს დანგრევას. დამახასიათებელია, რომ კაპიტალისტები ყოველთვის უპირისპირებენ მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს კავშირს. განა ის რასაც ჩვენ საზღვარგარედ ვყიდით, არ იფარება ჩვენ მიერ შესყიდული საქონლით? ხომ აშკარაა, რომ იმ თანხით, რომელსაც ვიღებთ ჩვენი საქონლის საზღვარგარედ გაყიდვით, სწორედ ამ თანხით ჩვენ საზღვარგარედ ვიძენთ საქონელს. გასულ წელს ჩვენ გავყიდეთ 900 მილიონი მანეთის საქონელი; დაახლოებით 900 მილიონი მანეთისავე საქონელი შევიძინეთ უცხოეთში. საბჭოთა კავშირს არც ერთი მისხალი ოქრო არ გამოუტანია საზღვარგარეთიდან. ბოლოს, მოდით და პირდაპირ დავსვათ ეს საკითხი—ურთიერთთან ალებ-მიცემობის საკითხი. რა გვაქვს ჩვენ საზღვარგარედ? ჩვენ, ამხანაგებო, უმთავრესად გაგვაქვს ხე-ტყე, ნავთი, მარგანეცი და, ომის წინა დროსთან შედარებით, პურის მცირე რაოდენობა. ამხანაგებო, ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს საქონელი მზადდება უფრო უბრალო შრომით, ვიდრე ის საქონელი, რომელსაც ჩვენ საზღვარგარეთიდან ვღებულობთ.

რა საქონელს ვღებულობთ ჩვენ საზღვარგარეთიდან? პირველ ყოვლისა მანქანებს და საქარხნო მოწყობილობას. თქვენ კარგად გესმით, რომ ეს ის პროდუქტებია, რომლებსაც ამჟამად მაქსიმალური შრომა ხმარდება. კაპიტალისტები ამტკიცებენ, რომ ჩვენ დამნაშავენი ვართ კრიზისის შექმნაში, მაგრამ ყველა დაგვეთანხმება, რომ ჩვენ, მაგალითად, არც ერთი ავტომობილი, არა თუ საბჭოთა კავშირში დამზადებული, არამედ კრიზისამდე საზღვარგარედ შეძენილი, არ გაგვიტანია საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. პირიქით, მიმდინარე წელს მეტი ვიყიდეთ, ვიდრე გასულ წლებში. მიუხედავად ამისა, საზღვარგარედ სწორედ მრეწველობის ამ დარგში არის განსაკუთრებით ძლიერი კრიზისი. ჩვენ ვყიდულობთ ფერად ლითონებს, კაუჩუკს და სხვ., ვყიდულობთ იმ პროდუქტებს, რომელნიც განსაკუთრებით შრომის ტევადია და რომელთა წარმოებაშიც განსაკუთრებით ძლიერია კრიზისი. ამის შემდეგ როგორ შეიძლება მთელი ქვეყნის შეცდომაში შეყვანა განცხადებით, რომ ჩვენი ვაჭრობა აძლიერებს კრიზისს კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომ ჩვენ მთავარი დანაშაული მიგვიძღვის ამ კრიზისის შექმნაში. კაპიტალისტები დამნაშავეებს ეძებენ, მაგრამ თუ საქმე დამნაშავეების ძებნაზე მიდგება, მათ პირველ ყოვლისა თვალი უნდა გადაავლონ თავიანთ სისტემას, რომელიც, რასაკვირველია, აკეთებს ყველაფერს კრიზისის განვითარებისა, გაღრმავებისა და გაფართოებისათვის. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალისტები სიტყვით ებრძვიან კრიზისს, ხოლო საქმით, არსებითად, მთელი თავიანთი მუშაობით აღრმავებენ და აფართოვებენ მას.

მაშ რატომ გვწამებენ ჩვენ ისინი ცილს? ეს ადვილი გასაგებია. ავიღოთ რომელიმე ბურჟუაზიული გაზეთი. 7 იანვრის დეპეშა ლონდონიდან იუწყება, რომ „1930 წლის 29 დეკემბრისათვის რეგისტრაციაში გატარებულ იქნა 2.643.127 კაცი. ამგვარად, უმუშევართა რიცხვი, გასულ კვირასთან შედარებით, 234.557 კაცით გადიდდა, ხოლო გასული წლის დამლევთან შედარებით—1.152.896 კაცით. უმუშევართა ეხლანდელი რიცხვი სარეკორდოა. იგი 62 ათასით აღემატება 1921 წლის ივნისში არსებულ უმუშევართა რიცხვს, რომელიც უდიდესად ითვლებოდა ინგლისის ისტორიაში.

აიღეთ, მაგალითად, „პრავდა"-ს დღევანდელი ნომერი, რომელშიაც დაბეჭდილია დეპეშა ბერლინიდან: „როგორც უმუშევრობის დამზღვევი სახელმწიფო სამმართველო იუწყება, უმუშევართა რიცხვი 6 დეკემბრიდან 31-მდე 880 ათასი კაცით გადიდდა და ამჟამად 4.347.000-ს აღწევს". ასე მოდის ყოველდღე ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იზრდება ყოველ სახელმწიფოში უმუშევართა რიცხვი. უმუშევრობის ეს შეუჩერებელი ზრდა აშინებს ბურჟუაზიას, ვინაიდან უმუშევრები საკუთარი თვალით ხედავენ არაჩვეულებრივ წინააღმდეგობას უმუშევრებისა და კაპიტალისტების მდგომარეობას შორის.

ჩვეულებრივი ბურჟუაზიული გაზეთის „პოსლედნი ნოვოსტი"-ს უკანასკნელ ნომრებში არის პატარა შენიშვნა: „ვარშავიდან გასულ მატარებელს შეაჩტა პოლონელი მუშა, რომელიც ვაგონის საფეხურზე დამდგარი ჩავიდა პარიზში. როცა იგი ჩამოსვეს, მან გამოაცხადა: „მომეცით საჭმელი"-ო. მისი გამგზავრების მიზეზი: იგი ამბობს—ვარშავაში ცხოვრება აღარ შემეძლო სამუშაო არ იშოვება და შიმშილით დალუპვა მომელოდა. ვიღაცამ მითხრა, რომ პარიზში სამუშაო იშოვებაო და სწორედ ამიტომ გამოვეშურე აქეთკენ". იმავე ნომერში სწერენ, რომ ერთმა ამერიკელმა მილიარდერმა მილიონი დოლარი დახარჯა იმის აღსანიშნავად, რომ მისი ქალიშვილი სრულწლოვანი გახდა.

და აი, ამხანაგებო, როცა ვხედავთ ასეთ არაჩვეულებრივ წინააღმდეგობას, ჩვენ ვიცით, რომ ეს აუცილებლად არევოლიუციონერებს მუშებს, ამწვავებს კლასობრივ ურთიერთობას და აიძულებს მუშას დაიწყოს აქტიური ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ბურჟუაზიას აშინებს ეს და იგი მიმართავს ცილისწამებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

როგორ უნდა ვუპასუხოთ ჩვენ იმ ცილისწამებაზე, რომ ჩვენ იაფ ფასად ვყიდით საქონელს საზღვარგარედ, აგრეთვე იმ ცილისწამებაზე. რომელიც ცდილობს სახელი გაუტეხოს ჩვენს ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს მოღვაწეს ჩვენი შრომის მოწესრიგების საქმეში?

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ჩვენი მტრებისათვის საუკეთესო პასუხი იქნება მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაც (ტაში).

საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის სხდომას დახურულად ვაცხადებ (ადს).

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის

მორიგი პლენუმი

რაიკომების და საოლქო კომიტეტების მდივნებთან ერთად
მოწვეული
1931 წლის 20 იანვრისათვის

პლენუმის დღის წესრიგში სდგას:

1. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგები და ამოცანები;
2. შემოდგომის სასოფლო სამეურნეო კამპანიის შედეგები და გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიის ამოცანები;
3. ხუთწლედის მეორე წლის (განსაკუთრებული კვარტალის) სამრეწველო საფინანსო გეგმის შესრულება და საქართველოს ს.ს.ს. საბჭოს გამგებლობაში არსებული მრეწველობის საკონტროლო ციფრები 1931 წლისათვის.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მამულია**

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲛᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

სალამოს და ღამის წყებებთან საწარმოებში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილება

მოსკოვი, 12 იანვარი. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება ცენტრალური კომიტეტის დირექტივა წყებათა გასადიდებლად მუშაობის გაფართოებისა და სალამოს და ღამის წყებებთან პარტიულ-მასიური და პროფკავშირული მუშაობის დაყენების შესახებ.

ვინაიდან აუცილებელია წყებათა გადიდების და სალამოს და ღამის წყებებთან, როგორც შინასაქარხნო რესურსების მობილიზაციის უმნიშვნელოვანეს წყაროსთან, მუშაობის მოწესრიგების შესახებ არსებულ პარტიულ გადაწყვეტილებათა უსწრაფესი რეალიზაცია,—ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ სცნობს ღამის წყებებთან მუშაობის ძირიანად გარდაქმნას.

პროლეტარული თვითკრიტიკის, სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ფართო გაშლის საფუძველზე, საჭიროა ვაწარმოოთ ნამდვილი ბრძოლა, წყებათა მუშაობის პირობებთან შეფარდებით, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, სალამოს და ღამის წყობათა მუშაობის დროს წარმოების მთელ საწარმოო პროცესების ადმინისტრატიულ-ტეხნიკური ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, ტრანსპორტის მუშების ტეხნიკური უშიშროების გასაუმჯობესებლად და სხ.,

ამ საწარმოებში პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების სტურქტურას საფუძვლად უნდა დაედოს წყებიანი საწარმოო პრინციპი, ამასთან ქვედა საწარმოო ერთეულებში (ბრიგადა, აგრეგატი და სხვ.), პროფორგანიზაციების ინსტიტუტის მსგავსად, უნდა შეიქნას პარტჯგუფები, წყებათა მტკიცე შემადგენლობის საამქროებში—წყებიანი პარტიული უჯრედები და საამქრო პროფკომიტეტები, იმ საამქროებში, სადაც მუშების შემადგენლობა ცვალებად ხასიათს ატარებს, წყებიანი პარტორგანიზატორებისა და პროფკომიტეტების რწმუნებულთა ინსტიტუტები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წყებათა მასის კომუნისტების და კომკავშირელების სწორ განაწილებას, წყებებს შორის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკების მტკიცე კადრების შექმნას. წყებებში პარტიული მუშათა საერთო კრებების, აგრეთვე საამქრო და ჯგუფური საწარმოო თათბირების პრაქტიკა საჭიროა გავრცელდეს ყველა საწარმოებზე.

წინადადება მიეცეს გაზეთებს „პრავდა“-ს, „რაბოჩაია გაზეთა“-ს, „ტრუდ“-ს“, „ზა ინდუსტრიალიზაციუ“-ს დაიწყონ იმ საკითხების სისტემატიურად გაშუქება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სალამოს და ღამის წყებებში მუშაობასთან და საწარმოს მრავალწყებიანობაზე გადასვლასთან (ადს),

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ—„ᲡᲝᲘᲣᲖᲛᲘᲐᲡᲝᲡ“ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილება

მოსკოვი, 12 იანვარი. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და ცენტ. საკონტ. კომისიის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც უმოკლეს ვადაში უნდა მოხდეს „სოიუზმიასო“-ს მუშაობის გადაჭრით გადასინჯვა და მისი კადრების ძირიანად განახლება,—საკ. კ.პ. (ბ) ცენტ. კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელიც შეიცავს მთელ რიგ დირექტივებს და მიუთითებს ამ დარგში.

„სოიუზმიასო“-ს რაიონული საპირუტყვო ბაზების მუშაკებით განსამტკიცებლად,—იმ ბაზების, რომელნიც უდიდეს როლს თამაშობენ დამზადებული პირუტყვის დაცვისა და მოვლის საქმეში, ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ სცნო—1931 წლის 1-ლ თებერვლისათვის შერჩეულ იქნას არა ნაკლებ 600 კაცისა იმ საუკეთესო მუშაკების რიცხვიდან, ვინც შემოწმებულია პურის დამზადებაზე, ამ მობილიზაციის შედეგად განმტკიცებულ უნდა იქნან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სარაიონო საპირუტყვო ბაზები, შემოწმებულ და შეცვლილი იქნან „სოიუზმიასო“-ს ძირითადი და გადამწყვეტი სარაიონო-საპირუტყვო ბაზების მუშაკები, რადგან სრულიად არასაკმაოა იმ სპეციალისტების რაოდენობა, რომელნიც „სოიუზმიასო“-ს სისტემაში მუშაობენ, და რადგან იქ ბლომად მოიპოვებიან უცხო და მავნებლური ელემენტები, რამაც გამოიწვია „სოიუზმიასო“-ს პროგრამის ჩაშლა და ხორცის პროდუქტების უდიდესი ნაკლისი,—ცენტრალურმა კომიტეტმა გადამჭრელ საქმედ სცნო „სოიუზმიასო“-ს სპეციალისტებით გამაგრება.

„სოიუზმიასო“-მ მის გამგებლობაში მყოფ უმაღლეს სასწავლებლებიდან და ტეხნიკუმებიდან არა უგვიანეს 1-ლი აპრილისა უნდა გამოუშვას უკანასკნელი კურსის ყველა სტუდენტები და ტეხნიკოსები. მუშაობა სპეციალისტების ვადამდე გამოსაშვებად ისე უნდა მოეწყოს, რომ ყურადღების ცენტრში მიქცეულ იქნას დამკვრელობა და სოცშეჯიბრება სწავლების დარგში (ადს).

ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის სამდივნოს 1931 წლის 10 იანვრის დადგენილება

აღინიშნოს, რომ მიუხედავად მტკიცე დირექტივებისა, პირუტყვის დამზადების წესის და მეთოდების შესახებ, იმ ორგანიზაციების უმრავლესობას, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ პირუტყვის დამზადებასთან, აქამდის არ გაუძლიერებიათ მუშაობის ტემპები და სათანადოთ არ გაუთვალისწინებიათ მთელი ის სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელსაც პარტია აძლევს პირუტყვის დამზადებას.

კერძოდ, აღინიშნოს საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და „სოიუზმიასო“-ს მუშაობის სრულიად დაუშვებელი ნელი ტემპები, რომლებიც გამოიხატა იმაში, რომ აქამდის არ არის დამუშავებული პროდუქტიული პირუტყვის დასამზადებელი ფასების საკითხი, პირუტყვის კონტრაქტაციის პირობები, განსაზოგადოებულ სექტორში პირუტყვის მიღებისა და განაწილების სრული გეგმა, კოლმეურნეობებისათვის პირუტყვის გადაცემის პირობები, ღონისძიებები შინაური რესურსების მობილიზაციის მოსახდენად პრუტყვის საკვების უზრუნველყოფისათვის და სხვა.

ამასთან ერთად აღინიშნოს, რომ ცალკე სარაიონო კომიტეტების მხრით შემჩნეულია პირუტყვის დამზადების დამტკიცებულ გეგმების შემცირების ცდები, რაც ორიენტაციას უკარგავს ადგილობრივ ორგანიზაციებს დასახულ სარაიონო გეგმების შესრულების საქმეში.

ზემოდ აღნიშნულის მიხედვით, ცენტრალური კომიტეტის სამდივნო ადგენს:

1. პირუტყვის დამზადების დამტკიცებული სარაიონო გეგმები ჩაითვალოს საბოლოოდ. აეკრძალოს რაიონულ კომიტეტებს ამ საკითხების დასმა ცენტრალურ კომიტეტის წინაშე და წინადადება მიეცეს მათ დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც ჩამოთვლილია ცენტრალურ კომიტეტის 1930 წლის 27 დეკემბრის დადგენილებაში.

2. წინადადება მიეცეს აგრეთვე რაიკომებს გაშალონ მასიური პოლიტიკურ - ახსნა - განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეობებში და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებში, და გამოიყენონ თვითვალდებულების მეთოდი პირუტყვის ჩაბარების საქმეში, სოციალისტური შეჯიბრება დასახულ გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შემხვედრი გეგმების შემუშავება და სხვ.

3. წინადადება მიეცეს რაიკომებს და საოლქო კომიტეტებს, გაგზავნონ ადგილებზე პირუტყვის დამზადებისათვის სარაიონო და საოლქო (რესპუბლიკანური) აქტივის 30 პროცენტი მაინც.

4. წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს კოლმეურნცენტრთან, მერძეობა-მესაქონლეობის კავშირთან და „სოიუზმიასო“-სთან ერთად ერთი დღის ვადაში შეიმუშაოს:

ა) დასამზადებელი პირუტყვის კოლმეურნეობებს შორის განაწილების გეგმა ამ გეგმის დეტალიზაციით, ცალკე რაიონების მიხედვით; გათვალისწინებულ უნდა იქნას აგრეთვე სანაშენო პირუტყვის განაწილების აუცილებლობა.

ბ) შეიმუშაოს ამ პირუტყვის კოლმეურნეობებისათვის გადაცემის პირობები; მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დამუშავებული გეგმები და პირობები, „სოიუზმიასო“-ს და კოლმეურნცენტრისა თავისი ხელმოწერით, დაუგზავნოს სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებს, „სოიუზმიასო“-ს ადგილობრივ აგენტებს და სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებს არა უგვიანეს 13 იანვრისა.

5. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, „სოიუზმიასო“-სთან ერთად არა უგვიანეს 12 იანვრისა დაგზავნოს ადგილებზე ტიპიური საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი და პროდუქტიული საქონლის დასამზადებელი ფასები.

6. წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ერთად, ორი დღის ვადაში დაამუშაოს საკითხი და მისცეს ადგილებს სათანადო მითითებანი ადგილობრივ რესურსების გამოყენების შესახებ დასამზადებელი პირუტყვის საკვებით უზრუნველსაყოფად (ჩალა და სხვ.).

7. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ორი დღის ვადაში გადაათვალიეროს „სოიუზხლებ“-ის განაწესებიდ თივის და საქონლის სხვა საკვების გადაგზავნის შესახებ იმ მიზნით, რომ მოხდეს გადანაწილება და საკვებით პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნას დასამზადებელი და სოციალისტური სექტორისათვის გადასაცემი პირუტყვი.

8. ვინაიდან „სოიუზხლებ“-ის განცხადებით „სოიუზმიასო“-ს ამიერ - კავკასიის კანტორა აბრკოლებს მისთვის დაჯავშნული შეზავებული საკვების იანვრის ნორმის გამოყოფას, ეთხოვოს ამიერ - კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას შეამოწმოს ეს ფაქტი პერსონალურ დამნაშავეებზე სათანადო სასჯელის დასადებათ.

9. წინადადება მიეცეს „სოიუზხლებ“-ს დაუყოვნებლივ გამოჰყოს „სოიუზმიასო“-სთვის მარცვლეული საკვები (სიმინდი) 4 ათასი ტონის რაოდენობით.

10. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან და „სოიუზმიასო“-სთან ერთად ორი დღის ვადაში გადასჭრას საკითხი ხბოების დამზადებისა და ჩაბარების წესის შესახებ.

11. წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკს, დაუახლოვოს თავისი ანგარიშგასასწორებელი პუნქტები პირუტყვის დამზადების ადგილებს და ამ მიზნით გამოიყენოს ფულის მოსიარულე მეარტელეთა საშუალებით გაცემის მეთოდი.

12. პირუტყვის დამზადების საგანგებო რწმუნებულად საქართველოში დაინიშნოს ამხ. ვ. გოგია, რომელსაც, კერძოდ, დაევალოს სამი დღის ვადაში გამოარკვიოს მდგომარეობა და მიიღოს საჭირო ზომები იმისთვის, რომ:

ა) „სოიუზმიასოს“ მშენებლობა უზრუნველყოფილ იქნას საჭირო საშენებელი მასალით.

ბ) მშენებლობა კოლმეურნეობებში უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ფულადი რესურსებით და საშენებელი მასალით.

13. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, მოაწესრიგოს სადეკადო ცნობების მიღება ცალკე დამამზადებლებისა და „სოიუზმიასო“-სგან პირუტყვის დამზადების მსვლელობის შესახებ. ეს ცნობები მან ყოველ ათ დღეში წარმოადგინოს ცენტრალურ კომიტეტში.

14. წინადადება მიეცეს საოლქო კომიტეტებს და რაიკომებს, სასტიკი თვალყური ადევნონ იმას, რომ ადგილობრივი დამამზადებლები დროულად აგზავნიდენ ყოველდღიურ ცნობებს დამზადებათა მსვლელობის შესახებ.

15. დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას დააჩქაროს „სოიუზმიასო“-ს აპარატის წმენდა.

16. პირუტყვის დამზადების ორგანიზაციისა და მისი მსვლელობის შემოწმებისათვის, აგრეთვე მუშაობის ტემპებში საჭირო გარდატეხის მოსახდენად აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილებამ დამატებით უნდა მოახდინოს პასუხისმგებელ მუშაკთა მობილიზაცია და გაგზავნოს ისინი პირუტყვის დამამზადებელ რაიონებში.

17. წინადადება მიეცეს ცეკავშირს გააძლიეროს სამრეწველო საქონლის შეტანა პირუტყვის დამამზადებელ რაიონებში და უზრუნველჰყოს ეს დამზადებანი მომარაგების დაწესებული ნორმით.

18. პერსონალური პასუხისმგებლობა პირუტყვის დამზადების ღონისძიებათა დროულად შესრულებისათვის დაეკისროს:

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით ამხ. ელერდაშვილს;

„სოიუზმიასო“-ს ხაზით ამხ. გურგენიძეს;

მერძეობა - მესაქონლეობის კავშირის ხაზით ამხ. დევდარიანს;

ცეკავშირის ხაზით ამხ. დუდუჩავას;

სახელმწიფო ბანკის ხაზით ამხ. ნერსესოვს;

„სოიუზხლებ“-ის ხაზით ამხ. სოლოვიოვს;

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ხაზით ამხ. გოგიბერიძეს.

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲬᲛᲔᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მოსკოვი, 12 იანვარი. საბჭოთა კავშირის მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მიიღო საბჭოთა აპარატის შემოწმების და წმენდის ინსტრუქციის დამატება, შენიშვნით, რომლის თანახმად მეორე და მესამე კატეგორიით ან განსაზღვრული ვადებით უკატეგორიოდ გაწმენდილ პირებს შეუძლიათ ამ ვადების გასვლის შემდეგ შეიტანონ განცხადებები მათთვის დადებულ სასჯელის და მუშაობის ადგილის და ხასიათის შეზღუდვის მოხსნის შესახებ. განცხადებებს იხილავს დაწესებულების და საწარმოს ადმინისტრაცია, ადგილკომის, საკ. კ. პ. (ბ) უჯრედის, საშეფო ბრიგადის წარმომადგენლების და დაწინაურებულთა მონაწილეობით.

გადაწყვეტილებანი მეორე კატეგორიით გაწმენდილთა შესახებ საბოლოოდ დასამტკიცებლად გადაეცემა მუშგლეხინის ადგილობრივ ორგანოებს. (ადს).

ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲘᲗ

უზრუნველვყოთ გადამწყვეტი წლის გუმბერაზული გეგმების შესრულება

> „საბჭოების ამოცანები, მთელი სახელმწიფო აპარატის ამოცანები, პირველ ყოვლისა მდგომარეობენ სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპების განხორციელებაში“

ᲫᲘᲠ-ᲤᲔᲡᲕᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲦᲛᲝᲕᲤᲮᲕᲠᲐᲗ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ-„ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔ“ ᲝᲞᲝᲠᲢᲣᲜᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ

საქ. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მე-6 ყრილობა

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების მე-6 ყრილობა მოწვეული იქნება ა-წ. 13 თებერვალს.

ყრილობის დღის წესრიგი:

1)საქართველოს ს.ს.რ. მთავრობის ანგარიში.

2) მოხსენება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის და საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანების შესახებ.

3) მოხსენება 1931 წლის მრეწველობის საკონტროლო ციფრების შესახებ.

4) საყოველთაო- სავალდებულო სწავლების შემოღება.

5) საორგანიზაციო და 6) მიმდინარე საკითხები. ყრილობის ჩასატარებლად გამოყოფილია საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ს. თოდრია (თავმჯდ.), სიამაშვილი, კორსაველი, მაშკევიჩი და მელაძე.

აირჩიეთ საბჭოს წევრები

(სახ. სამ. მუშფაკი)

მიუხედავათ იმისა, რომ სახ. - სამ. მუშფაკში, საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია დაგვიანებით დაიწყო, იგი მაინც წარმატებით ჩატარდა.

მოსამზადებელი მუშაობის ჩქარი ტემპით ფართოდ გაშლამ უზრუნველჰყო მუშფაკის მსმენელთა და ლექტორთა ყურადღების მობილიზაციის მოხდენა აღნიშნული კამპანიის წარმატებით ჩატარების ირგვლივ.

16 დეკემბერს მსმენელთა და ლექტორთა გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ქალაქის საბჭოს ანგარიში; უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოხსენებას მუშფაკი განსაკუთრებული აქტივობით შეხვდა: შემოტანილი იყო 41 საქმიანი შეკითხვა, კამათში მონაწილეობა მიიღო 23 ამხანაგმა, რომლებიც ბოლშევიკური თვითკრიტიკის ცეცხლში ატარებდენ საბჭოს მუშაობაში შემჩნეულ დეფექტებს.

11 იანვარს მოწვეულ იქნა საარჩევნო კრება. მუშფაკის მცირე დარბაზი ძლივს იტევდა ამომრჩევლებს. საარჩევნო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 98 პროც. საბჭოს წევრებად არჩეულ იქნა სამი კაცი: სანდრო გაბიანი (მოჯამაგირე), მიხეილ თათარაშვილი (მუშა), და ამბროსი მახარობლიძე (მაღაროს მუშა). არჩევნების შემდეგ კრებამ ერთხმად დაამტკიცა კომისიის მიერ შემუშავებული ნაკაზი ზოგიერთ დამატებით.

შ. როზაკიძე.

არჩევნები სიღნაღის რაიონში

სიღნაღის რაიონში საბჭოების არჩევნები წარმატებით მიმდინარეობს; საარჩევნო კრებებზე ამომრჩეველთა აქტივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მშრომელი გლეხობა, მოჯამაგირეობა და კოლმეურნეები დარაზმულნი გამოდიან კულაკების საპასუხოდ. არჩევნებს უკავშირდება სხვადასხვა კამპანიები, როგორიცაა: ფულადი სახსრების მობილიზაცია, კოლმეურნეობათა განმტკიცება და სხვ.

სოფ. ჯაფარიძეში არჩევნებთან დაკავშირებით ახალი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. სოფ. მირზაანში საარჩევნო კრებებს დაესწრო ამომრჩეველთა 93 პროც., ამომრჩევლები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ განაწესების შედგენაში მათ შეჰქონდათ განაწესებში საქმიანი წინადადებები.

ახალ საბჭოში არჩეულ იქნა 37 წევრი; მათში 13 კოლმეურნე, 2 მოჯამაგირე, 7 მშრომელი ქალი, 6 კომუნისტი და 3 კომკავშირელი. საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია ქიათურის მაღაროების დამკვრელი მუშა ამხ. გაფრინდაშვილი.

სოფ. ზემო - მაჩხაანში საარჩევნო კრებებს დაესწრო ამომრჩეველთა 90 პროც., არბოშიკში — 89 პროც., ნუკრიანში — 84 პროც. ასეთივე დასწრება იყო სხვა სოფლებში. უნდა ითქვას, რომ საანგარიშო კამპანიის დროს ვერ იყო საკმაოდ გაშლილი მოსამზადებელი მუშაობა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია საანგარიშო კრებებზე; ეს მდგომარეობა აღარ განმეორებულა საარჩევნო კრებების ჩატარების დროს: ამოქმედ და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა და ამომრჩეველთა აქტივობაც საკმაოდ გაიზარდა.

ხ. აკილი.

მოითხოვენ ახალ კოლექტივების მოწყობას

ჩოხატაურის რაიონში არჩევნები მშრომელ გლეხების იშვიათი ენტუზიაზმით მიმდინარეობს. განსაკუთრებით დიდ აქტივობას იჩენენ კოლმეურნენი. აგრეთვე არჩევნებს დიდი ხალისით ესწრებიან ქალები. ამომრჩეველთა მხურვალე მონაწილეობას იღებენ განაწესების შედგენაში გლეხები მოითხოვენ კოლექტივიზაციის, გაძლიერებას, არსებულ კოლექტივების განმტკიცებაგაფართოებას, ტეხნიკურ კულტურების ფართობის გადიდებას მარცვლეულ კულტურების შემცირების ხარჯზე და სხვ.

2 იანვარს არჩევნები დამთავრდა ერკეთის თემში, სადაც კრებებზე ამომრჩეველთა საერთო დასწრება აღემატებოდა 94 პროც., კერძოდ ქალების დასწრება უდრიდა 75 პროც., საბჭოში არჩეული იქნა 31 წევრი, მათ შორის 4 ქალია, 16 კოლმეურნე, 15 კომუნისტი. სხვადასხვა უბნებში ამომრჩევლებმა საბჭოს საპატიო წევრებად ერთხმად აირჩიეს ამხ. ფილიპე მახარაძე, ხ. მამულია, ხ. თოდრია, გერ. მგალობლიშვილი.

5 იანვარს ასეთივე წარმატებით არჩევნები ჩატარდა ზომლეთის და ამაღლების თემში. ზომლეთში შედარებით მოისუსტებდა ქალთა დასწრება. ამ თემში საერთო დასწრება უდრიდა 90 პროც., ქალების—50,5 პროც.

ამაღლების თემში კი საერთო დასწრება აღემატებოდა 94 პროც., ხოლო ქალთა დასწრება უდრიდა 83 პროც.

აღნიშნულ თემებში უკვე შესდგა ახალ საბჭოების პირველი საორგანიზაციო კრებები, რომელზედაც მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები და საბჭოები დაყოფილი იქნენ სექციებად.

გამვლელი.

ახალი დამკვრელი საამქროები

10 იანვარს, დღის სამ საათზე, სახელგამის პირველ სტამბაში ჩატარდა საბჭოს საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო მუშა - მოსამსახურეების (ამომრჩეველების) ასი პროცენტი.

ნაკაზის წაკითხვის და პრაქტიკული წინადადებების გამომუშავების შემდეგ, კრებაზე ერთხმად იქნენ არჩეული საბჭოს დეპუტატებათ შემდეგი ამხანაგები: ბაბლიძე მეფარიშვილი და გურამიძე.

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით სტამბაში ჩამოყალიბდა ახალი დამკვრელი ბრიგადები: სალინოტიპო საამქრო გამოცხადდა საბჭოების მერვე მოწვევის სახელობის დამკვრელ საამქროდ. საასოთამწყობო საამქრო გამოცხადდა დამკვრელად, რომელმაც სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სამანქანო და საამკინძაო საამქროები.

საასოთამწყობო განყოფილების მესამე ბრიგადამ თავი გამოაცხადა ხუთწლედის მესამე წლის დამკვრელად და ფიცი დასდო, რომ რიცხობრივი მაჩვენებლების ზრდასთან ერთად-ასწიონ მაქსიმალურად ხარისხობრივი მაჩვენებლებიც და მედგრად იბრძოლონ ხუთწლიანი გეგმის 4 წელში შესრულებისათვის.

კრებაზე გამოვიდენ აგრეთვე მუშები, რომლებმაც თავი დამკვრელებად გამოაცხადეს და წარმოებას მიემაგრენ ხუთწლედის ბოლომდე.

გ. მაისურაძე

დამთავრდა რაიონული აღმასკომის პლენუმი

(ტელეგრაფით ზესტაფონიდან)

7 იანვარს, ზესტაფონში შესდგა სარაიონო აღმასკომის გაფართოებული პლენუმი სას. საბჭოს თავმჯდომარეებთან ერთად.

პლენუმმა მოისმინა ამხ. ბერიძის მოხსენება კოლმეურნეობების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შესახებ. პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი ხორცის დამზადების მიმდინარეობის შესახებ და ფერომარგანეცის სამუშაოების გამწევი ძალით უზრუნველყოფაზე. აღნიშნულ საკითხების ირგვლივ მიღებული იქნა პრაქტიკული მითითებანი.

პლენუმმა, სარაიონო აღმასკომის თავმჯდომარე—ამხ. შარიკაძის და რაიმილიციის უფროსის—ამხ. კოჩიაშვილის მოხსნის გამო—სარაიონო აღმასკომის ახალ თავმჯდომარეთ აირჩია (მუშა, ძველი ბოლშევიკი) ამხ. მიხა კვიჩაძე; რაიმილიციის უფროსად არჩეულ იქნა—ა. ცხადაძე, სარაიონო აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილების გამგეთ, პლენუმმა აირჩია მუშა—ამხ. ირაკლი ზაზირაძე.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეთ და კომუნალური განყოფილების გამგეთ არჩეული იქნა—ამხ. თეოფილე ჩაჩანიძე; შრომის ინსპექტორად—ამხ. ოლიფანტე ოქრომშიძე.

დავით გაბრიაძე.

ტანსაცმელით შემოსეს 17 ღარიბესი მოწაფე

8 იანვარს, ქვემო-ალვანში ჩატარდა საბჭოს არჩევნები. დასწრება არჩევნებზე კარგად იყო. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დღეს დიდი თოვლი იყო მოსული, თუში გლეხის ქალები დიდი სიხარულით მოდიოდენ საარჩევნო კრებებზე.

არჩევნები მოეწყო ორ უბნად, რომელთა შორის გამოცხადებული იყო სოცშეჯიბრება, საარჩევნო კრებებზე ამომრჩეველთა საერთო დასწრება უდრიდა 78 პროც.

საარჩევნო კრებებზე განაწესის წაკითხვის შემდეგ სხვა პრაქტიკული მითითებათა შორის ამომრჩევლებმა მოითხოვეს, რათა განაწესში შეტანილიყო მუხლი, მთა თუშეთის დაწყებული გზის დამთავრების შესახებ.

არჩევნების საზეიმო შესახვედრად, სოფლის საბჭომ 17 ღარიბებს მოწაფეს მისცა ტანსაცმელი; უბნეში მოეწყო საბავშო ბაგები, რომელზედაც მიმაგრებულები იყვნენ პროფსკოლის მასწავლებლები და უფროსი ჯგუფის მოწაფე ქალები.

თ. ბაკურიძე

სად როგორ ჩატარდა არჩევნები

ყვარელი, 12 იანვარი. ენისლის სას. საბჭოში არჩევნები 8 იანვარს დამთავრდა, 3349 ამომრჩეველთაგან საარჩევნო კრებებზე გამოცხადდა—2.111 კაცი, აქიდან 848 ქალი იყო. დასწრება უდრიდა 64 პროცენტს.

საბჭოში არჩეულია 72 წევრი; ამათში—11 ქალია, 9 კოლმეურნე, 8 მუშა და 13 დემობილიზებული წითელარმიელი. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა უპარტიო ღარიბი გლეხი ამხ. ხიდაშნელიშვილი.

ამომრჩეველთა მოთხოვნილებით საბჭოს საპატიო წევრებად აირჩიეს ამხ. მამულია და ამხ. შ. ელიავა.

ქემოკლიძე.

—:—

ზემო-ხეთი, 12 იანვარი. ზემო-ხეთში (ჩოხატაურის რაიონი) საბჭოს არჩევნები დამთავრდა 9 იანვარს.

არჩევნების ჩასატარებლად რაიონიდან მომაგრებული იყო მუშა, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა არჩევნების წარმატებით ჩატარებაში.

საარჩევნო კრებებს დაესწრო ამომრჩევლების 97 პროცენტი. საბჭოში არჩეული იქნა 22 წევრი, ამათში 4 ქალია.

საარჩევნო კრებამ საპატიო საბჭოს წევრებად აირჩია: ამხ. ამხ. ფ. მახარაძე, ლ. სუხიშვილი, გ. დევდარიანი და ა. დოლიძე.

საბჭოს პრეზიდიუმი.

—:—

ლაგოდეხი, 11 იანვარი. ყარსუბნის სას. საბჭოში არჩევნები 8 იანვარს დამთავრდა. საკრებულო დაყოფილი იყო 9 საარჩევნო უბნად, სადაც (საარჩევნო კრებებზე) გამოცხადდა 1262 ამომრჩეველი, მათში 516 ქალი იყო. საარჩევნო კრებებზე ამომრჩეველთა საერთო დასწრება უდრიდა 88,3 პროც.

ახალ საბჭოში არჩეულია 48 წევრი; მათში 9 ქალია, 21 კოლმეურნე, 3 მოჯამაგირე, 2 მოსამსახურე, 1 მასწავლებელი, დანარჩენნი კი ღარიბი და საშუალო გლეხები არიან. საბჭოს ახალ შემადგენლობაში 13 კომუნისტია და 4 კომკავშირელი.

გველუკაშვილი.

—:—

დუშეთი, დუშეთის რაიონში საბჭოების არჩევნები დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. საბჭოებში არჩეულია—457 წევრი; მათში 58 ქალია, 71 კოლმეურნე; 95 კომუნისტი, 71 კომკავშირელი, 19 მოჯამაგირე. ქალთა მონაწილეობა დამაკმაყოფილებელი იყო.

ამომრჩევლები ახალ დავალებებს აძლევდნენ დეპუტატებს. საბჭოს არჩევნები დუშეთის რაიონში მშრომელი გლეხობის უდიდეს აქტივობით ჩატარდა.

საბჭოს სარაიონო ყრილობა მოწვეულია 20 იანვრისათვის.

კოლმეურნე.

—:—

ონის რაიონი, 12 იანვრისთვის საბჭოს არჩევნები ლენინის რაიონში 61 პუნქტზე ჩატარდა 11.697 ამომრჩევლიდან საარჩევნო კრებებს დაესწრო 10274 ამომრჩეველი. საბჭოში არჩეული იქნა 197 დეპუტატი; აქედან 80 მუშა, 27 ქალი.

საბჭოს ახალ შემადგენლობას მუშები აძლევდნენ მტკიცე დავალებებს. განაწესი ითვალისწინებს გარეუბნების კეთილმოწყობას, კოოპერაციის აპარატის მუშაობის გარდაქმნას, ტრამვაის ხაზის გაფართოებას და სხვ.

იქაური.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲐ 1931 ᲬᲔᲚᲨᲘ

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ „სახალხო მეურნეობის ზრდამ უზრუნველჰყო მშრომელთა მატერიალური და კულტურული პირობების შემდგომი გაუმჯობესება. მუშების ხელფასი ხუთწლედის ორი წლის განმავლობაში 12 პროცენტით გაიზარდა. ხუთწლედის მეორე წლის დამლევს 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილი იყო სამრეწველო მუშების საერთო რიცხვის 45,5 პროც. უმუშევრობა ძირითადათ მოსპობილია“.

პლენუმის დადგენილებით სამუშაო ხელფასი 1931 წელში გასულ 1930 წელთან შედარებით გაიზრდება მრეწველობაში 6 პროცენტით, რკ. გზ. ტრანსპორტის მუშებისათვის 8 პროც. სამუშაო ხელფასის წლიური ფონდი 1931 წ. 15.3 მილიარდი მანეთი იქნება, ნაცვლად 12,5 მილიარდისა, რომელიც იყო გასულ 1930 წელში.

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ცენტრალური პროფსაბჭოს დირექტივებით 1931 წლისათვის ხელფასის მომატება უნდა გატარდეს პირველ რიგში მთავარი მნიშვნელობის სამრეწველო დარგებისათვის. ხელფასის მოწესრიგება ისე უნდა მოხდეს, რომ მუშები დაინტერესდნენ თავის კვალიფიკაციის აწევაში, შრომის ნაყოფიერების გაზრდაში და ხელი შეუწყონ დეფიციტურ მუშა-ძალის წარმოებისადმი მიმაგრებას. უნდა შემცირდეს ერთგვარი კვალიფიკაციის მუშების ჯგუფებს შორის ხელფასის დიდი განსხვავება. უნდა დაწესდეს ნორმალური დამოკიდებულება ნარდათ და არა ნარდათ მომუშავეთა ხელფასს შორის.

ხელფასის დასახულ საერთო ზრდის ფარგლებში, ამჟამად კოლხელშეკრულებათა მიმდინარე კამპანიის დროს, ცალკე დარგებს და ცალკე ჯგუფებს ხელფასი გაცილებით მეტი მოემატება, ვიდრე საშუალოთ არის დაწესებული (6 პროც.). ზოგიერთ დარგებში ხელფასის ზრდა იქნება 15-20 პროცენტით, ზოგან კი ხელფასი მიმდინარე წელში არ გადიდდება. მაგალითად ხელფასის ზრდა დიდი იქნება ქვანახშირის წარმოებაში (დონბასი, ტყიბული), საფეიქრო მრეწველობაში, ძირითად ქიმიურ მრეწველობაში და სხვ. საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მუშების ხელფასი გაიზრდება 17 პროცენტით და ხელფასის გადიდებისათვის ამ დარგში გადადებულია 33 მილიონი მანეთი (მათ შორის 7 მილიონი მანეთი ხელფასის მექანიკურად მომატებისათვის). ხოლო სამკერვალო მრეწველობაში, პოლიგრაფიულ წარმოებაში, ტყავის მრეწველობაში და სხვ. ხელფასი არ იქნება გაზრდილი. აქედან ცხადია, რომ ხელფასის 6 პროცენტით ზრდის დასახვა არ ნიშნავს იმას, რომ ყველგან ამ პროცენტით იქნეს გადიდებული ხელფასი. ეს საშუალო რიცხვია, რომელიც უნდა იქნას განაწილებული ცალკე სამრეწველო დარგებს და წარმოებებისათვის, იმის და მიხედვით, თუ სად როგორია ხელფასის დონე და როგორი მნიშვნელობა აქვს ამ სამრეწველო დარგს მთელს სახალხო მეურნეობაში.

მთელ საბჭოთა კავშირისათვის გასულ წელში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროს გამოყოფილი იყო სამრეწველო მუშების ხელფასის მექანიკურათ მომატებისათვის დაახლოვებით 40 მილიონი მანეთი, მიმდინარე (31 წ.) კი მარტო მექანიკური მომატებისათვის მრეწველობაში დაიხარჯება 55 მილიონი მანეთზე მეტი. ამიერკავკასიაში ხელფასის მექანიკურად მომატების ფონდი მთელს მრეწველობაში მიმდინარე წლისათვის ნახევარ მილიონ მანეთზე მეტია.

რომელ საწარმოო დარგებში გატარდება ხელფასის მომატება

საქართველოში ხელფასის მომატების ფონდის 90 პროც. ხმარდება მძიმე ინდუსტრიის დარგებს (ჯგუფი „ა“), ვინაიდან ამ დარგის მუშების საშუალო ხელფასი უფრო მცირეა, ვიდრე მსუბუქ მრეწველობის. საშუალო წლიური ხელფასი საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში უდრის 1058 მანეთს, მაშინ, როცა მძიმე ინდუსტრიის დარგში ის არ აღემატება საშუალოთ 832 მანეთს. ეს არანორმალური მდგომარეობა გამოწვეულია მით, რომ მსუბუქ მრეწველობაში ძლიერ სუსტად არის დაყენებული ტეხნიკური დანორმვის საკითხები. არსებული შეფარდება უნდა შეიცვალოს ისე, რომ მძიმე მრეწველობის ხელფასი უფრო მაღალი გახდეს.

ხელფასის მომატება მიმდინარე წელში საქართველოში გატარებული იქნება ქვანახშირის წარმოებაში, სადაც ამჟამად საშუალო წლიური ხელფასი უდრის 660 მანეთს. ბარიტის წარმოებაში, სადაც წლიური ხელფასი შეადგენს 680 მანეთს, გადიდებული იქნება ხელფასი 15 პროცენტით (ნაწილი მექანიკურად და ნაწილი შრომის ნაყოფიერების აწევასთან დაკავშირებით); გუმბრინის წარმოებაში (საშუალო წლიური ხელფასი 714 მან.) გადიდებული იქნება 10 პროცენტით (აქედან 5 პროცენტი მექანიკურად); დიატომიტის წარმოებაში (586 მანეთია წლიური ხელფასი) გადიდებული იქნება 15 პროცენტით, (აქედან 7 პროც. მექანიკურად), გლაუბერის მარილის წარმოებაში 15 პროცენტით (აქედან 5 პროც. მექანიკურად); ცეცხლგამძლე აგურის წარმოებაში, სადაც საშუალო წლიური ხელფასი უდრის 497 მანეთს, ხელფასი გადიდებული იქნება 16 პროცენტით (აქედან 7 პროც. მექანიკურად და დანარჩენი შრომის ნაყოფიერებასთან დაკავშირებით); სახურავ ფილაქნების წარმოებაში, სადაც წლიური ხელფასი 595 მანეთს შეადგენს, გადიდებული იქნება 15 პროც. (აქედან 5 პროც. მექანიკურად); კურსების ძელაკების წარმოებაში გადიდებული იქნება ხელფასი 13,7 პროც. შრომის ნაყოფიერების აწევასთან დაკავშირებით.

აბრეშუმის ძაფის ამომღებ და საგრეხ მრეწველობაში, სადაც წლიური ხელფასი უდრის 522 მანეთს, ხელფასი გაზრდილი იქნება 15 პროცენტით. ამ დარგის მუშების ხელფასის მომატებისათვის გამოყოფილია 118 ათასი მანეთი. გადიდებული იქნება აგრეთვე ხელფასი თბილისის მაუდის ქარხანაში 15 პროცენტით (ნაწილი მექანიკურად და ნაწილი თვითმიმდინარეობით). გატარდება ხელფასის მომატება აგრეთვე ავჭალის შუშის ქარხანაში და სხვა წარმოებებშიაც.

ხელფასის მომატება ორ სახათ არის დაყოფილი. მომატების ნაწილი ტარდება მექანიკურად, ესე იგი სატარიფო განაკვეთების გადიდებით კოლექტიური ხელშეკრულების დადების დროს და მეორე ნაწილი კი თვითმიმდინარეობით ე. ი. ნარდათ მუშაობის დროს მთელი წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერების აწევასთან ხდება ხელფასის ზრდაც. თვითმიმდინარეობით ხელფასის მომატებას რომ აქვს ადგილი, ამის დამამტკიცებელი ის არის, რომ გასულ 29-30 სამეურნეო წელში მექანიკურად სამრეწველო მუშების ხელფასი გადიდებული იყო 4 პროცენტამდე, საშუალოდ კი წლის განმავლობაში გაიზარდა 10-11 პროცენტით. მაგალითად პოლიგრაფიულ მრეწველობაში გასულ წელში თვითმიმდინარეობით ხელფასი გაიზარდა 18 პროცენტით, საკონტროლო ციფრებში და საწარმოო-საფინანსო გეგმებში ხელფასის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია, ხელფასის როგორც ხელფასის მექანიკურად ზრდა, ისე თვითმიმდინარეობაც. ზოგ წარმოებაში ხელფასის ზრდა მოხდება, როგორც მექანიკურად, ისე თვითმიმდინარეობით, ზოგში კი მარტო თვითმიმდინარეობით (მაგალითად მარგანეცის წარმოება.)

რომელ საწარმოო დარგებში არ იქნება ხელფასი გაზრდილი

ზოგიერთ საწარმოო დარგებში ხელფასის ზრდა მიმდინარე წელში არ მოხდება, ვინაიდან იქ ხელფასი შედარებით სხვა დარგებთან მაღალია. მაგალითად, ანდეზიტის წარმოებაში წლიური ხელფასი შეადგენს 1857 მანეთს, მაშინ, როცა ტყიბულში 660 მანეთია. საქართველოს ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობაში წლიური ხელფასი შეადგენს 835 მანეთს, საბჭოთა კავშირში კი, მრეწველობის ამავე დარგში 729 მანეთს.

არ იქნება გაზრდილი ხელფასი ლითონის წარმოებებში, ვინაიდან საქართველოში ამ დარგის მუშების წლიური ხელფასი 1300 მანეთს შეადგენს, საბჭოთა კავშირში კი საშუალოდ შეადგენს 1187 მანეთს. აგურის მრეწველობაში საქართველოში საშუალო ხელფასი უდრის 878 მანეთს (თბილისის აგურის ქარხანაში კი—1058 მანეთს) საბჭოთა კავშირში—791 მანეთს. აქედან ცხადია, რომ ჩვენში აგურის წარმოებებში წელს ხელფასი არ იქნება მომატებული. ტყავის და ფეხსაცმელების მრეწველობაში ჩვენში წლიური ხელფასი შეადგენს 1311 მანეთს, საბჭოთა კავშირში კი საშუალოდ 1139 მანეთს, აზერბეიჯანში—1293 და სომხეთში—972 მანეთს. საქართველოს სამკერვალო მრეწველობაში წლიური ხელფასი შეადგენს 1118 მანეთს, საბჭოთა კავშირში კი საშუალოთ 1028 მანეთს, აზერბეიჯანში—968 მ. და სომხეთში 541 მანეთს. აქედან ცხადია, რომ საქართველოს სამკერვო მრეწველობაში ხელფასი არ შეიძლება წელს გადიდდეს. პოლიგრაფიულ მრეწველობაში ჩვენში წლიური ხელფასი შეადგენს 1342 მანეთს, საბჭოთა კავშირში კი საშუალოდ 1088 მანეთს, აზერბეიჯანში—1298 მანეთს და სომხეთში—1,050 მანეთს.

თამბაქოს ქარხანაში წლიური ხელფასი უდრის 1157 მანეთს, მაშინ, როცა ტყიბულში ხელფასი 660 მანეთია. მაკარონის და საკონდიტრო მრეწველობაში ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე სამთო-მადნო წარმოებაში.

განსაზოგადოებული ხელფასის ზრდა

არ შეიძლება ხელფასად ჩავთვალოთ მარტო ის, რაც მუშებს უშუალოდ ეძლევათ წარმოებიდან. გარდა ამისა უნდა უთუოდ მივიღოთ მხედველობაში ყველაფერი ის, რაც მუშებისათვის იხარჯება. ამხ. კაგანოვიჩი მოსკოვის აქტივზე ცეკას დეკემბრის პლენუმის შედეგების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ამბობს: „როცა ცენტრალურ საკავშირო პროფსაბჭოს შრომის სტატისტიკურ დარგში ისხდნენ მენშევიკები და ანგარიშობდნენ რეალურ ხელფასს, ისინი იღებდნენ მხოლოდ ხელფასის რაოდენობას ფულად გამოხატულებაში და სრულებით არ თვლიდნენ სოციალური დაზღვევის ფონდს, საბინაო მშენებლობას, განათლების ფონდს, არ ანგარიშობდნენ ყველა იმ ღონისძიებათა ჯამს, რომელსაც პარტია ატარებს მუშათა კლასის კეთილდღეობის აწევის საქმეში. თუ ავიღებთ ყველაფერს მთლიანად, ამ წელშიც მტკიცდება ის თეზისი, რომ ჩვენში ხდება მუშათა კლასის მატერიალური კეთილდღეობის ზრდა. უბადრუკმა „გმირებმა“ სირცოვმა და ლომინაძემ ვერც კი შეამჩნიეს, რომ ისინი გახდენ უბრალო სათამაშო, არა მარტო ტროცკისტების, არამედ — სოციალისტურ ვესტნიკის“ მენშევიკების ხელში“.

ცენტრალურ კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებებში ხელფასის უშუალოდ ზრდის გარდა დასახულია განსაზოგადოებულ ხელფასის (სოციალური დაზღვევა, საბინაო მშენებლობა, შრომის დაცვა და სხვა) ფრიად დიდი ზრდა.

სოციალური დაზღვევის წლიური ფონდი მიმდინარე 1931 წელში იქნება 2.188 მილიონი მანეთი, გასულ წელში კი ის არ აღემატებოდა 1,600 მილიონს მანეთს (აღსანიშნავია, რომ ხუთწლედის ბოლოში—32-33 წელში დასახული იყო სოციალური ზღვევის ფონდი 1,950 მილიონი მანეთის რაოდენობით.

საბინაო მშენებლობისათვის საბჭოთა კავშირის მთელ განსაზოგადოებულ სექტორში მიმდინარე წელში დაიხარჯება 1.100 მილიონი მანეთი, გასულ წელში კი დაიხარჯა 582 მილიონი. ამიერ-კავკასიაში მარტო მრეწველობის ხაზით საბინაო მშენებლობისათვის დაიხარჯება 6 მილიონი მანეთი, რაც შეადგენს მრეწველობის კაპიტალურ დაბანდებათა 10 პროცენტს.

მუშათა გაუმჯობესების ფონდი ნაცვლად 125 მილიონისა, რომელიც იყო გასულ წელს, მიმდინარე წელში იქნება 285 მილიონი. ამას გარდა შრომის დაცვისათვის დაიხარჯება 155 მილიონი მანეთი.

შვიდ საათიან სამუშაო დღეზე ნაცვლად 45 პროც. მუშებისა, მიმდინარე წელში 92 პროც. გადაყვანა უშუალოდ გავლენას მოახდენს ხელფასის ზრდაზე, ვინაიდან იმას, რასაც იღებდა მუშა 8 საათის განმავლობაში, მიიღებს 7 საათში და გარდა ამისა კიდევ მუშას უფრო მეტი დრო დარჩება კვალიფიკაციის აწევისათვის. ასეთივე გავლენას მოახდენს კულტურულ დონის აწევის საქმეში ყველა წარმოებების მიმდინარე წელში უწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადაყვანა.

უმუშევრობის მთლიანი ლიკვიდაცია და მუშა - მოსამსახურეთა რიცხვის 2 მილიონით მომატებაც (ნაცვლად 14 მილიონისა, იქნება 16 მილიონი) უშუალოთ ზრდის მუშების ხელფასს, ვინაიდან მუშების ოჯახის წევრების სამუშაოზე გაგზავნით გაიზრდება მუშის ოჯახის შემოსავალი.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ფართო მოხმარების სამრეწველო საგნების ფონდი მიმდინარე წელში იქნება 15,6 მილიარდი მანეთის რაოდენობით, გასულ 30 წელში კი ის უდრიდა 11,5 მილიარდს. ფართო მოხმარების საგნების წარმოების ასეთი დიდი ზრდა პირდაპირ გავლენას მოახდენს რეალურ ხელფასის შემდგომ გადიდებაზე.

გარდა ამისა ფრიად დიდ გავლენას მოახდენს მუშათა მატერიალურ გაუმჯობესებაზე ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მუშათა მომარაგების შესახებ (კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესება, ხორცისა და ბოსტნეულის მიწოდების მოგვარება). ცეკას დეკემბრის პლენუმის დადგენილებები სახავენ „პრინციპიალურ ხაზს და პრაქტიკულ გზებს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანების გადაჭრაში“ და ქმნიან კიდევ უფრო უკეთეს პირობებს მუშათა მომარაგების საქმის გაუმჯობესებისათვის. „პლენუმის დადგენილება ეს არის ფართო პროგრამა მუშების მომარაგებისა ხორცით და ბოსტნეულობით დროებითი შეფერხების დაჩქარებით ლიკვიდაციისათვის: პროგრამა —მუშათა კეთილდღეობის გადამწყვეტი გაუმჯობესებისა, რეალური ხელფასის ზრდისა და მუშა მომხმარებლის ინტერესების დაცვა კერძო ბაზრის სტიქიისაგან“—ნათქვამია „პრავდა“-ს მოწინავე წერილში.

ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ზედმეტად ამტკიცებს მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნისტების დემაგოგიურ დებულების უსაფუძვლობას მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობის გაუარესების შესახებ.

არ უნდა იქნეს დაშვებული ხელფასის პოლიტიკის დამახინჯება

ხელფასის მოწესრიგება წარმოადგენს ჩვენი საწარმოო გეგმების ერთ ნაწილს და ამიტომ ხელფასის საკითხები უნდა იგეგმებოდეს გეგმიანად. სტიქიურობას ამ დარგში არ შეიძლება ადგილი ექნეს. ხელფასის მომატება შეიძლება მოხდეს მხოლოდ დამტკიცებული გეგმების მიხედვით.

ამ ოთხი-ხუთი-თვის განმავლობაში ჰქონდა ადგილი ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებში გეგმის გარეშე ხელფასის მომატების ცდებს. ეს აიხსნება იმით, რომ ზოგიერთ დაწესებულებათა ხელმძღვანელები „დაიბნენ“, კერძო ბაზარზე ფასების აწევის გამო, და მოსამსახურეთა ცალკე ჯგუფების მოთხოვნილებას კუდში გაყვნენ. მაგალითად საბჭოთა მეურნეობის ტრესტის ხელმძღვანელებმა მოინდომეს აპარატის მოსამსახურეთათვის ხელფასის 30 პროცენტით გადიდება. ასეთივე ცდებს ჰქონდა ადგილი თბილისის სხვა დაწესებულებებშიაც. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში ხელფასის მომატება უმთავრესად ხდებოდა ისეთ პირებისათვის, რომელნიც დიდ განაკვეთებს იღებდნენ. მაგალითად: „სოიუზტრანსის“ ქუთაისის კანტორაში განიზრახეს ხელფასის 50-100 მანეთით მომატება იმათთვის, ვინც იღებდა 150—200 მანეთს. ხელფასისადმი ასეთი მიდგომა უნდა იქნეს აღმოფხვრილი და კერძო ბაზრის საზომათ აღება ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია.

სახელმწიფო აპარატში მომუშავეთათვის ხელფასის მომატებას ჯერ-ჯერობით ჩვენ ვერ გავატარებთ. პირველ რიგში ხელფასის ზრდა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მრეწველობის და ტრანსპორტის მუშებისათვის და მათგან მთავარ მნიშვნელობის სამრეწველო დარგებში. ინჟენერ-ტეხნიკურ პერსონალის ხელფასის წარმოებაში გადიდება იმავე პროცენტებში უნდა ტარდებოდეს, როგორც ამ წარმოების მუშების ხელფასი იქნება მომატებული.

წარმოებაში ხელფასის მოწესრიგება ისე უნდა ხდებოდეს, რომ გამოიწვიოს კვალიფიკაციის აწევის სტიმული. ამ თვალსაზრისით არ უნდა ჩაითვალოს სწორად, როცა ზოგიერთ წარმოებებში შავი მუშის ხელფასს ისეთი რაოდენობით ზრდიან, რომ ნორმალური განსხვავება მაღალი კვალიფიკაციის და არა კვალიფიკაციურ მუშის ხელფასს შორის ირღვევა და მათი ხელფასი ერთმანეთს უახლოვდება. როგორც საერთო წესი მიღებულია, რომ მაღალი კვალიფიკაციის მუშის ხელფასი ორ ნახევარჯერ ან სამჯერ მეტი უნდა იყოს, ვიდრე არა კვალიფიციურის. მაგალითად თუ შავი მუშის თვიური ხელფასი უდრის 50 მანეთს, ამავე წარმოებაში მაღალი კვალიფიკაციის მუშის ხელფასი უნდა იქნეს 130-150 მანეთი. უამისოდ არ იქნება დაინტერესება კვალიფიკაციის აწევაში, რაც შრომის ნაყოფიერებაზე და წარმოების გაუმჯობესებაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. ამიტომ, როცა ლაპარაკია წარმოებაში ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის წინ წაწევაზე, ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც დაბალი კვალიფიკაციის მომუშავეთა ხელფასის მომატება. შეიძლება მაღალი კვალიფიკაციის მუშაც ჩამორჩენილად ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ ის მეტ განაკვეთს იღებს.

უნდა შენელდეს ხელფასის სიჭრელე

ერთი და იგივე კვალიფიკაციის მუშის ხელფასში არსებული დიდი განსხვავება სხვადასხვა წარმოებებში იწვევს ნაწილობრივ მუშა ხელის ცვალებადობას. ეს სიჭრელე თანდათანობით უნდა შენელდეს. მაგრამ ერთ წელში ამის გამოსწორება შეუძლებელია. ამას დაჭირდება ფრიად დიდი თანხები.

თვით წარმოებაში ერთი და იგივე კვალიფიკაციის სხვადასხვა საამქროების მუშების ხელფასში არის საგრძნობი სიჭრელე. მაგალითად: 26 კომუნარების ლითონის ქარხანაში ზოგიერთ საამქროში მუშები თავის განაკვეთებზე ნარდი მუშაობით 80—100 პროც. გადამუშავებას აკეთებენ. ამავე ქარხნის სხვა საამქროში კი გადამუშავება 30—40 პროც. არ აღემატება. კოლექტიურ ხელშეკრულების მიმდინარე კამპანიის დროს საჭიროა ხელფასის არსებული ფონდების ფარგლებში მოხდეს სიჭრელის შენელება. ამისათვის წინწაწეულ ჯგუფების გადამუშავების პროცენტის შემცირებიდან მიღებული ეკონომია, უნდა გადატანილ იქნეს იმ საამქროებში და ჯგუფებში, სადაც გადამუშავება მცირეა. შემდეგში ამ საკითხების მთლიანად მოგვარებისათვის საჭირო იქნება ტეხნიკური დანორმვის სწორად დაყენება.

ერთი ხარისხის არა ნარდათ და ნარდათ მომუშავეთა შორის ხელფასის ნორმალურ განსხვავებათ მიღებულია 20—30 პროცენტი. შრომის ნაყოფიერების აწევის სტიმულის შესაქმნელად ნარდათ მომუშავე უფრო მეტს უნდა აკეთებდეს. მაგრამ ბევრს წარმოებებში განსხვავება ნარდათ და არა ნარდათ მომუშავეთა შორის ფრიად დიდია. კოლექტიურ ხელშეკრულებათა მიმდინარე კამპანიის დროს უნდა იქნეს მიღებული ზომები ამ გადაჭარბებულ განსხვავების შენელებისათვის. ამისათვის შეიძლება გატარდეს დამატებითი სატარიფო რეფორმა ძირითადი განაკვეთების ზრდის მეოხებით გადამუშავების პროცენტების ანგარიშზე. (განაკვეთი გადიდდება, შეფასებები კი დარჩება ძველ რაოდენობით). ეს ნარდათ მომუშავეთა საერთო ხელფასს არ შეიცავს, მხოლოდ მოახდენს წარმოების შიგნით ხელფასში გადაჯგუფებას. ამის შედეგათ ძირითადი განაკვეთი მეტი გახდება და გადამუშავება შემცირდება. არა ნარდათ მომუშავეთა ხელფასი (განაკვეთი) კი გაიზრდება. თანხები ამ რეფორმის გატარებისათვის იქ, სადაც ხელფასის მომატება არის დამტკიცებული, უნდა იქნეს გამოყოფილი ხელფასის გადიდებისათვის მოცემულ ფონდიდან, ხადაც მომატება არ ტარდება, იქ შეიძლება გამოყენებულ იქნას წინწაწეულ ნარდათ მომუშავეთა გადამუშავების შემცირებიდან მიღებული ეკონომია.

ხელფასის პრემიალური სისტემის შემოღება

სადაც კი შესაძლებელია, უნდა იქნეს შემოღებული ნარდი მუშაობა. ის ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების აწევას. ამ მხრივ ჩვენში არის მთელი რიგი წარმოებები, სადაც ჯერ კიდევ ნარდი მუშაობა არ არსებობს. უპირატესობა უნდა მიეცეს ინდივიდუალურ ნარდ მუშაობას, ვინაიდან ის ნაყოფიერების მხრივ ნარდი მუშაობა არ არსებობს. უპირატესობა უნდა მიეცეს ინდივიდუალურ ნარდ მუშაობას, ვინაიდან ის ნაყოფიერების ზრდის მეტ სტიმულს იძლევა. კოლექტიური და ჯგუფური ნარდი მუშაობა უნდა იქნეს დაშვებული მხოლოდ იქ, სადაც შეუძლებელია ცალკე პირების ნამუშევარის შედეგების რიცხვობრივი დათვლა.

ნარდი მუშაობის ფართოდ შემოღების გარდა, უნდა იქნეს გატარებული ხელფასის პრემიალური სისტემა, რათა ამან ხელი შეუწყოს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, წუნის შემცირებას, დაზგების გაცდენების შემცირებას, ნედლი და დამხმარე მასალის ეკონომიას. კოლექტიურ ხელშეკრულებაში უნდა იქნეს ჩამოყალიბებული ხელფასის პრემიალური სისტემები. ისეთ ფორმებში, რომ ნამდვილად მივიღოთ მათ განტოლების შედეგად მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, დაზგების გაცდენების შემცირება და მასალის ხარჯვის ეკონომია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღალ კვალიფიკაციის მუშებისათვის ხელფასის პრემიალური სისტემის შემოღებას. მაგალითად: მექანიკოსებისათვის უნდა შემოღებულ იქნეს პრემიალური დაჯილდოება მოწყობილების და დაზგების გაცდენების შემცირებისათვის (შეკეთების კარგად დაყენების საშუალებით).

საერთოდ ხელფასის მოწესრიგების საკითხი წარმოადგენს წარმოების რაციონალურად დაყენების ერთ მთავარ საკითხს და მასზე ბევრად არის დამოკიდებული მუშა-ხელის მიზანშეწონილად გამოყენება, სამუშაო დღის სრული დატვირთვა და საწარმოო გეგმების, როგორც რიცხვობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლების შესრულება. ამიტომ კოლექტიურ ხელშეკრულებათა მიმდინარე კამპანიის დროს მას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება

ს. გოდაბრელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული მშენებლობა

ორ ფრონტზე შეუწყვეტელი ბრძოლით—ძირშივე აღმოვფხვრათ

მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნიზმი და მისდამი შემარიგებლობა პრაქტიკაში

მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნისტების გამომჟღავნებით და მათი განდევნით პარტიიდან უზრუნველვყოფთ სოციალისტური მშენებლობის შემდგომ გაშლას

პირით სამეურნეო საკითხებისაკენ

(ზესტაფონის რაიონი)

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომმა, ბიუროს სხდომაზე, მოისმინა სპეციალური კომისიის მოხსენება პარტუჯრედების მუშაობის შესახებ, (ძირულა, რადინაული, კლდეეთი, საზანი და ფუთი).

რაიონში არიან ისეთი კომუჯრედები, რომელთაც არა აქვთ მუშაობის გეგმა. ისინი გეგმის გარეშე აწარმოებენ მუშაობას, სუსტია ხელმძღვანელობა ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაზე. არის ისეთი უჯრედი, რომელიც სრულებით არ აწარმოებს მუშაობას ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის. ამასთანავე ადგილობრივი პარტორგანიზაციები ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას მთელ რიგ მნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიებს, როგორიც არის ღვინისა და სოიას დამზადება. დამზადების გეგმა ვერ იქნა შესრულებული კომუჯრედების სუსტი ხელმძღვანელობის გამო. მაგალითისათვის ავიღოთ კვალითის თემი. საკონტროლო ციფრით სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ასაკრეფია 41.000 მანეთი, აკრეფილ იქნა მხოლოდ 36.772 მანეთი. თვითდაბეგვრის საკონტროლო ციფრები მოცემულია 30.000 მანეთი, აქედან აკრეფილია მხოლოდ 1.000 მანეთი. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ღვინისა და სოიას დამზადების საქმეში. ღვინის დამზადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 17 პროცენტით, სოიას დამზადების გეგმა შესრულებულია 1,6 პროცენტით. ყველა ეს ნაკლი მიეწერება ადგილობრივ პარტორგანიზაციების სუსტ ხელმძღვანელობას. ადგილობრივი პარტორგანიზაციები თავის დროზე ვერ უწევდნენ სათანადო ხელმძღვანელობას მიმდინარე კამპანიებს და გეგმები შეუსრულებელი რჩება.

ძირულის თემში გეგმით გათვალისწინებულია 20.000 ვედრო ღვინის დამზადება: ფაქტიურ კი დამზადდა 1,200 ვედრო. სოია უნდა დამზადებულიყო 720 ფუთი, დამზადებულ იქნა 30 ფუთი.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებაში კომუჯრედებმა ვერ მოახდინეს საჭირო გარდატეხა. ძირულის კომუჯრედმა გამოყო სპეციალური კომისია, მაგრამ მას არაფერი არ გაუკეთებია. კომისიას არ შეუმოწმებია, თუ რა გაკეთდა პრაქტიკულად საყოველთაო-სავალდებულო სწავლის გატარების დარგში, ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი როდინეულის კომუჯრედში.

აღსანიშნავია, რომ მთელმა რიგმა კომუჯრედებმა (როდინეულის, ძირულის, კლდეეთის, ფუთის და საზანის) სუსტად დაამუშავეს საკ. კ. პ. (ბ) 8 სექტემბრის მიმართვა.

უნდა აღინიშნოს ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხის არასაკმარისი დამუშავება. კომუჯრედები სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდნენ ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხს, იყო შემთხვევები, როდესაც ამხანაგები დავალებებს არ ასრულებდნენ და უჯრედი მათ წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ ღებულობდა. აქვს ადგილი მემარჯვენე ოპორტუნიზმის პრაქტიკულ გამოხატულებას ადგილებზე: მაგალითად, კვალითის თემში კულაკი არ დაუბეგრიათ. კომუჯრედებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო ხელმძღვანელობა არტელებზე, არ არის შრომის ორგანიზაცია მოწესრიგებული არტელებში. სუსტად მუშაობდა კომუჯრედები კოლმეურნე, ინდივიდუალურ ღარიბ-მოჯამაგირე და საშუალო გლეხთა მასებში. ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა კვალითის, როდინეულის, საზანის და ძირულის კომუჯრედებში. საზანის კოლექტივიდან გამოვიდა პარტიის 5 წევრი, ისინი კულაკებთან ერთად აწარმოებდნენ ბრძოლას კოლექტივის დასაშლელად. საზანის კომუჯრედმა ვერ მიიღო სათანადო ზომები, რომ ძირშივე აღმოეფხვრა მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკა.

ხშირად ირღვეოდა პარტიის დისციპლინა, პარტიის ზოგიერთი წევრები კრებებზე არ ცხადდებოდნენ, არ იხდიდნენ საწევრო გადასახადს და სხვ. ასეთ ფაქტებს ჰქონდა ადგილი ფუთის, საზანისა და კლდეეთის კომუჯრედებში.

ასეთი მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს, კომუჯრედების მუშაობაში სათანადო გარდატეხა უნდა მოხდეს. სოფლის კომუჯრედებმა უნდა შეცვალონ პარტიული მუშაობის ძველი ფორმები და მეთოდები.

ამავე დროს უნდა ხდებოდეს შესრულების შემოწმება და ამ შემოწმებას უნდა ჰქონდეს სისტემატიური ხასიათი. კომუჯრედები სისტემატიურად უნდა ახდენდნენ შემოწმებას, თუ რამდენად ტარდება სინამდვილეში ყველა დადგენილებები. უნდა იქნას მიღებული ყოველგვარი ზომები პარტდისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ. პარტიის ყველა წევრი აქტიურად უნდა ასრულებდეს უჯრედების დავალებებს. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დამუშავებული და შესწავლილი 8 სექტემბრის მიმართვა, რათა კომუჯრედებმა მთელი თავიანთი მუშაობა წარმართონ მიმართვის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა პარტსკოლების ხელმძღვანელებმა თავიანთ სამეცადინო პროგრამაში ადგილი დაუთმონ საკ. კ. პ. (ბ) ცკას 8 სექტემბრის მიმართვის დამუშავებას, ამ მხრივ უჯრედები და პარტსკოლები უზრუნველყოფილნი უნდა იქნან საჭირო მასალებით და სახელმძღვანელოებით.

კომუჯრედებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამჟამად მიმდინარე პოლიტიკურ კამპანიებს, როგორიცაა ფულადი სახსრების მობილიზაცია, სას.-სამ გადასახადი, სოცდაზღვევის, თვითდაბეგვრის თანხები, ღვინის, სოიას და სიმინდის დამზადება და სხვ.

თემებზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა და კომუჯრედებმა თავიანთი პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა მიიღონ გადამწყვეტი ზომები აღნიშნულ საკითხების 100 პროც. შესრულებისათვის.

კომუჯრედებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ორ ფრონტზე ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის და მისდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომუჯ. ვერ აწარმოებენ სათანადო მუშაობას გლეხ-ქალთა შორის, ვერ ჩააბეს ისინი მასიურ მუშაობაში. საჭიროა ამ მდგომარეობის გამოსწორება. ქალთა შორის მუშაობას კომუჯრედებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ.

შ. ზვათუა.

ორ ფრონტზე გადამწყვეტი ბრძოლით

(სენაკის რაიონი)

სიმინდის დამზადების საქმის სწორად ჩატარება, სხვა მიმდინარე კამპანიებთან ერთად, ამჟამად მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანაა. ამ დარგში დასახულ გეგმების მთლიანად და წარმატებით შესრულება სავსებით დამოკიდებულია პარტიის ხაზის შეუცდელად გატარებაზე.

სენაკის რაიონში სიმინდის დამზ. წინასწარი მოსამზადებელ მუშაობის მასიურ-პოლიტიკურ კამპანიას მეტად დიდი ადგილი დაეთმო და შეიძლება თამამად ითქვას, რომ საერთოდ რაიონში ის სწორად და ნაყოფიერად ჩატარდა.

დამზადების საქმის წარმატებით ჩატარების ხელმძღვანელობისათვის რაიკომმა მობილიზაცია უყო და სოფლებში მიავლინა პირველად 15 პ.-მგ. ამხანაგი, შემდეგ კიდევ 17 ამხანაგი, გარდა ამისა, გაგზავნილი იქნა კომკავშირელთა და პროფკავშირელთა 15 ბრიგადა—65 კაცის შემადგენლობით.

რაიკომი ყველა მითითებებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სიმინდის დამზადების საკითხის დაკავშირებას მიმდინარე პოლიტიკურ კამპანიებთან, გადამწყვეტ ბრძოლის საჭიროებას კულაკების მიმართ და ყოველგვარი გადახრების საწინააღმდეგოდ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეტად სერიოზულ პოლიტიკურ კამპანიების დროს პარტკომკავშირის ცალკე წევრების მხრივ ადგილი ჰქონდა დაბნეულობას, აშკარა მემარჯვენეობის გამოჩენას პრაქტიკაში; რაიონის ცალკე სოფლებში კი ზოგიერთი ამხანაგების მხრივ „მემარცხენე“ ხასიათის შეცდომები იქნა დაშვებული საშუალო გლეხობის მიმართ.

ს. ეკიდან პარტ. წევრ. ის. ადამია და აფხაზავა არღვევდნენ პარტიულ დისციპლინას, გარბოდნენ კოლექტივში ჩაწერას (ადამია ჩაეწერა, მაგრამ ისევ გამოვიდა კოლექტივიდან), ხელს უშლიდნენ დამზადების საქმეს.

სოფ. კოტიანეთიდან პარტიის წევრი იოსებ ხუხია თუმცა ირიცხება კოლექტივში, მაგრამ იჩენდა მერყეობას, სოიას დამზადების დროს არ გამოვიდა საერთო სამუშაოზე პირველად კატეგორიული უარი განაცხადა სასაქონლო სიმინდის ჩაბარებაზე; სოფ. გეჯეთიდან, პარტწევრი ზუალავა განიცდიდა იდეოლოგიურ მერყეობას, რის გამო მისი ორი ძმები გამოვიდნენ კომუნიდან და გაიყოლეს კიდევ ორი გლეხი. ქვედა-თეკლათიდან. პარტკანდიდატი გარუჩავა ხელს უშლიდა მიმდინარე კამპანიებს, თვითონ არ ჩააბარა სასაქონლო სიმინდი და გამოვიდა კულაკების დამცველად, ყველა ჩამოთვლილი პირები, მათი საქციელის გამომჟღავნებისთანავე, რაიკომის და რაისაკონტროლო კომისიის დადგენილებით გაირიცხა პარტიიდან, როგორც აშკარა მემარჯვენენი პრაქტიკაში, კულაკების აგენტები და მათი ინტერესების დამცველნი.

გარდა ამისა, ფოცხოს და ზემო-ჭალადიდის თემებში მიმაგრებულ ამხანაგებმა ბუკიამ და თელიამ დაუშვეს „მემარცხენე“ შეცდომები. აღნიშნულ სოფლებში შეადგინეს იმ გლეხების სია, ვისაც სასაქონლო სიმინდი ჰქონდა, ეს სიები განხილულ იქნა საბჭოს სხდომაზე; ამნაირად მტკიცე დავალება უნდა მიეცათ საშუალო და ღარიბ გლეხობისათვისაც კი, მაგრამ რაიკომმა ეს მდგომარეობა სასწრაფოდ გამოასწორა, ბუკია და თელია დაუყოვნებლივ გაწვეულნი იქნენ სოფლებიდან და მათი საქმე პარტიის ხაზის დამახინჯებისა და „მემარცხენე“ გადახვევებისათვის რაიკომმა გადასცა საკონტროლო კომისიას სათანადო პარტსასჯელის დასადებად.

ორ ფრონტზე შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს კომკავშირის ორგანიზაციაც, კ. კ. რაიკომის ხელმძღვანელობით გაირიცხნენ ორგანიზაციიდან ის კომკავშირელები, რომლებიც გულგრილობას იჩენდნენ და ხელს უშლიდნენ დამზადების საქმეს.

კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ სიმინდის დამზადების მთელი გეგმის დანიშნულ ვადებში შესრულების ხელშემშლელი პირობები იყო: მემინდვრეობის, კავშირის და „ხლებსოიუზის“ მხრივ ტექნიკური მოუმზადებლობა. დეკემბრის პირველ რიცხვებში უნდა დაწყებულიყო დამზადება, მაგრამ საწყობები და ტომრები სენაკში მიღებულ იქნა 10-11 დეკემბერს: „ხლებსოიუზის“ მიერ გამოგზავნილი საწყობები გამოდგა უვარგისი: ცეკავშირმა საქონლით ვერ მოამარაგა რაიონი. მოსამზადებელი მუშაობა გვიან დაიწყო სენაკში. სიმინდის მიღება დაიწყო მხოლოდ 14 დეკემბრიდან. მიუხედავად ამისა, დამზადება რაიონში შედარებით კარგად მიმდინარეობს. 20 დეკემბრისათვის კოლმეურნეობებმა თითქმის 100 პროცენტით შეასრულეს გეგმა, „ხოლო 25 ისათვის კი გადააჭარბეს.

დაშვებულ შეცდომების გამომჟღავნებით, მათი ბოლშევიკურად გამოსწორებით და ორ ფრონტზე გადამწყვეტ ბრძოლით, სოცშეჯიბრისა და დამკვრელობის ფართოთ გაშლით, მობილიზაცია უნდა უყოთ ყველა ორგანიზაციებს, სოფლის ყველა სასიცოცხლო ძალებს და კულაკობის წინააღმდეგ ღარიბ-საშუალო გლეხობის მტკიცედ დარაზმვით უნდა განვაგრძოთ მუშაობა დასახულ გეგმების მთლიანად შესრულებისათვის.

მ. ბარამია.

კულაკების აგენტები—შორს ლენინის პარტიიდან

(საქ. კომპარტიის (ბ) სენაკის რაისაკონტროლო კომისიის დადგენილებიდან)

სენაკის სარაიონო საკონტროლო კომისიამ 12 და 24 დეკემბრის დადგენილებით ორგანიზაციიდან გარიცხა პარტიის ოთხი წევრი და ერთი კანდიდატი, სხვებს კი გამოუტანა სხვადასხვა სახის პარტსასჯელი; აღნიშნულ პირებმა სოფლად მიმდინარე პოლიტიკურ და სამეურნეო კამპანიებში გამოიჩინეს აშკარა მემარჯვენეობა და დაამახინჯეს პარტიის გენერალური ხაზი.

ესენი არიან: **ისიდორე ადამია**—პარტიის წევრი 1921 წლიდან, სისტემატიურად არღვევდა პარტდისციპლინას, ჯერ ჩაეწერა და მერე ისევ გამოვიდა კოლექტივიდან, ეწეოდა კოლმეურნეობათა საწინააღმდეგო მუშაობას, მისი საქციელით კოლექტივიდან გავიდა 6 გლეხი; ის ხელს უშლის მიმდინარე დამზადებათა კამპანიას—გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან.

ილია ამბაკოსძე ზუალავა—ყოფ. წითელარმიელი, განიცდიდა იდეოლოგიურ მერყეობას, რის გამოც მისი ორი ძმა (ერთი მათგანი კომკავშირელია), გამოვიდნენ კომუნიდან და თან გაიყოლეს ორი გლეხი; სიმინდის, სოიასა და სხვათა დამზადების კამპანიაში არ ღებულობდა მონაწილეობას და შეკითხვაზე სურს თუ არა ჩაეწეროს კოლმეურნეობებში—განაცხადა: „რომ მას უნდა კოლექტივში შესვლა, მაგრამ დედა არ თანხმდება და არ იცის როგორ მოიქცეს“—ზუალავა გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან.

აპოლონი გარუჩავა, პარტ-კანდიდატი, სისტემატიურად ხელს უშლიდა სოფლად მასიურ პოლიტიკურ და სამეურნეო კამპანიებს და გამოდიოდა კულაკების დამცველად, არ ითვლება კოლექტივის წევრად; სიმინდის დამზადების კამპანიაში გამოიჩინა აშკარა მემარჯვენე გადახრა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან თვითონ არ ჩააბარა სიმინდის სასაქონლო ნაწილი დამამზადებელ ორგანიზაციებს. გარუჩავა პარტიის რიგებიდან გარიცხულ იქნა.

კალისტრატე აფხაზავა, პარტ-კანდიდატი 1925 წლიდან, უკანასკნელ ხანებში არ ესწრებოდა პარტკრებებს, იდეოლოგიურად მერყეობდა, არ შევიდა მის სოფელში არსებულ სას.-სამ. არტელში, ხელს უშლიდა სიმინდის დამზადების კამპანიას და განაცხადა, რომ მომავალშიაც არ ჩაეწერება კოლმეურნეობაში, გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან.

იოსებ ხუხია, პარტიის წევრი 1921 წლიდან, სისტემატიურად არღვევდა პარტდისციპლინას, არ ესწრებოდა კრებებს, ირიცხებოდა კოლექტივში, მაგრამ იჩენდა მერყეობას; სოიას დამზადების დროს არ გამოვიდა საერთო სამუშაოზე—გამოიჩინა სიმულიანტობა, კატეგორიული უარი განაცხადა სასაქონლო სიმინდის ჩაბარებაზე, გამოირიცხა პარტიიდან, როგორც მემარჯვენეობის აშკარა გამომხატველი და კულაკების დამცველი.

საყვედური გამოეცხადა სოფ. კოტიანეთის კომუჯრედის მდივანს ამხ. ვარლამ განგიას.

საყვედური გამოეცხადა სოფელ ფოცხოში და ზემო ჭალადიდში სიმინდის დამზადებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მიმაგრებულ ამხ. ისიდორე თელიას და ალექსი ბუკიას, რომლებმაც პარტიის კლასიური ხაზი დაამახინჯეს („მემარცხენე“ ნახტომი). რაც გამოიხატა იმაში, რომ მათ სიმინდის დამზადების გეგმა დაიყვანეს საშუალო და ღარიბ გლეხთა მეურნეობამდე.

მოვაშოროთ მემარჯვენე ოპორტუნისტები

(ჭიათურის რაიონი)

ლიჩის თემში დიდი ხანია რაც პარტ-უჯრედი არსებობს. სამწუხაროდ უჯრედის მუშაობა ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული, პრაქტიკულად უჯრედს არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღისათვის, საშემოდგომო თესვის, ფულადი სახსრების მობილიზაციისათვის და სხვ. უჯრედი დიდი მანძილით არის დაშორებული რაიონის ცენტრთან. რაიონული კომიტეტი ვერ უწევს უჯრედს სათანადო ხელმძღვანელობას; გარდა ამისა, ადგილობრივი პარტუჯ. მუშაობას ხელს უშლიან გადაგვარებული ელემენტები—ამ. ვანო და გრიგ. ლომიძეები და გ. თუთბერიძე, ისინი სოფლად ათასგვარ პროვოკაციას ავრცელებენ პოლიტიკური კამპანიების წინააღმდეგ და წინააღმდეგობას უწევენ სოფლად პარტიის და ხელისუფლების ღონისძიებათა გატარებას.

ავალაპარაკოთ ფაქტები: ვანო ლომიძე თემში ცნობილია, როგორც ინტრიგანი, მექრთამე და რაც მთავარია მემარჯვენე გადახრის კონკრეტული მატარებელია. ლომიძე 1930 წლის მაისამდე იყო ლიჩის სას. საბჭოს თავმჯდომარე. თავმჯდომარეობის დროს ლომიძე მექრთამეობას ეწეოდა, მან თავის სოფელში მეზობელ ღარიბ გლეხ მ. ხარიაშვილს მოწმობისათვის თხა მოატყუა. მოწმობის მიღებისათვის 15 ფუთი სიმინდი გადაახდევინა ღარიბ გლეხს ნიკ. ლომიძეს, ლომიძე მემარჯვენე ოპორტუნისტია. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ კულაკები განთავისუფლებულიყვნენ შეწერილ სათესლე სიმინდის გადასახადისაგან და ცდილობდა დაეფარა კულაკები. მიშა ლომიძემ გაფლანგა ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ობლიგაციები—36 მან. მან სას. საბჭოში მუშაობის დროს გაფლანგა 40 მან., არის ინტრიგანი.

მემარჯვენე ოპორტუნისტი და გადაგვარებული ელემენტი არის გრიგოლ ლომიძე. ის ეწინააღმდეგება საშემოდგომო თესლის ფონდის შექმნას. 16 ოქტომბერს ზედა ლაჩის გლეხების საერთო კრებაზე აშკარა წინააღმდეგ გამოვიდა კომუჯრედისა და საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების სათესლე ფონდის შექმნის შესახებ, და განაცხადა „თესლს არ გადავიხდი, რომ დამხვრიტოთ“; მან სოფლის პარტუჯრედი „ინტრიგანებად“ წარმოადგინა.

გრიგოლ თუთბერიძე ლიჩის თემის სოფ. წინაში სათესლე ფონდის შეგროვების წინააღმდეგ გამოვიდა იმ დროს, როდესაც კომუჯრედმა მას დაავალა ამ საკითხის მოგვარება და იყო თესლის შემგროვებელი ბრიგადის წევრი.

ჭიათურის რაიპარტკომმა სოფ. ლიჩის კომუჯრედს ასეთი გადაგვარებული ელემენტებით უნდა მოაშოროს.

დავით. მაისურაძე.

ვინ აფერხებს საკოლმეურნეო მოძრაობის ფართოდ გაშლას

(ჩხარის რაიონი)

სოფ. ზედა-საზანის პარტ-კომკავშირის ორგანიზაცია აქტიურად ჩაუდგა სათავეში საკოლმეურნეო მოძრაობას. პარტიის კომკავშირის წევრთა უმრავლესობა გაერთიანებული არიან სას.-სამ. არტელში, მაგრამ არიან ორგანიზაციის ზოგიერთი წევრები, რომლებიც გაურბიან კოლმეურნეობას.

პარტიის წევრი ხირგო გიორგაძე ამბობს, რომ კოლმეურნეობაში შესვლა ნებაყოფლობითია და რადგან მას არ სურს კოლექტივში შესვლა ძალით ვერავინ ვერ გააერთიანებს.

იოსებ გიორგაძემ გაყიდა ხარი და შემდეგ შეიტანა განცხადება არტელში მიღების შესახებ, რამაც სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია კოლმეურნე გლეხებს შორის. გლეხებმა მას უარი უთხრეს არტელში მიღებაზე.

პარტიის წევრი ირაკლი ჭანტურიძე ნადგრევად სთვლის კოლმეურნეობას. ამხ. სიმონ ნობაძე არტელში შეუსვლელობის მიზეზად ავადმყოფობას ასახელებს.

პარტიის წევრ სავლე გიორგაძეს და კომკავშირელ გრიგოლ ჩუბინიძეს არ მოსწონთ კოლმეურნეობის დღევანდელი ფორმა—არტელი და მოითხოვენ პირდაპირ კომუნაში გადასვლას. ეს მემარჯვენე -„მემარცხენე“ გადახრის თვალსაჩინო ფაქტებია. ადგილობრივმა პარტუჯრედმა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქცია. ზემოდანიშნულ ამხანაგების საქმე დასმული იყო გაერთიანებულ კრებაზე, კრებამ ისინი გარიცხა ორგანიზაციიდან.

გაბო და ბაგრატ ქუპატაძეები.

ორგანიზაციიდან გარიცხული არიან პარტიის უღირსი წევრები

(ზესტაფონის რაიონი)

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიონის საკონტროლო კომისიამ პარტიის რიგებიდან გარიცხა ქვემოთ-ჩამოთვლილი პირები:

აბესალომ ჭანკვეტაძე. კ. პ. წევრი 1921 წლიდან. ჭანკვეტაძე 1921 წლიდან ღვინით ვაჭრობდა, გაეყო მამა მისს ფორმალურად, რომ არ დაბეგრილიყო ინდივიდუალურად. მისი თემსაბჭოს თავმჯდომარეობის დროს—გაიფლანგა 700 მანეთი. ჭანკვეტაძე დღესაც აწარმოებს ღვინის ყიდვა-გაყიდვას—მამის ამოფარებით, გაურბოდა კოლექტივის ჩამოყალიბებას. მთლიან კოლექტივიზაციის დროს პირველ რიგში თავისი მიწები დაამუშავებია და შემდეგ დაშალა კოლექტივი, გაანადგურა ხელოვნურად გაშენებული ტყე.

ალექსანდრე ჭანკვეტაძე—კ. პ. წევრი 1921 წლიდან,—არის კულაკი, დაბეგრილია ინდივიდუალურად.

ალექსანდრე ებანოიძე—კ. პ. წევრი 1924 წლიდან, ბანდიტებს ხელს უწყობდა;

პოლიკარპე ხარალიძე—კ. პ. წევრი 1927 წლიდან—ბანდიტებს გადასცა იარაღი.

ილიკო გოგოლიძე—კ. პ. წევრი 1921 წლიდან,—ეწეოდა კოლმეურნეობის წინააღმდეგ მუშაობას.

ვლადიმერ ზანცაძე—კ. პ. წევრი 1925 წლიდან, გაფლანგა 1100 მანეთი. მიცემულია პასუხისგებაში.

ბიქტორ ჭუმბურიძე—კ. პ. წევრი 1913 წლიდან—მოიხსნა თანამდებობიდან, მიეცა უკანასკნელი გაფრთხილება—გლეხებისადმი უხეში მოპყრობისათვის.

შალვა მუშლაძე—კ. პ. წევრი 1926 წლიდან, მოიხსნა თანამდებობიდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური—სამსახურში დაგვიანებისა და ანგარიშში დეზორგანიზაციის შეტანისათვის.

ვლადიმერ ჩიტაძე—კ. პ. წევრი 1921 წლ., კოლმეურნეობის ხელის არ შეწყობისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ვასო არსენაშვილს—კ. პ. წევრი 1921 წ., გამოეცხადა სასტიკი საყვედური ხარის გაყიდვისათვის იმ მიზნით, რომ არ გაეერთიანებია კოლექტივში.

ვლადიმერ გველესიანი—კ. პ. წევრი 1928 წ. ,მიეცა გაფრთხილება გლეხებთან არასწორი მიდგომისათვის.

გავაჯანსაღოთ საბჭოთა აპარატის მუშაობა

დავრაზმოთ მშრომელი მასები აპარატის წმენდის ირგვლივ

შეუფერებელი ელემენტები „სოიუზმიასოს“ აპარატში

„სოიუზმიასო“-ს ამიერ-კავკასიის და საქართველოს კანტორების გამწმენდ საუწყებო კომისიის 9 და 10 იანვრის სხდომა საგულისხმო იყო იმ მხრივ, რომ გამომჟღავნდა მთელი რიგი უმზგავსობანი აპარატის მუშაობაში.. გამოირკვა, რომ განყოფილებებში [illegible] საქმისათვის შეუფერებელი ელემენტებისა მოკალათებულნი ყოფილან ცრუ-სპეცები. საბუღალტრო განყოფილებაში მღებავი თავს მოანგარიშეთ ასაღებს.

მღებავი სტატისტიკოსად

ჩვენ ამ დღეებში აღვნიშნავდით, რომ „სოიუზმიასო“-ს ამიერ-კავკასიის და საქართველოს კანტორების აპარატში კადრების მხრივ მდგომარეობა სანუგეშო ვერ არის. ვსწერდით, რომ აპარატში ბლომად არიან მოკალათებულნი თანამდებობისათვის შეუფერებელი ელემენტები.

ეს ნათლად დაამტკიცა სტატისტიკურ განყოფილების თანამშრომელი მოქ. პეტრე აბრამის ძე ტალკაჩნიკოვის წმენდამ. გამოირკვა, რომ ტალკაჩნიკოვი აპარატში მიღებულია „ყოვლის შემძლებელ“ პროტექციით. მუშაობს „სოიუზმიასო“-ს კანტორაში სტატისტიკოსად. საქმე იმაშია, რომ ამ საქმისადმი ის ვერ იჩენს ცოდნას და გამოცდილებას. წმენდამ გამოარკვია, რომ ტალკაჩნიკოვის სპეციალობას შეადგენს მღებაობა და არა სტატისტიკოსობა. ადმინისტრაცია ახასიათებს მას როგორც ცრუ-სპეცს და თანამდებობისათვის შეუფერებელს.

სამშენებლო გეგმა შეუსრულებელია

სამშენებლო განყოფილების უფროსი ინჟინერი მახუმანიანი დიდი ხანი არ არის რაც „სოიუზმიასო“-ს აპარატში მუშაობს. მუშათა ბრიგადა მახუმანიანს ბრალს სდებს საქმისადმი გულგრილობაში, მისი დაუდევრობით სამშენებლო გეგმა მხოლოდ 50 პროცენტით არის შესრულებული. როგორც უფროსი ინჟინერი ვერ იჩენს სათანადო უნარს ხელმძღვანელობის გასაწევად ადგილობრივ აღმშენებლობაზე. წმენდამ გამოარკვია, რომ მახუმანიანს დამთავრებული არა აქვს სამშენებლო დარგი.

შეუფერებელი თანამშრომლები

საბუღალტრო განყოფილების უფროსის ნიკიტ ივანეს-ძე ბეჟანოვის გამოსვლამ თავიდანვე მიიპყრო დამსწრეთა ყურადღება. მას ბუღალტერიის საქმიანობა არეულ-დარეული აქვს. იგი თანამშრომლებთან არა მეგობრულ დამოკიდებულებაშია. სხვათა შორის ბეჟანოვი უსაქმობის მოყვარულია. მან თავისი სამუშაო საქმეები გაანაწილა თანამშრომლებზე. „სოიუზმიასო“-ს აგენტისაგან ნება დაურთველად მიიღო სურსათი (ყველი კარაქი).

არა ნაკლებ საინტერესოდ ჩატარდა სამდივნოს გამგე მოქ. ირაკლის როსტომის-ძე ავალიანის წმენდა. მას ბრალად ედება ბიუროკრატობა, უფლების გადაჭარბება, სუსტად ასრულებს მიმოწერების შემოწმებას,მუშათა ბრიგადამ გამოარკვია, რომ მიმოწერილ ქაღალდების 70 პროცენტი ჭიანურდება, ხოლო 10 პროც. კი მთლიანად იკარგება.

მოქ. დულკის წმენდამ ნათელყო საქმისადმი მისი გულგრილობა. იგი 6 თვეა მუშაობს „სოიუზმიასო“-ს საქართველოს კანტორაში და ამ ხნის განმავლობაში თავის მუშაობის შესახებ ანგარიშს სამმართველოს არ აბარებს.

ავანსების მოყვარული

საინტერესოდ ჩატარდა აგრეთვე ვალერიან მიხაილოვის წმენდა, იგი „სოიუზმიასო“-ს ძველი მუშაკია, უყვარს ავანსების წაღება, მაგრამ დაბრუნებაზე არ ფიქრობს. მას დღესაც გადაუხდელი აქვს 1118 მანეთი და 25 კაპეიკი „სოიუზმიასო“-დან წაღებული ავანსის სახით. როდესაც კომისია ეკითხება ავანსის დაუბრუნებლობის მიზეზს, მოქ. მიხაილოვი ამაყად უპასუხებს, რომ ის სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე არ გადაიხდის წაღებულ ავანსს.

მუშათა ბრიგადამ მოითხოვა მოქ. მიხაილოვის სათანადოდ დასჯა ასეთი თაღლითობის ჩადენის გამო.

დაიწყო განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის წმენდა

დაიწყო განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის წმენდა.

აპარატის გამწმენდ საუწყებო კომისიის პირველი სხდომა შესდგა 10 იანვარს, საღამოს, განათლების მუშაკთა სახლში. კომისიის თავმჯდომარე ამხ. ოფციარი ხსნის კრებას და თავის შესავალ სიტყვაში ეხება წმენდის მნიშვნელობას. იგი დამსწრეთ აძლევს განმარტებას, თუ როგორ აწარმოებს კომისიის მუშაობა, და აფრთხილებს მათ, რომ არ ექნეს ადგილი გამოძახებულ პირებისადმი შეფასების დროს პირად მიდგომას, კერძო ანგარიშების გასწორების ცდები, ცილისწამების დასხვა და სხვ.

ამის შემდეგ განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალურ აპარატის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ: განათლების სახალხო კომისარი ამხ. გაიოზ დევდარიანი და მუშათა ბრიგადის თავმჯდომარე ამხ. მარქაროვი. (სახელგამის პირველი სტამბა).

მუშათა ბრიგადამ სთქვა ამხ. მარქაროვმა, მოახდინა, როგორც აპარატის, ისე ცალკე მუშაკების შესწავლა და გამოარკვია, რომ განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალურ აპარატში ადგილი აქვს პროტექციონიზმს, შრომის დისციპლინის დარღვევას. რაც გამოიხატება იმაში, რომ თანამშრომლები სისტემატიურად იგვიანებენ და არასაპატიო მიზეზით აცდენენ სამუშაო დღეებს, თანამშრომლები მოწყვეტილნი არიან მუშათა მასებთან, სექტორებს არა აქვთ სამუშაო, კულტურული და საწარმოო გეგმები, არ არის სწორი აღრიცხვა მოწაფეების და სკოლების რაოდენობის შესახებ, სკოლებს არა აქვთ მუშაობის გეგმები, განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის უყურადღებობით გვიანდება სამოსწავლო პროგრამების და სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემა და რაიონებისათვის მიწოდება,—აპარატში ნაკლებად ზრუნავს პროლეტმწერლების კადრის მოსამზადებლად, სუსტია ხელმძღვანელობა რაიონულ ბიბლიოთეკებზე, ფოსტის კორესპონდენციების გარჩევას ბიუროკრატიულად უდგებიან. მუშათა ბრიგადამ სუსტად სცნო ცენტრალურ აპარატთან არსებულ მცირე ნაციონალობათა სექტორის მუშაობა, აპარატში ნაკლებია დასაწინაურებელ მუშების რიცხვი და მათთვის კი არაა შექმნილი მუშაობის ნორმალური პირობები. თანამშრომელთა დიდი ნაწილი არ არის ჩაბმული საზოგადოებრივ მუშაობაში და სხვ.

აღსანიშნავია, რომ პირველ სხდომას დიდძალი ხალხი დაესწრო.

წმენდის ქრონიკა

14 იანვარს დაიწყება საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და ცეკავშირის აპარატების წმენდა.

15 იანვარს, იწყება მუშკოოპის ცენტრალური აპარატის და წერტილების წმენდა.

განათლების სახ. კომისარიატის აპარატის წმენდის გაგრძელება შესდგება 14 იანვარს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში ([illegible] № 3).

სახსრების მობილიზაციის გეგმის გადაჭარბებით შესრულებით

განვამტკიცოთ სოციალისტური მშენებლობა

მწვავედ დავარტყათ ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობას საკერავი მანქანების რეალიზაციაზე; აღმოვფხვრათ შემნახველ სალაროების უმოქმედობა

უმოქმედო შემნახველი სალაროები

საქართველოს შემნახველი სალაროების ცენტრალურმა სამმართველომ მუშათა ბრიგადების საშუალებით გამოიკვლია თუ როგორ მოემზადნენ დაზოგვის ერთთვიურისათვის თბილისის შემნახველი სალაროები და რამდენად აქტიურად არიან ისინი ჩაბმული „დაზოგვის ერთთვიურის“ ჩატარებაში. ბრიგადებმა გამოარკვიეს, რომ წარმოება-დაწესებულებებთან არსებულ შემნახველ სალაროების ერთ ნაწილს სრულიად არავითარი მუშაობა არ უწარმოებიათ მეანაბრეთა მოსაზიდად „თელასთან“ არსებულ შემნახველ სალაროს მუშაობის ნიშან წყალიც კი არ მოსჩანს. „თელასის“ თანამშრომლებმა არც კი იციან არსებობს თუ არა მათ დაწესებულებაში შემნახველი სალარო. ასეთივე მდგომარეობაა თბილისის ალმასკომთან არსებულ შემნახველ სალაროში. ამ დაწესებულებების ადგილკომებს არავითარი ზომები არ მიუღიათ „დაზოგვის ერთთვიურისთვის“ მოსამზადებლად დაწესებულებაში ლოზუნგები და პლაკატებიც კი არ გაუკრავთ.

მაუდის ფაბრიკასთან არსებულ შემნახველ სალაროს მუშაობა ჯერ კიდევ ვერ გაუშლია სათანადოდ, ვინაიდან ფაბრიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციები არავითარ დახმარებას არ უწევენ მას.

ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში ბრიგადამ ძლივს ძლივობით იპოვა შემნახველი სალარო. რასაკვირველია ამ სალაროს მუშაობა ოდნავადაც ნაყოფიერი ვერ იქნება.

როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის ადგილკომის ტექნიკური მდივანი ბრიგადას უმტკიცებდა, რომ ფაბრიკასთან შემნახველი სალარო არ არსებობს.

განათლების კომისარიატში „დაზოგვის ერთთვიურისთვის“ გამოყენებული კამპანიის ამოცანების გასაშუქებლად, აქამდე არ არის გამოყოფილი სახელმწიფო კრედიტების დამხმარე კომისია

ასევე სუსტად მიმდინარეობს კამპანია მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში. გამოკვლევაზე მისულ მუშათა ბრიგადას მიწათმოქმედების კომისარიატში უსიამოვნოთ შეხვდა ადგილკომის წარმომადგენელი რუხაძე, ხოლო როდესაც ბრიგადამ მუშაობა სუსტად იცნო და საჭიროდ დაინახა ზოგიერთ მითითების მიცემა, რუხაძემ იწყინა და განაცხადა—„ჩვენ მუშაობას ვერ გვასწავლითო“.

შემნახველი სალაროების სამმართველომ მაქსიმალურად და დაჩქარებით უნდა გამოიყენოს მუშათა ბრიგადების მიერ შეგროვილი მასალა და გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს რომ დაჩქარებით ამოძრავდნენ ზემოთ ჩამოთვლილი, აქამდე უმოქმედოთ მყოფი, შემნახველი სალაროები და მათ ყოველ მიზეზს გარეშე, გადაჭარბებით უნდა შეასრულონ, დაზოგვის ერთთვიურისთვის“ დასახული გეგმა.

ბრიგადის წევრი.

დაზოგვის ერთთვიური სიღნაღის რაიონში

„დაზოგვის ერთთვიური“-ს მოსამზადებელი მუშაობა სიღნაღის რაიონში დაგვიანებით დაიწყო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები არ აქცევენ „დაზოგვის ერთთვიურ“-ს საკმაო ყურადღებას და სათანადოთ ვერ აფასებენ მის პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობას, მაგალითისათვის ისიც საკმარისია, რომ „დაზოგვის ერთთვიური“-ს შტაბის სხდომაზე (რომელიც სამჯერ იყო მოწვეული), არც ერთხელ არ გამოცხადდნენ რაიფინგანის, სახკრედიტის და შემნახველ სალაროების დამხმარე სარაიონო კომისიის და სხვა წარმომადგენლები, რომლებიც ამავე დროს შტაბის წევრებადაც ითვლებიან.

მიუხედავად სხდომების რამოდენიმეჯერ მოწვევისა, არ მოხერხდა აგრეთვე ქალაქის და მის მახლობელ მდებარე სოფლები სახკრედიტის და საშემნახველო საქმის დამხმარე კომისიების თათბირი, რაც თვით სარაიონო კომისიის უმოქმედობით აიხსნება.

საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ რაიონული შემნახველ სალაროს აპარატი ვერ იჩენს საჭირო ინიციატივას ერთთვიურის ჩატარების საქმეში, შემნახველ სალაროების სამმართველომ ადგილებს თვენახევრის წინეთ მისცა დირექტივები, რომ სოფლებში გამოეყოთ შემნახველ სალაროს რწმუნებულები. ეს დირექტივა სიღნაღის შემნახველი სალაროს დღესაც არ შეუსრულებია.

არ არის გახსნილი სალაროები მსხვილ კოლმეურნეობებში და არტელებში; არ არის გაშლილი სათანადოდ აგიტაცია შემნახველ სალაროს და „დაზოგვის ერთთვიური“-ს მნიშვნელობის და დანიშნულების შესახებ, აგრეთვე არ არის გამოყენებული საგიტაციო მასალები (პლაკატები და ლოზუნგები).

პარტიისა და კომკავშირის, აგრეთვე რაიპროფსაბჭოს აქტიური მონაწილეობით ამ უკანასკნელ დროს მუშაობა გამოცოცხლდა. 7 იანვრისათვის დანაწილდა და ადგილებს დაეგზავნა საკონტროლო ციფრები; სალაროებზე და თემსაბჭოებზე მიმაგრებული იქნენ პასუხისმგებელი ამხანაგები.

გამოყოფილ იქნენ აგრეთვე „მსუბუქ კავალერიის“ ბრიგადები კამპანიის მიმდინარეობის შესამოწმებლად რაიონში. შემნახველ სალაროების თანამშრომელთა და შტაბის წევრების გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც დაესწრნენ რაიპროფსაბჭოს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები; შეიმუშავდა „დაზოგვის ერთთვიური“-ს შემხვედრი საკონტროლო ციფრები.

დაჩქარებული შრომის სექტორის მეანაბრეთა საკონტროლო ციფრი 450-დან გადიდებულ იქნა 2.000-მდე. ინდივიდუალური სექტორის მეანაბრეთა საკონტროლო ციფრი 850-დან ნაცვლად 1500-მდე. ანაბართა საკონტროლო ციფრი 27.000 მანეთიდან გადიდებულ იქნა 38.000 მანეთამდე. ამ დღეებში რაიპროფსაბჭოს ხელმძღვანელობით გამოიყოფა ბრიგადები კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად. თემსაბჭოებზე და სალაროებზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა თავი გამოაცხადეს დამკვრელად.

„დაზოგვის ერთთვიური“-ს წარმატებით ჩატარებაში სარაიონო სალარომ სოცშეჯიბრში გამოიწვია ჩოხატაურის და თელავის რაიონული შემნახველი სალაროები.

ნ—ძე.

საკერავი მანქანების რეალიზაცია

დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს

საკავშირო ცეკაია და სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, საკრედიტო დაწესებულებებს დავალებული აქვთ საკერავი მანქანების ვალდებულებათა რეალიზაცია. საქართველოში უნდა გასაღდეს 5700 ცალი ვალდებულება. აქედან 1 იანვრამდე გასაღებული იყო მხოლოდ 3.703 ცალი ანუ 64,9 პროც.

რეალიზაცია შედარებით უკეთ მიმდინარეობს ზესტაფონის და მარტვილის რაიონებში ზესტაფონის რაიონს 1 იანვრისთვის 270 ცალიდან გასაღებული ჰქონდა 165 ცალი, ხოლო მარტვილის რაიონს 105 ცალიდან 60 ცალი.

დანარჩენ რაიონებში საკერავ მანქანების ვალდებულებათა რეალიზაცია მეტად ნელის ტემპით სწარმოებს. რეალიზაცია განსაკუთრებით ჩამორჩენილია შემდეგ რაიონებში: გორის რაიონში—330 ცალიდან გასაღებული იყო მხოლოდ 69 ცალი; გურჯაანის რაიონში 355 ცალიდან—8 ცალი, სამხრეთ-ოსეთში 275 ცალიდან—57 ცალი, სტალინისის რაიონში—215 ცალიდან — 65 ცალი, სენაკის რაიონში—340 ცალიდან —49 ცალი, ლანჩხუთის რაიონში—260 ცალიდან—10 ცალი, ოზურგეთის რაიონში—265 ცალიდან—44 ცალი, ჩოხატაურის რაიონში—200 ცალიდან—38 ცალი და სიღნაღის რაიონში 350 ცალიდან—23 ცალი.

საკერავ მანქანებზე რომ გლეხობაში დიდი მოთხოვნილებაა ეს უდავო ჭეშმარიტებაა. მანქანების რეალიზაციის ასეთი ჩამორჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება აიხსნას. რომ საკრედიტო დაწესებულებები მთლიანად თვითმიმდინარეობაზე არიან დაყრდნობილი და სრულიად არაფერს არ აკეთებენ რეალიზაციის დასაჩქარებლად. საქმისადმი ასეთი ოპორტუნისტული მიდგომა დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ და საკერავი მანქანების ვალდებულებათა რეალიზაცია ფართოდ უნდა გაშალონ უახლოეს დღეებში

დამსწრე.

ოთხი ახალი სალარო

1 იანვრიდან 10 იანვრამდე თბილისში გაიხსნა ოთხი ახალი შემნახველი სალარო: აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში, საავიაციო პარკში, საქართველოს მუშფაკთან და ელკავშინდიკატთან.

ქალთა ბრიგადები

თბილისის შემნახველ სალაროებთან 10 იანვრამდე ჩამოყალიბდა ქალების 8 ბრიგადა, რომლებიც დაივლიან საბინაო-საიჯარო ამხანაგობებს და სალაროების მეანაბრეებად მოზიდავენ დიასახლისებს.

სახსრების მობილიზაცია პირველ იანვრისთვის

რაიონები	უნდა შემ. 1 იანვრამდე	შემოსულია 1 იანვრამდე	გეგმის შეს. %-ით
აფხაზეთი	2338600	1318700	56,4
აჭარისტანი	740400	264200	35,6
ქუთაისის	588900	469200	79,6
ზესტაფონის	507600	511000	100,6
სამტრედიის	310700	341500	109,4
ჭიათურის	445700	289800	65
ამბროლაურის	300590	436900	145,3
ბაღდათის	220900	243000	110
ვანის	227300	216700	95,3
ოკრიბის	131300	102800	78,2
ონის	252040	311800	123,7
ჩხარის	199340	137700	69,1
ქვემო სვანეთი	39300	24900	63.4
ცაგერის	202140	211300	104,5
ხარაგოულის	203900	147700	72,4
ხონის	208200	206700	99.3
სენაკის	416700	386800	92,8
მარტვილის	276400	206600	74,7
აბაშის	236700	268000	113,4
ზუგდიდის	366400	377900	103,1
ჩხოროწყუს	206000	117300	56,9
წალენჯიხის	220600	235100	106,5
ხობის	210120	148100	70,5
ოზურგეთის	391200	457100	116,8
ლანჩხუთის	254900	242900	95,2
ჩოხატაურის	217200	213100	98,1
ზემო სვანეთი	30800	—	—
ქალაქი ფოთი	72000	66800	92,8
სამხრეთ-ოსეთი	609900	332400	54,5
თბილისის	3195800	1989500	62,3
ბორჩალოს	561500	412500	73,5
ბაშკიჩეთის	216140	205400	95
წალკის	236640	232100	98
ლიუქსემბურგის	297100	376700	126,8
გარე-კახეთის	318000	256400	80,6
მცხეთის	270800	161700	58,2
ხევის	81700	98100	120,7
ერწო-თიანეთის	179690	109300	60,8
ალბულაღ-მანგლ.	410700	351300	85,5
დუშეთის	309600	293600	94,8
თელავის	638500	648800	101,6
სიღნაღის	1056490	960700	90.9
გურჯაანის	790440	700500	88,6
ლაგოდეხის	466200	427600	91,7
ყვარლის	545900	425900	78
გორის	589700	584600	99.1
ბორჯომის	209950	183200	87,2
კასპის	256400	206000	80,6
სტალინისის	436900	411600	94,2
ახალქალაქის	573400	512500	89,4
ბოღდანოვკის	310500	249700	80.4
ახალციხის	417140	403600	96,8
ადიგენის	283690	219400	77,3
ტოლოშის	198290	193300	97,5
სულ	28284230	18900000	81,2

ქვემო-სვანეთის, სენაკის, ჩოხატაურის რაიონებიდან და სამხრეთ ოსეთიდან 1 იანვრისთვის ცნობები არ არის მიღებული ამ რაიონების შესახებ ცხრილში მოცემულია ცნობები 20 დეკემბრისთვის.

მასიურად დავრაზმოთ მუშგლეხკორები ხუთწლედის გადამწყვეტი წლის გეგმების შესრულებისათვის

ძირითადი პრესის შემოწმებამ ადგილებზე გამოამჟღავნა: ადგილობრივი პარტიული უჯრედები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ კედლის გაზეთებს; სისტემატიური მუშაობა არ სწარმოებს მუშგლეხკორთა შორის; ზოგიერთ ადგილებში ვერ აფასებენ კედლის გაზეთების მნიშვნელობას; კედლის გაზეთებში მოთავსებული შენიშვნები უყურადღებოდ რჩება

თბილისის დეპოს მუშები მოითხოვენ

ამხ. ს. ორჯონიკიძის დაჯილდოებას ლენინის ორდენით

თბილისის დეპოს, საგზაო მეურნეობის სავაგონო პარკის და სადგურ თბილისის სხვა საწარმოთა დამკვრელ მუშკორების შეკრება სთხოვს საბჭოთა კავშირის ცაკს დააჯილდოვოს **ლენინის ორდენით ლენინის საუკეთესო მოწაფე ამხ. სერგო ორჯონიკიძე**, მედგარი ლენინური ბრძოლისათვის ტროცკიზმის, მემარჯვენე - „მემარცხენე“ გადახრების, მემარჯვენე-„მომემარცხენო“ ბლოკის და შემარიგებლების წინააღმდეგ. პარტიის გენერალური ხაზის დაცვისათვის, რევოლიუციონურ - თავდადებული ბრძოლისათვის კონტრ - რევოლიუციასთან სამოქალაქო ომის წლებში, სამაგალითო ბრძოლისათვის უყაირათობასთან, ბიუროკრატიზმთან მუშგლეხის სახალხო კომისრად ყოფნის დროს, დაუღალავი ბრძოლისათვის მავნებლობასთან, პროლეტარული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაძლიერებისათვის.

ქუთაისი აქაც ჩამორჩა

ქუთაისი დაგვიანებით გამოეხმაურა „პრავდას“ გამოძახილს მუშკორთა საკავშირო შეკრებისათვის წინასწარი სამზადისის მუშაობის ჩატარების შესახებ.

წარმოებებზე მიმაგრებულ მომხსენებელთა თათბირი ორჯერ იყო მოწვეული, მაგრამ არც ერთხელ არ შესდგა. ამ მხრივ სისუსტე გამოიჩინა რაიკომის კულტპროპმა, რომელმაც ქუთაისში ამ საქმისათვის „კომუნისტის“ ხელმძღვანელობის საკითხი სადაოთ გახადა. ცენტრის მიერ შემუშავებული დღის წესრიგში შეცვალა და საერთოდ სახვათაშორისოთ მიუდგა საქმეს.

მოუმზადებელი აღმოჩნდა ადგილობრივი სარაიონო გაზეთიც და ამის მიზეზი იყო ის, რომ 7 იანვრისათვის მხოლოდ ერთგან—ბარიტის წისქვილში, იქნა ჩატარებული შეკრება.

რა გამოირკვა ამ კრებაზე? კედლის გაზეთის არსებობას არავინ გრძნობს, ყოველ შემთხვევაში, მას ანგარიშს არავინ უწევს, არსაიდან არავითარი ხელმძღვანელობა გაზეთს არა აქვს, ასეთ გარემოებას თითო-ოროლა შემორჩენილი მუშკორიც „ლიკვიდატორულ“ განწყობილებამდე მიუყვანია.

პოლიტიკური ხელმძღვანელობა პრესაზე, განსაკუთრებით ქუთაისში იყო საჭირო, რადგან სირცოვ-ლომინაძის ბლოკთან დაკავშირებით აქ მთელი რაიხელმძღვანელობა შეცვლილი იქნა.

ამ გადახრების ზეგავლენისგან, არც სარაიონო გაზეთი ყოფილა დაზღვეული. ცხადია ასეთ ხელმძღვანელობის გამო, რა მდგომარეობაშიც იქნებოდნენ კედლის გაზეთები. ქარხნის მუშებმა განაცხადეს, რომ ხელმძღვანელობა გაზეთზე არ არის. არავის არ აინტერესებს წაიკითხოს გაზეთი და მიიღოს ზომები. აი დამსწრე მუშების ერთსულოვანი განცხადება. კამათში ათ კაცზე მეტმა მიიღო მონაწილეობა. ორატორების უმრავლესობა აღნიშნავდა პარტ. და პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობის სისუსტეს. ბარიტის ქარხნის გაზეთი ქუთაისში გამონაკლისს არ შეადგენს, არც სხვები არიან უკეთეს მდგომარეობაში.

სწორედ ამიტომ იყო საჭირო დროით სამზადისის მუშაობის დაწყება, წარმოებებში ერთდღიურ შეკრებათა ჩატარება, პრესის საფუძვლიანი შესწავლა და გადასინჯვა, შემოწმები ბრიგადების გამოყოფა, ბრიგადის გამოყოფა იმის შესასწავლათ, თუ სარაიონო გაზეთი, როგორ ხელმძღვანელობას უწევს მუშკორთა მოძრაობას და სხვ.

ძირითადი პრესის ასეთი შესწავლის შემდეგ, უფრო ადვილი გახდებოდა ახალ ფორმათა გამომუშავების კურსში შესვლა.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა: ბ. რიონიძე, ვ. ლალიაშვილი.

შეკრება წარმატებით ჩატარდა

(ქუთაისი)

მუშკორთა შეკრების ჩასატარებლად ქუთაისის რკ. გზელ მუშკორებმა ფართოდ გაშალეს მოსამზადებელი მუშაობა. გაზეთ „რკინის გზელის“ რედაქციამ თავის სასწრაფო თათბირზე გამოიმუშავა გეგმა მუშკორთა შეკრებისა. გამოჰყო ბრიგადა საცხო კედლის გაზეთების შესამოწმებლად და სხვ.

7 იანვარს მოეწყო კრება, რომელსაც დაესწრო 200-ზე მეტი დამკვრელი მუშამოსამსახურე. კრებაზე მოსმენილი იქნა ამხ. ლალიაშვილის მოხსენება ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი მუშკორთა და ძირითადი პრესის ამოცანებზე. შემდეგ კი მოხსენება გააკეთა გაზეთ „რკინისგზელის“ რედკოლეგიის თავმჯდომარემ, ხოლო თანამოხსენებით გამოვიდა პარტუჯრედის წარმომადგენელი ამხ. ერ. კიკალეიშვილი.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მუშკორთა მოძრაობის ხელმძღვანელობის საკითხებს, გაზეთში მოთავსებულ შენიშვნების უყურადღებობას და სხვ. (ამხ. ფარტვანია).

კედლის გაზეთზე მატერიალური დახმარების საკითხი უნდა მოგვარდეს, გაზეთის არსებული ფონდი არ არის საკმარისი, ამიტომ გაზეთის გამოცემა ფერხდება. (ამხ. იოსებ ბერძენიშვილი).

გაზეთის რედაქციების ხელმძღვანელობა ქუთაისში არადამაკმაყოფილებელია. მიუხედავად იმისა, რომ წელიწადზე მეტია სარაიონო გაზეთი გამოდის, ერთხელაც არ იყო რედაქციის მიერ მოწვეული მუშგლეხკორთა კონფერენცია.

დაბოლოს გაზეთ „რკინისგზელის“ რედაქციამ წაიკითხა პატაკი.

კრებაზე ათმა მუშკორმა რკინისგზელმა: ბურჯანაძემ, ლაკვეხელიანმა, ტყაბლაძემ, გვილავამ, იბოლაძემ, ივ. გაბუნიამ, ხუციშვილმა, ქორჭაშვილმა, ჩოგოვაძემ და გაბრიაძემ გამოაცხადეს თავი ხუთწლედის მესამე წლის სახელობის დამკვრელებად და მიიღეს ვალდებულება ახალ მუშკორთა ბრიგადების ჩამოყალიბების შესახებ ადგილობრივ და ტექნიკურ ორგანიზაციებთან დასაკავშირებლად. ამ მიზნით მათ შეჯიბრებაში გამოიწვიეს რიონჰესის, მაუდის, ძაფსალების, სამტრედიის და სტალინისის მუშკორები.

რკინისგზელი.

რიონჰესის პირველ უბანში

რიონჰესის პირველი უბნის მუშკორთა და დამკვრელთა კრებაზე ვრცელი მოხსენებით — ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი ძირედი პრესის ამოცანებზე, გამოვიდა გაზ. „კომუნისტი“-ს წარმომადგენელი.

თანამოხსენებით გამოვიდა რედკოლეგიის წარმომადგენელი ამხ. ვალ. ბაზაძე. ორატორი შეეხო რა რედკოლეგიის მუშაობას, აღნიშნა საერთოდ საგაზეთო მუშაობის დეფექტები:

— ხშირად გაზეთის გამოცემა ფერხდებოდა უსახსრობის გამო. მუშკორები საკმაოდ არ აშუქებდნენ წარმოების მტკივნეულ საკითხებს. ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჩვენ შენიშვნებს და სხვა. ამბობს მომხსენებელი. მოხსენების შემდეგ იწყება კამათი. ამხ. ჩუბინიძე, ოდიკაძე, ხეცურიანი, მდივანი, არსენიძე, მახარობლიძე, ოდიშარია და სხვა, მიუთითებენ მთელ რიგ დეფექტებზე: ცენტრ. გაზეთების სუსტი ხელმძღვანელობა, გაზეთ „ელექტრო - ტალღას“ არა საკმაო გამოხმაურება საკამპანიო საკითხებზე, გაზ. „ლენინის გზით“-ის უყურადღებობა ძირითად პრესაზე, ზოგიერთ შენიშვნებზე ზომების მიუღებლობაზე, შესახებ — მიღწევათა ბიუროს დღემდე ჩამოუყალიბებლობაზე და სხვა.

უჯრედის მდივანმა ამხ. ოდიკაძემ თავის სიტყვაში სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა კედგაზეთზე ხელმძღვანელობა და გვერდი აუხვია ზოგიერთ დეფექტებს ხელმძღვანელობის საქმეში. — არა საკმაოდ დარაზმვა დამკვრელ მუშკორების კედ. გაზეთის გარშემო, ცეხებში კედგაზეთების უქონლობა და სხვა.

დაბოლოს კედგაზეთის მუშკორებმა თავიანთ თავი ხუთწლედის მესამე წლის სახელობის დამკვრელებად გამოაცხადეს.

ჯესელი.

შევამოწმოთ მუშაობა

(ქუთაისი)

8 იანვარს, საღამოს სარეწ. კოოპერაციის კლუბში შესდგა სარეწ. კოოპერაციის მუშკორთა და დამკვრელ მუშათა შეკრება.

შეკრებაზე 50-დე მუშკორი გამოცხადდა, მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი: **ამხ. დვალი** შეეხო კედლგაზეთებისადმი არა საკმაო ხელმძღვანელობის საკითხს, — და აღნიშნა პროფკავშირის სავსებით უყურადღებობა კედლგაზეთებისადმი.

ამხ. ბუხაიძემ მუშკორთა ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ გაზეთებში არა საკმაოდაა გამახვილებული ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხები.

— მუშკორთა ფარულ დევნას კიდევ აქვს ადგილი, საჭიროა გადამჭრელი ზომები მდევნელის წინააღმდეგ. უნდა მოეწყოს მათი გასამართლება — განაცხადა **ამხ. ვაწაძემ**.

დაბოლოს რედკოლეგიის მიერ წაკითხულ პატაკში — სარეწკოოპერატივში მყოფი 40 დამკვრელი მუშკორი, მოვალეთ სთვლის თავს ხუთწლედის მესამე წელში, შეამცირონ თვითღირებულება 15 პროც.-ით და გაადიდონ შრომის ნაყოფიერება ხუთწლედის მეორე წელთან შეფარდებით ორმაგი გადაჭარბებით.

ვ. ლ.

კედლის გაზეთი ხელმძღვანელობის გარეშე

ავჭალის შუშის ქარხანა

ავჭალის, ლენინის სახელობის შუშის ქარხნის მუშა დამკვრელების და კორესპონდენტების შეკრებაზე საკავშირო მუშგლეხკორთა თათბირის მოწვევასთან და გაზეთ „პრავდას“ მოწოდებასთან დაკავშირებით, საფაბრიკო-საქარხნო პრესის ამოცანების შესახებ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის წარმომადგენელი ამხ. ნ. იტოიევი. მომხსენებელი შეეხო როგორც ხუთწლედის მესამე წელში ადგილობრივი პრესის ამოცანებს, აგრეთვე მუშგლეხკორთა ხელმძღვანელობის მთელ რიგ საკითხებს. მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე ადგილობრივი გაზეთის ნაკლზე და მიღწევებზე და აღნიშნა ქარხნის გაზეთის „წითელი შუშის მბერავის“ როგორც მიღწევები, ისე დეფექტებიც. გაზეთის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ გაზეთის მუშაობაში ჯერ კიდევ არ არიან საკმარისად ჩაბმული ქარხნის მუშები. 240 მუშაში მუშკორთა რიცხვი 10—12 კაცით განისაზღვრება და ხშირად მოთავსებული წერილები მხოლოდ რამდენიმე პირს ეკუთვნის. გაზეთთან არ არსებობს მიღწევათა ბიურო, გაზეთს არ აქვს ხელმძღვანელობა ცენტრ. გაზეთებიდან. სუსტი იყო აგრეთვე ხელმძღვანელობა ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალური ორგანიზაციებისაგან. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მუშაობა გამოცოცხლდა. გაზეთთან არ სწარმოებს მუშკორთა და შენიშვნების აღრიცხვა. რაც მთავარია, შენიშვნებს ადმინისტრაცია მეტად სუსტად ეხმაურება. მოხსენება გადაითარგმნა რუსულადაც.

შეკითხვების შემდეგ კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: გრომოვი. აბაზოვი, კოსტა ივანოვი, მიხეილ კუზნეცოვი, პ. სემუშკინი, მიდევიჩი, პ. იულიოვი, შალი და სხვ. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, ქარხანაში თვითკრიტიკის არასაკმარისად გაშლას. ცენტრ. გაზეთების მიერ ქარხნის უყურადღებობას.

ადგილობრივი ყოფილი ორგანიზაციების რომლებიც მოხსნილ იქნენ დაუდევრობის გამო და საერთოდ ადმინისტრაციის უყურადღებობას მოთავსებული წერილების შესახებ.

დასასრულ კრებაზე არჩეულ იქნა სამი დამკვრელ მუშკორთა ბრიგადა.

ქრონიკა

თანხების შეტანა დირიჟაბლების ასაგებ ფონდში

სახელმწიფო ბანკის ა.-კ. საოლქო კანტორამ დირიჟაბლების ასაგებ ფონდში შემოსულ თანხების კონცენტრაციის და მათი თავის დროზე გადაგზავნის მიზნით, თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოში გახსნა ცენტრალიზაციაქმნილი კონტოკორენტული ანგარიში № 86111. ყველა სახელმწიფო და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა თანხები დირიჟაბლების ასაგებ ფონდში უნდა შეიტანონ აღნიშნულ მიმდინარე ანგარიშზე.

თეატრ „ლურჯი ხალათის" გასტროლები

14 იანვრიდან რუსთაველის თეატრში იწყებს გასტროლებს მოსკოვის სახელმწიფო თეატრის „ლურჯი ხალათის" საბაზო ჯგუფი.

თეატრი „ლურჯი ხალათი" თბილისში დაჰყოფს 4—6 დღეს, რის შემდეგაც მიემგზავრება შემდეგი მარშრუტით: სომხეთი — ყირიმი—უკრაინა. თბილისში „ლურჯი ხალათის" თეატრი ჩამოვიდა დონის როსტოვსა და ბაქოში გამართული გასტროლების შემდეგ.

სხვადასხვა

◆ **საფ.-კოოპერატიული ინსტიტუტის** კრედიტის და ბანკების კათედრის საჯარო სხდომაზე 15 იანვარს მოხსენებას წაიკითხავს დოც. ნ. ქოიავა შემდეგ თემაზე: „ფულადი სახსრების მობილიზაციის შესახებ".

მუშათა მომარაგება

შეკერილი ტანსაცმელის ბაზრის გამოკვლევა

მუშკოოპმა გამოყო სპეციალური კომისია შეკერილი ტანსაცმელის ბაზრის გამოსაკვლევათ. კომისიამ გამოარკვია, რომ მუშკოოპის მაღაზიები ვერ ასაღებენ ე. წ. განსაკუთრებული ფონდის შეკერილ ტანისამოსს, რადგან ტანისამოსის ასორტიმენტი არეულია, პატარა ზომის პიჯაკთან დიდი ზომის შარვალია და პირიქით. გარდა ამისა ტანისამოსი არაა ისე შეკერილი, რომ აკმაყოფილებდეს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. მიღებული ტანისამოსის უდიდესი ნაწილი პატარა ზომისაა და არ შეეფერება მუშკოოპის შეკვეთას.

მუშკოოპმა გადასწყვიტა აღნიშნული ტანისამოსი უკანვე გადაგზავნოს და გამოიწეროს შესაფერი ასორტიმენტის ტანისამოსის ახალი პარტია.

130.000 მანეთის აბრეშუმის ქსოვილები

„ზაკსოიუზის" დადგენილებით თბილისის ბაზარზე გასასაღებლათ გამოშვებულია — 130.000 მანეთის აბრეშუმის ქსოვილები.

კარტოფილის მიღება

ამ დღეებში მუშკოოპი მიიღებს 4 ვაგონ კარტოფილს, რაც უკვე გამოგზავნილია ბაქოდან. სულ ბაქოში თავმოყრილია მუშკოოპის მიერ შეძენილი 15 ვაგონი კარტოფილი.

მიღებისთანავე კარტოფილის განაწილება დაიწყება მიზნობრივი ავანსების შემტანებზე.

ა.-კ. სამალარიო კომიტეტის პლენუმი

გუშინ საღამოს ა-კ. მთავრობის სასახლეში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სამალარიო კომიტეტის მეორე პლენუმი. პლენუმი გახსნა ამხ. გ. კუჭაიძემ:

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, მოსმენილი იქნა კომიტეტის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება და ამხ. ცომაიას მოხსენება მალარიასთან ბრძოლის საკონტროლო ციფრების შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რამდენად გავრცელებულია ა-კ.-ში მალარია და ამბობს, რომ წელს მთელ ა-კ.-ში აღრიცხული იქნა მალარიით დაავადებული 2.000 კაცი. აქედან 16—50 წლის ასაკის, ე. ი. მუშური ასაკის 1,5 მილიონი კაცი. მალარიით დაავადების გამო ა-კ. ყოველწლიურად იკარგება 40 მილიონამდე შრომა-დღე, რაც ფულად გამოხატულებაში 80.000 მილიონ მანეთს აღემატება. მალარიით დაავადებული არიან უმთავრესად მაღალ მოსავლიანი დაბლობი ადგილები, რომლებიც ინტენსიურ კულტურათა განვითარების დიდ შესაძლებლობას შეიცავენ. მალარიასთან ბრძოლა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, ვინაიდან ამის გარეშე შეუძლებელი იქნება ჩვენი სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება.

გასულ წელს მალარიასთან ბრძოლაზე დაიხარჯა 1,5 მილიონი მანეთი. მიმდინარე წლის გეგმით ამ მიზნისათვის გადადებული იქნება 5.444 ათასი მანეთი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მალარიასთან ბრძოლა იმდენად დიდი საკითხია რომ იგი არ შეიძლება მთლიანად მარტო ერთ უწყებას დაეკისროს. ორატორები აგრეთვე ერთად აღნიშნავდნენ, რომ მალარიასთან ბრძოლას აწარმოებენ ცალკე ორგანიზაციები და ამ მუშაობაში ხშირად ადგილი აქვს უგეგმობას, ამიტომ საჭიროა მალარიასთან საბრძოლველად გადადებულ თანხების კონცენტრაცია, რომ შესაძლო გახდეს ამ თანხების უფრო ნაყოფიერად გამოყენება და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ფართოდ დაყენება იმ რაიონებში, სადაც მებამბეობა უნდა განვითარდეს.

ამიერ-კავკასიის პირველი ენერგეტიული ყრილობა

სევანის ტბა ენერგიის უდიდესი წყაროა

11 იანვრის საღამოს პლენარულ სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ინჟ. ტერ-ასტვაცატუროვის მოხსენება სევან-ზანგის პრობლემის შესახებ. სევანის ტბა, სადაც ამჟამად მხოლოდ მეთევზეობაა განვითარებული. წარმოადგენს ენერგიის უდიდეს წყაროს. ეს ტბა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც ბუნებრივი წყალსაცავი ელექტრონის ენერგიის მისაღებათ ერთის მხრივ, და მახლობელი რაიონების მოსარწყავად—მეორეს მხრივ.

სევანის ტბის გამოყენებას, როგორც მომხსენებელმა განაცხადა, ძველი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინად, ერთმა ინგლისელმა კონცესიონერმა გადასწყვიტა იქ აეგო დიდი ჰიდრო-ელსადგური, საიდანაც ელექტრონის ენერგიას მიაწოდებდენ თბილისსა და კავკავს. სევანის ტბის, როგორც ენერგიის წყაროს გამოყენების საკითხი მეფის მთავრობის წინაშეც იქნა დასმული, მაგრამ ამ საკითხის პრაქტიკულ ნიადაგზე დასმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი.

სევანის ტბის გამოყენებისათვის საჭიროა, რომ წყლის დონე მასში დაკლებულ იქნას 50 მეტრით. ამასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ხდება ჰავის ცვლილებები. ახალი ადგილების დაჭაობიანება, ტბის საბოლოო ამოშრობა და სხ. ამის გამო საჭიროა წინასწარ იქნას შესწავლილი—საიდან, ან რა რაოდენობით მოდის წყალი ტბაში, რა რაოდენობის წყალი გადის (მდინარეების სახით) ტბიდან, როგორია ნალექების რაოდენობა, ვარგა თუ არა ტბის წყალი სარწყავად და სხვ.

იმ ხნიდანვე როდესაც საბჭოთა მთავრობამ ამ პრობლემის მოგვარებას შესაფერი ყურადღება მიაქცია, დაწყებულ იქნა სევანის ტბის გამოყენების საქმესთან დაკავშირებით ყველა საკითხების მეცნიერული გამოკვლევა და შესწავლა. ტბის რეჟიმის გამოსარკვევად ამჟამად მოწყობილია 17 ჰიდრო-ელექტრო პოსტი, 20 ნალექბისა და წვიმის საზომი სადგური, 17 მეტეოროლოგიური სადგური და სხვ.

გამოირკვა, რომ თუ ტბაში წყლის დონემ 50 მეტრით დაიკლო, მიღებული წყლის მარაგით შესაძლებელი იქნება მახლობელი მიწის ნაკვეთების მორწყვა და ამავე დროს შესაძლებელი გახდება მთელი რიგ ელექტრო-სადგურების აგება. ტბიდან წყალი გამოშვებული იქნება დიდი გვირაბის საშუალებით. გვირაბთან მოეწყობა პირველი ჰიდროელსადგური, მეორე სადგური აგებული იქნება მცირე მანძილის დაშორებით ტბიდან გამოყვანილ წყალზე და მდ. ზანგზე. აგებული იქნება აგრეთვე სხვა სადგურებიც, რომლებიც ერთი მეორესთან იქნებიან დაკავშირებულნი. ყველა ჰიდროელსადგურების საერთო ძალოვნება დაახლოებით 250.000 ცხენის ძალამდე მიაღწევს და ყოველწლიურად მოგვცემენ ოთხ მილიარდამდე კილოუატ-საათ ენერგიას.

მახლობელი მიწის ნაკვეთების მოსარწყავად და ჰიდრო-ელსადგურების ასაგებად სევანის ტბის გამოყენებისათვის საჭირო იქნება დაახლოებით 150.000.000 მანეთის დახარჯვა. აქედან 15 მილიონი დაჯდება სევანიდან გამოშვებული წყალით მახლობელი რაიონის მორწყვა, ხოლო დანარჩენი 135 მილიონი საჭირო იქნება ჰიდრო-ელსადგურების ასაგებათ.

ეს ხარჯი არ უნდა ჩაითვალოს დიდათ. რადგან სხვა პირობებში და სხვა ქვეყნებში 250.000 ცხენის ძალიანი ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ გაცილებით მეტი თანხებია საჭირო. გარდა ამისა სევანის ტბაზე ჰიდრო ელსადგურების აგება. იმდენად რენტაბელურია, რომ თითო კილოუატ-საათი ენერგიის თვითღირებულება მხოლოდ 1 კაპეიკი იქნება.

1938 წელს ამიერ-კავკასიის მრეწველობისათვის საჭირო იქნება 8 მილიარდი კილოუატ-საათი ენერგია. ამ მოთხოვნილების დიდი ნაწილი უნდა დაიფაროს სევანის ტბაზე აგებული ჰიდრო-ცენტრიდან. თუ ეს არ მოხდა, მაშინ მეორე ხუთწლედის ბოლოსაც ჩვენი მრეწველობისათვის შესამჩნევი იქნება ელექტრონის ენერგიის დიდი დეფიციტი.

სევან-ზანგის პრობლემის დადებითად გადაწყვეტა უდიდეს გავლენას მოახდენს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის წარმატებაზე. ამიტომ ამ მშენებლობის დაწყება დღის წესრიგის მორიგ საკითხად უნდა იქნას აღიარებული.

—:—

ყრილობის მორიგ პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ინჟ. ა. ტერ-ხაჩატუროვი, რომელიც შეეხო ჰიდრო-სადგურების მუშაობის ეკონომიურ მხარეს და ორთქლით მომუშავე ელექტრო-სადგურების სარგებლიანობას ამიერ-კავკასიის პირობებში.

ამხ. ხაჩატუროვის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. დღეს საღამოს შესდგება ყრილობის უკანასკნელი სხდომა.

ვინ აფერხებს ნავთის წესიერ მიწოდებას

უკანასკნელ დროს თბილისში ადგილი აქვს შეფერხებას ნავთის მიწოდების საქმეში. ამის მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მუშკოოპმა დღემდე ვერ შესძლო თავის აპარატის ისე გარდაქმნა, რომ ნავთის განაწილება სწარმოებდეს წესიერათ. ნავთი არის, მაგრამ მუშკოოპს ტრანსპორტი არა აქვს, რის გამო ფერხდება მოსახლეობის ნავთით მომარაგება. მუშკოოპს არ გაუთვალისწინებია შარშან ზამთარში ტრანსპორტის სიმცირით ნავთის ბაზარზე შექმნილი არანორმალური მდგომარეობა და ზაფხულის განმავლობაში არც კი უფიქრია იმაზე, რომ მიმდინარე ზამთარს მომზადებული შეხვედროდა. პირიქით, მუშკოოპის სათბობ მასალის განყოფილების დანაშაულებრივი დაუდევრობის წყალობით უფრო გაუარესდა ნავთის განაწილების საქმე. მუშკოოპმა ზაფხულში არ შეაკეთა ნავთის გადასაზიდი კასრები, რის გამო მას დღეს აქვს 18 კასრით ნაკლები, ვიდრე ჰქონდა ზაფხულში, როცა საერთოდ ნავთზე ბევრად ნაკლები მოთხოვნილებაა.

ნავთის ხელით გამყიდველები სარგებლობენ ამით და ნავთს გაძვირებულ ფასებში ჰყიდიან, მუშკოოპი კი ნავთის გამყიდველების ასეთი სპეკულიაციის წინააღმდეგ არავითარ ბრძოლას არ აწარმოებს.

საჭიროა ზომების მიღება მოსახლეობისათვის ნავთის დროზე და შეუფერხებლად მიწოდებისათვის. ამავე მიზნით პასუხი უნდა მოეთხოვოს ნავთის სპეკულიანტებს და ყველა იმათ, რომელთაც არევ-დარევა აქვთ ნავთის განაწილების საქმეში.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქართველოს სსრ მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულების გაუქმების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულება, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის მაისის 6-ის დადგენილებით (კან. კრ. 1930 წ. 17 №-ი, მუხ. 269 და 271) და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის სექტემბრის 8-ის დადგენილება საქართველოს სსრ სამეცნიერო აკადემიის წევრთა პირველი შედგენილობისა და მისი პრეზიდიუმის დამტკიცების შესახებ (გაზ. „კომუნისტი" №-ი 218).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალ. ამსრ. **ლ. სუხიშვილი**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია**

1930 წ. დეკემბრის 31.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

„ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით კულაკურ მეურნეობების ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგვრის ღონისძიებათა თაობაზე" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 8-ის დადგენილების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის მე-3 აბზაცში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით კულაკურ მეურნეობების ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგვრის ღონისძიებათა შესახებ" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის, იანვრის 8-ის დადგენილების (გაზ. „კომუნისტი"-ს მე-8 №-ი 1931 წ. იანვრის 9-სა) მე-2 მუხლის „ა" პუნქტის მე-2 აბზაცში სიტყვები „სამესაქონლეო მეურნეობისათვის — 1 მწყემსის თანაშემწე" შეიცვალოს შემდეგ სიტყვებად:

„სამესაქონლეო მეურნეობისათვის: მეცხვარეობაში—1 მწყემსი, ხოლო სხვა სახის მესაქონლეობისათვის—1 მწყემსის თანაშემწე".

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე— **ბ. გოგია**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე— **ა. ანთაძე**

1931 წ. იანვრის 10.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის ტრამვაის შეღავათიანი ბილეთების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თბილისის მუშებს თბილისის ტრამვაის ბილეთები მიეცემა შეღავათიან ფასებში:

2. ბილეთის შეღავათიან ფასებს იხდიან თვით მუშები, ხოლო განსხვავებას საერთო და შეღავათიან ფასებს შორის—სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ის საწარმო, სადაც მუშა მუშაობს.

3. თბილისის ტერიტორიაზე არსებულ სამეურნეო ანგარიშზე მომქმედ ყველა საწარმოს ევალება წარუდგინოს ტრამვაის დირექციას ორი კვირის განმავლობაში ცნობები მისთვის საჭირო შეღავათიანი ბილეთების რაოდენობის შესახებ.

4. სტუდენტს შეღავათიანი ბილეთი მიეცემა არსებული წესისამებრ—იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი არ მსახურობს და ინსტიტუტიდან ორი კილომეტრზე უფრო ახლო არ ცხოვრობს.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 1931 წ. იანვრის 15-დან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. გოგია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე: **ა. ანთაძე.**

1931 წ. იანვრის 10.
თბილისი — სასახლე.

იურიდიული დახმარება

„სოიუზტრანსის" წნორის-წყლის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებს.

კითხვა: რას ნიშნავს „აღურიცხველი შრომა" და შეიძლება თუ არა იგი გავრცელებულ იქნას დაბალ კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებზე?

პასუხი: თუ წარმოება-დაწესებულებაში ამა თუ იმ თანამდებობის პირისათვის, მისი მუშაობის პირობებისა და ხასიათის მიხედვით, სამუშაო დღის ნორმით განსაზღვრა შეუძლებელია, დაქირავებული შრომით სარგებლობა ხდება სამუშაო დღის ნორმის განუსაზღვრელად, რასაც გულისხმობს „აღურიცხველი შრომა".

„აღურიცხველი შრომის" გამოყენება შეიძლება ყოველ თანრიგის მუშა-მოსამსახურის მიმართ, მხოლოდ იმ თანამდებობათა ნუსხისა და წესების მტკიცე დაცვით, რაც განსაზღვრულია ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ. (იხ. ა.-კ. შრომსახკომის დადგენილება № 7 „აღურიცხველი სამუშაო დღის მუშაკთა შესახებ" 1929 წლის თებერვლის 4).

შემთხვევები

● ოჯახური უსიამოვნობის ნიადაგზე თავი მოიწამლა ნინა თონიკის-ასულ გედევანიშვილმა. გედევანიშვილი საექიმო დახმარებით სიკვდილს გადაარჩინეს.

● გაქურდეს ანნა ელიას-ასული ნავტალოვას ბინა (ფიგნეს ქუჩა № 15), საიდანაც მოიპარეს 1000 მან. ღირებული ტანსაცმელი.

● პლეხანოვის პროსპექტზე ტრამვაის ვაგონი № 204, რომელსაც მართავდა ვატმანი პრაკოფი პავლეს-ძე ოსადჩი, დაეჯახა შაქრო ავდალიან-ძე ალიევს და მძიმედ დაჭრა. დაშავებული მოათავსეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

● ხანძარი. განოვის ქუჩა № 19-ში ცეცხლი გაუჩნდა მარიამ მხეიძის ბინას. ცეცხლი ჩააქრეს. ზარალი უმნიშვნელოა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ს საინფორმაციო სექტორი სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ 13 იანვარს დღის 12 საათზე ც. კომიტეტში ამხ. გვათუასთან (ოთახი № 32); ვ. დევაძე („ახ. კომუნისტი"), მელიქაძე (კომ. ბანკი), ჯაფარიძე (საქ. მიწსახკომი), კანდელაკი („ინტურისტი"), ჯიბუტი (ამიერ-კავკ. მებამბეობის კომიტეტი), ყრუაშვილი (საქართველოს ა.ლ.კ.კ. ც.კ.), ჭყონია (საქ. კაცი), ნაზაროვი (საქ. ცაკი), ზიფერტი (საქართველოს ცაკი), გორდეზიანი (საქ. მიწსახკომი), კოჭლავაშვილი (საქ. ფიზკულტ. უმაღლესი საბჭო), კიკნაძე (საქ. ფიზკულტ. უმაღ. საბჭო), ბეჟანიაშვილი (ს.პ.კ.ს.)

14 იანვარს, დილის ზუსტ 9 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ლენრაიკომის შენობაში შესდგება ოე-სემინარის მორიგი სხდომა. დღის წესრიგია საკითხი პარტორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების შესახებ. წრის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

განათლების მუშაკთა სახლში, დღეს, საღამოს 7 საათზე, შესდგება ქალაქის ოლქის მასწავლებელთა კომუჯრედის დახურული კრება. დასწრება სავალდებულოა.

დღეს, საღამოს 7 საათზე მე-8 რკ. გზ. შრომის სკოლის შენობაში (პლეხანოვის 136) შესდგება ლენრაიონის განათლების მუშაკთა კომუჯრედის ღია სხდომა

დღეს, საღამოს 7 საათზე ევანგულოვის ქ. № 12 შესდგება სამედ. ინსტ. კომუჯრედის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება. დასწრება სავალდებულოა.

— **საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისიაში** ამხ. ლომიძესთან (ოთახი № 13) სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეს ამხ. ივანე ასლანის-ძე ქსოვრელი.

— **ა.-კ. სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტის** კ.პ. (ბ) და ა.ლ.კ.კ. უჯრედების ღია კრება შესდგება დღეს, საღ. 8 საათზე.

— **დღეს 2 საათზე შესდგება სამართლის ინსტიტუტის** კომუჯრედის ბიუროს სხდომა, უნდა დაესწრონ ამხ. ხარაბაძე, თუმანოვი, ჟულუხია, მეტრეველი, ალონია და ჯინჭარაძე. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: კაპანაძე, შუბაშვილი, ცისვაძე, ტურძილაძე, კაშია, კალანდია, ბერია და აბესალაშვილი.

საქ. კ.პ. (ბ) ლენრაიკომი იუწყება, რომ 14 იანვარს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბის სალექციო დარბაზში მოწვეულია საწარმოო კომუჯრედების მდივნების თათბირი ფაბქარხკომების თავმჯდომარეებთან, ა.ლ.კ.კ. უჯრედების მდივნებთან, რაბ. და გამომგ. ბიუროს საწ. თათბირებთან ერთად. დღის წესრიგშია მოხსენებები ადგილებიდან.

დღეს, საღამოს 7 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ცეკას პარტმუშაობის კაბინეტში შესდგება იმ კურსანტების პირველი მეცადინეობა, რომლებსაც განცხადება აქვთ შემოტანილი წითელი პროფესურის ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაში. ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: გრანკია გრიგოლი, გუმარევა ელისაბედი, მოსიევი სერგო, ტაბრაევი, ლორთქიფანიძე დიმიტრი, მიქავა ბარნაბ, მამუკაშვილი ნინა, სადრაძე ნიკოლოზ, მჭედლიშვილი ზაქრო, რუბკი თედორე, ბელიავსკი ივანე, კარიცკი, აღლაძე თედორე, მგალობლიშვილი ნინა, მირიანაშვილი გრ., ვლადიმიროვი ნიკ., რეზენაშვილი, ჩიკვაიძე ი., კერშენი ალექსანდრე, ბალანჩივაძე აქსენტი, თოდრია აბ., ობოლაძე იროდიონ.

— **საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილება** სთხოვს ქვემოდ აღნიშნულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 12 საათზე ამხ. ჯალიაშვილთან. ამხ. მელიქოვი, დავიდოვი (ვაჭრობის კომისარიატი), მახათაძე (კომკავშირის ცეკა), მარინი (გრუზგოსპრომსტროი"), ამხ. ბაბუაშვილი უნდა გამოცხადდეს ამხ. ავეტისოვთან, ხოლო ამხ. ნუცუბიძე (საგზაო ტეხნიკუმი) ამხ. აფციაურთან.

— **საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კულტაგიტპროპში** (ოთახი № 21) დღეს 2 საათზე შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მარჯანიშვილი, ალავიძე, თანიაშვილი, შავგულიძე, მანაგაძე, სომხური და რუსული თეატრების წარმომადგენლები, გამსახურდია, როზენფელდი, დიასამიძე, პოლოსოვი, დუდუჩავა, ბერიძე და ჯანაშვილი.

— საქ. კ.პ. (ბ) თბ. ორგ. ქალაქის რაიკომის კადრების სექტორი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ 13 იანვარს 4 საათისთვის კადრების სექტორში ამხ. გიორგობიანთან. ახვლედიანი კირილე, ალექსის-ძე № 36 უჯრედი, გვარჯალაძე ერმალოზ ლუარსამის-ძე მე-28 უჯრედი, სტურუა ალექსანდრე ოსენის-ძე მე-79 უჯრედი, კოპალეიშვილი აბესალომ ამბაკოს-ძე მე-19 უჯრედი, სარქისოვი ნიკოლოზ სერგოს-ძე მე-70 უჯრედი, თოდრია აბელ პავლეს-ძე მე-99 უჯრედი, გრიგორიევი სერგო ბესარიონის-ძე მე-17 უჯრედი, გოგუა კირილე სამსონის-ძე მე-86 უჯრედი, ჩანკვეტაძე დავით გიორგის-ძე მე-92 უჯრედი, თედეევი ვლადიმერ მე-19 უჯრედი.

13 იანვარს, საღამოს 9 საათზე სამხაზველოს აუდიტორიაში შესდგება საგზაო-საინჟინერო ინსტიტუტის უჯრედის საერთო კრება კომკავშირელებთან ერთად.

ქართული სახელმწიფო დრამა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

18 იანვარს
მე-6 აბონემ მე-3 წარ.
როგორ

16 და 17 იანვარს
ხალხური თქმულება
არსენას ლექსი
აბონიმენტის გარეშე

ვინც წარმოდგენის დღის 2 საათამდე არ შემოიტანს მორიგ მე-3 შემოსატანს, წარმოდგენას ვერ დაესწრება და მათი ადგილები გაიყიდება ჩვეულებრივი წესით ნ. 89 4—2

სახელმწ. ოპერა

დღეს, 13 იანვარს	ოთხშაბათს. 14 იანვარს	ხუთშაბათს, 15 იანვარს
მე-7 აბონემ. მე-7 წარმ. ა. ა დროზდოვის მონაწ. ტოსკა	I აბონემ. მე 8 წარმ. ევგენი ონეგინი	მე-10 აბონ. მე-6 წარმოდ. წითელი ყაყაჩო

წარმოდგენა იწყება საღამოს ზუსტ 7 ს. 30 წ აბონემენტები რომლებიც მორიგ საბონემენტო შესატანა არ გადაიხდიან მათი წარმოდგენის დღის 2 საათამდე, ჰკარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას. მათი ადგილები გაიყიდება საერთო წესით. ნ. 112

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო
1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.

სპარტაკი საღამოს სეანსები
1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.

სპარტაკი დღის სეანსები
I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.

საზამთრო დარბაზი
1 სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30.

მე-2 კვირაა მიდის მხატვრული სურათი
წმ. იორგენის დღესასწაული
სტრელკოვას, ი. ილინსკის და კტოროვის მონაწილეობით

მხატვრული ფილმი
ზ ა რ ე
რეჟისორი ა. ბეკნაზაროვი, მარია ტენაზის მონაწილეობით.

ლ. გეტაევი, სანოვი, თინა მაჭავარიანი
მხატვრულ სურათში **ზელიმ-ხანი** 0—6

კინო პალასი
1-ლი სეანსის დასაწ. 6—30

მეორე კვირა
საუკეთესო მხატვრული ფილმი
მიწა
რეჟ. ალ. დოვჟენკო

რ. ლიუქს
სახ. კინო
1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.

ახალი მხატვრული ფილმი
ცისფერი წავი
სცენარი ს. გოგატიროვის

20 იანვარს ანდეზიტის სამუშაოებზე სოფელ არშას მახლობლად ყაზბეგის რაიონში (საქართველოს სამხედრო გზა) „ვზრივსელპრომ"-ის ამიერ-კავკასიის განყოფილება ააფეთქებს საბჭოთა ამიერ-კავკასიაში პირველს

ბუმბერაზულ ნაღმს
22 ტონა ამონალის შემადგენლობით

დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთაც სურთ აფეთქებაზე დასასწრებლად გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები, უკანასკნელთა ბინით უზრუნველყოფის მიზნით არა უგვიანეს 15 იანვრისა უნდა შეუთანხმდენ თავიანთი წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ „ზაკგორნოხიმტრესტს", თბილისი. პუშკინის ქ. № 3.

„ზაკგორნოხიმტრესტ"-ის მმართველი ნ. მ. ჭელიძე

ინვალიდთა კოოპერატიული არტელი „პროგრესი"

საქ. სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის ქსელიდან გამოიყო და გაერთიანდა —

„ტეხნო-ქიმ-ტრესტთან",

რომელიც შედის საქართველოს „სარეწკოოპკავშირის" სისტემაში.

ვისაც რამე საქმე ჰქონდა არტელ „პროგრესთან", ამიერიდან უნდა მიმართონ — „ტეხნო-ქიმ-ტრესტს", რომელიც მოთავსებულია კამოს ქუჩაზე № 10.

სოც-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი გ. ხარაულიძე
ნ. 111.

თბ. მუშკოოპის კადრების სექცია

აცხადებს, რომ კოოპერატიულ მოწაფეობის სკოლასთან (საშუალო სასწავლებლის უფლებით)

გაიხსნება

საანგარიშო-საფინანსო განყოფილება

სწავლების ვადა—2 ნახ. წელი.

მსმენელებათ მიიღებიან შვიდწლედ დამთავრებულნი არა უმეტეს 16 წლისა. მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

განცხადებები სათანადო საბუთებით (წლოვანობის, სოციალურ წარმოშობის, განათლების და ჯანმრთელობის შესახებ) მიიღება მუშკოოპის კადრების სექციაში ამხ. ი. პეტრიაშვილის მიერ ყოველ დღე 20 იანვრამდე დილის 10—12 საათამდე.

ნ. 105 მუშკოოპის კადრების სექცია.

გაზეთის მემაქეების ყველა ტიპის სემინარებში მეცადინეობა იწარმოებს

დეკადის წყვილ რიცხვებში (მესამე მეცადინეობა დაიწყება 14 იანვარს, დილის 9 საათზე, ა/კ. კომუნისტური უნივერსიტეტის შენობაში, მესამე სართ., აუდიტორია 68, 69)

სემინარებზე ყველა ჩაწერილები უნდა გამოცხადდენ წესიერად და დაუგვიანებლად.

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— პარტბილეთი № 3928—ვლადიმერ ლუკაშვილის სახელზე. 286
— კოოპერატივის წიგნაკი № 2190—სოკრატი უოუზაძის სახ. 243
— კავშირის წიგნაკი № 0196673—სიმონ იაკობიძის სახ. 243
— კავშირის წიგნაკი № 346431—ალექსანდრე ხაბსიშვილის სახ. 243
— კავშირის წიგნაკი № 3074 —ალექსი ბეგიაშვილის სახ. 243
— პირადობის მოწმობა № 22 ა, „ზაკტაოს" წიგნაკი № 32667, წლიური ბილეთი № 000471 და სამსახურის ერთდროული ბილეთი—ელიაზარ კამკამაძის სახ. 243
— საჯერო წიგნაკი № 6—გიორგი სეხნიას ძე ფოჩხიძის სახ. 243
— კოოპერატივის წიგნაკი № 19—მარიამ კვირიკაშვილის სახ. 243
— კოოპერატივის წიგნაკი № 362—იაკობ სალინაძის სახ. 243
— პირადობის მოწმობა № 3 5, მე-2 ცეცხლმსროლელ რაზმის მიერ გაცემული მოწმობა № 1555, კავშირის წიგნაკი და სახელოსნო პატენტი—ვასო თუშიშვილის სახ. 243
— პირადობის მოწმობა № 31—ივანე სიმონის ძე გაჩეჩილაძის სახ. 242
— კოოპერატივის წიგნაკი № 1417—ონოფრე ციბაძის სახ. 242
— კავშირის წიგნაკი № 114976—დომნა ჯიქიას სახ. 242
— კავშირის წიგნაკი—დარიკო ასაბაშვილის სახ. 242
— 9 წლედის დამთავრების მოწმობა № 237—თეოფანე რომან იხის ძე გვაზავას სახ. 242
— შინდისის კოოპერატივის წიგნაკი—მარიამ შეროზაშვილის სახ. 275
— შინდისის კოოპერატივის წიგნაკი—გიორგი შეროზაშვილის სახ. 276
— პარტბილეთი № 08951-09—შალვა კაციტაძის სახ. 282
— მუშკოოპის წიგნაკი № 94680—ნადია კომახიძის სახ. 271
— პურის წიგნაკი—გიორგი ხანგურაშვილის სახ. 270
— პურის წიგნაკი № 412—არტემ ალიბეგაშვილის სახ. 268

ექიმი ქალი
თ. ს. ორკოდაშვილი-უშვერიძე
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს საღამოს 5-დან 7 საათამდე. მისამართი მოსკოვის ქუჩა № 13.

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ, ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5 8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს საღამოს 6—7 ს. კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყ. დილის 8 9 საათ და საღ. 6 7 ნახ საათ მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყ. დიდი თავრიის ქუჩა). 25 1

კ. ს. ფიხ-ირტელი
სპეც. საშარდე და სასქესო ორგანოების (სქესობრივი სისუსტე), სიფილისის, კანის ავადმყოფობის, ვენერიულის (რიპტერი) და ქირურგ. ავადმყ. (სიმსივნე, ბუასილი). ავადმყოფების მიღება დილის 9—12 და საღ. 5—8 საათზე. პლეხანოვის პრ. № 10, ვორონცოვის მახლობლად. 13—8

ექიმი
ს. ანდრეევისა
განაახლა ავადმყოფების მიღება ჯირკვლების და ძვლების ტუბერკულოსი. მკურნალობა ხელოვნური მზის სხივებით (კვარც-ტერაპია).
ავადმყოფებს ღებულობს 5—7 ს. ელ. აქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29 ყოფ. ვერის ხიდთან. 25—1

უახლოესი მეგობარი ლადო აბაშიძე იუწყება საუკეთესო მეგობრის და თანამშრომლის, სამსახურისათვის თავდადებულ დაწინაურებულ მუშის ბოსტანის სახელობ. ქარხნის დირექტორის
კალენიკე (კალე) კვაჭანტირაძის
ტრაგიკულად დაღუპვას. 310

დამწუხრებული მშობლები: მამა პავლე, დედა ნატაშა, ძმები: ილია და მიშა, დები: სონია, ნინა, ანიკა და თამარა, სიძე ფიადორ შვილებით იუწყებიან დაუვიწყარი
ბენია პავლეს ძე შარაშიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება რეკ. მთავარ საავადმყოფოდან დღეს. 4 საათზე, ვერის სასაფლაოზე. 308

დამწუხრებული მამა გიორგი, დედა იუსტინე, ძმა მიშა, დები: ეკატერინე, ლოლა და დარეჯანი გორგილაძეები იუწყებიან
შურა გორგილაძის
გარდაცვალებას. დასაფლავება ნატანებში, დღეს, 3 საათზე. ნ. 10[illegible]

რკინის გზის მე-9 საფაბრიკო-საქარხანო შვიდწლედის პედაგოგიური საბჭო მთელის შემადგენლობით გულწრფელ მწუხარებას გამოთქვამს ძვირფასი ამხანაგის ელენე ხევსურიანის მამის
იოსებ ხევსურიანის
გარდაცვალების გამო. 3.8



თბილ. სახელმ. ცირკი

დღეს და ყოველდღე ახალი პროგრამა
მსოფლიო საბჭოთა ატრაქციონის გასტროლები. ხარეკორდო ტრიუკები ეიფელის კოშკის გარშემო მფრინავ აეროპლანებზე, მსოფლიოში ცნობილ უშიშარ სამ
ედერ-ზერეტისა
და მრავალი სხვ ატრაქციონი დასაწ. საღ 8 საათ. ნ. 96

საქართვ. წითელი ჯვრის
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)
საავადმყოფო და პოლიკლინიკა
კამოს ქ. № 54. ხანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17.

განყოფილებები:

ქირურგიული:	გამგე პროფ. ალ. მაჭავარიანი.
თერაპევტიული	გამგე პროფ. ა. ალადაშვილი.
სამეანო გინეკოლოგიური	გამგე პროფ. მ. მგალობელი.
ყურის, ყელის და ცხვირის	გამგე პროფ. ასპისოვი
თვალის	გამგე პროფ. ვ. მუსხელიშვილი.
რენტგენის	გამგე ექიმი გ. ნაზარიშვილი
ლაბორატორიის:	გამგე ექიმი ხათრიძე ექიმი ფალიაშვილი

მიიღება ყოველგვარი ანალიზები, ხეროლოგიური და ბაქტერიოლოგიური, ვასერმანის რეაქცია და სხვ. დილით 9 - 1 საათამდე.

პოლიკლინიკა:
კამოს ქ. № 54, ტელ. 2—99
ქვემოთ აღნიშნულ კაბინეტებში კონსულტანტები იგივე პროფესორებია.

კაბინეტები:
თერაპევტიული, ღებულობენ:
პროფ. ალადაშვილი ორშაბათი, პარასკევი—11—1 ს.
პროფ. წინამძღვრიშვილი სამშაბ. ხუთშაბ.—2—3 ს.
პროფ. შ. მიქელაძე ოთხშაბათი, პარასკევი—2—3 ს.
ექიმი ვოროზბიოვი შინაგანი სპეც. ტუბერკულოზი ყოველ-დღე—1—2 ს.
ექ. ელენტი და ექ. პირაჭკოვი ყოველ დღე—11—1 ს.
ექ. მჭედლიშვილი ყოველ-დღე შინაგანი. სპეც. კუჭ ნაწლავ.—3—4 ს.
ქირურგიული: ღებულობენ პროფ. მუხაძე სამშ., შაბათი 2—4 ს.
პროფ. ა. მაჭავარიანი ოთხშაბათი, კვირა 11—1 ს.
ექ. ოგანოვი ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკ. 1—3 ს.
იგივე სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი 4—6 ს.
ექ. ნ. დემეტრაძე და ექ. ოთხმეზური ყოველ დღე 11—1 ს.
ექ. თოდაძე —სპეც. უროლოგია ყოველდღე 3 4 ს.
სამეანო-გინეკოლოგიური
პროფ. მგალობელი ყოველდღე 11—12 ს
პროფ. თიკანაძე სამშაბ., ხუთშაბ, შაბათი 2 ნახ.—4 ს
პროფ. ზ. ლამბარაშვილი ღებულობს ავადმყოფებს კვირაში ორჯერ სამშაბ. და შაბათ.—1—2 ს.
ექიმი. თუმანოვი სამშაბათი, ხუთშაბ., შაბათი 4—6 ს.
ექიმი შუშანია ყოველ დღე 2 ნახ. 2 ნახ. ს.
ექიმები კ. საჯაია, ა. უსტიაშვილი, ა. ახვლედიანი და რ. კვირიკაძე ყოველ დღე 11—1 ს.
ყელ-ყურის განყოფ. გამგე
პროფ. ასპისოვი. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკევი 3—4 ს.
ექიმი ჯაფარიძე ყოველ დღე 9—11 ს.
ექიმი თევზაძე ყოველ დღე 11—1 ს.
თვალის განყოფილების გამგე
პროფ. მუსხელიშვილი ხუთშაბათი, კვირა 12 1 ს.
ექიმი ახარულიძე ყოველ დღე 2—3 ს.
ნერვიულ-სნეულებათა
პროფ. ყიფშიძე ორშაბ., ოთხშაბ., პარასკევი 2—3 ს.
ბავშვთა ავადმყოფობის ექიმი ნანეიშვილი ყოველ დღე 3—4 ს.
ვენეროლოგიური ექ. ჯავროვი სამშაბ., ხუთშაბ., შაბათი 1—3 ს.
ექ. თოფურიძე ორშაბათი, ოთხშაბ., პარასკევი 1—3 ს.
კბილის სნეულებათა ექ. ტოტვენი ყოველდღე 12 ნახ.—3 ნახ. ს.

პოლიკლინიკასთან გახსნილია ფიზიო-თერაპევტიული კაბინეტი—სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.

პოლიკლინიკაში ავადმყოფები იხდიან:
დაზღვეულები 1 მან.
დანარჩენები 2 მან.

სტაციონალური მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება საავადმყოფოს კანცელარიაში.

ავადმყოფების ჩაწერა პოლიკლინიკაში სწარმოებს დილ. 9 ს. რენტგენის განყოფილებაში მუშაობა სწარმოებს ყოველდღე, გარდა კვირისა (ტეხნიკური დღე) 4—9 საათამდე. 0-8 ნ. 1747

დამწუხრებული მეუღლე თეო, შვილი სოსო, რძალი ეკატერინე, შვილიშვილები მერი, თინა, ნელი, კოკი უზნაძეები იუწყებიან ძვირფასი
კონსტანტინე ბესარიონის ძე უზნაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 13 იანვარს, 4-ნახ საათზე კახეთის ქ. № 10, ავლაბრის სასაფლაოზე. 302

შვილი ვიქტორ, რძალი ნინო, შვილიშვილები ირა, დოდო უზნაძეები აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობთ, რომ 8 იანვარს თბილისში გარდაიცვალა ძვირფასი
კონსტანტინე ბესარიონის ძე უზნაძე
302

რძალი ანა, ძმისშვილები: ვანო, ლუბა, პაველ, დიტო და ნიკოლოზ უზნაძეები ცოლშვილით იუწყებიან
კონსტანტინე ბესარიონის-ძე უზნაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 13 იანვარს, 4 ნახ. საათზე 311

საქართ. პედ. ინსტიტ. მელიქიშვილის სახელობის ქიმ. ლაბორატორიის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე ლაბორატორიის თანამშრომლის დოცენტ ვალიამ უზნაძის მამის
კონსტანტინე ბესარიონის-ძე უზნაძის
გარდაცვალების გამო. გამოსვენება კახეთის ქ. № 10, დღეს, 5 ს. 317

ალვასი და ნიკოლოზ კიკნაძეები აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობთ, რომ თბილისში გარდაიცვალა პირველის საყვარელი მამა, მეორის სიმამრი და დაუვიწყარი მეგობარი
კონსტანტინე ბესარიონის-ძე უზნაძე
307

სარა, აბო, ლევიკო საყვარელიძეები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისში ძვირფასი პირველის მამა, მეორის სიმამრი, მესამის ბაბუა
კონსტანტინე ბესარიონის-ძე უზნაძე
302

ვალიამ კონსტანტინეს ძე და ნადეჟდა სერგოს ასული უზნაძეები იუწყებიან მათთვის ძვირფასი და საყვარელი მამის
კონსტანტინე ბესარიონის ძე უზნაძის
დაკარგვას. 302

დამწუხრებულნი: ბაბილინა შვილებით: ქეთევან მიქაძისა, მიხეილ, დავით, გიორგი და ალიოშა მაჭავარიანები ოჯახებით აუწყებენ ნათესავ ნაცნობთ მათთვის უსაყვარლესი პირველის მამის და დანარჩენის ბაბუის
კონსტანტინე ბესარიონის ძე უზნაძის
გარდაცვალებას გამოსვენება კახეთის ქ. № 10. 302

დამწუხრებულნი: ნინო, ბარიტონი, დონია, ელენე, მარიამ ფაჩულიები, გრიგოლ ლორთქიფანიძე და ნიკოლოზ ჯაძდიერი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძვირფასი პირველის მამა, მეორის სიმამრი, დანარჩენების ბაბუა
კონსტანტინე ბესარიონის ძე უზნაძე
დასაფლავება თბილისში 13 იანვარს, 4 ნახ საათზე. 302

მოლითის განათლების მუშაკთა ადგილკომი იუწყება, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა განათლების ადგილკომის წევრი მასწავლებელი
ამხ. ვალერიან სინოს-ძე ჭუჭიძე
გამოსვენება 13 იანვარს, 2 საათზე. (დეპ.)

დამწუხრებული უახლოესი ამხანაგები: მიხეილ, ვერა მჭედლიძეები, ისიდორე ხელაძე, თეოფილე ჭყონიძეები, გიორგი ლომაძე, მირიამ დოლიძე, ნინა, შალიკო კიკნაძეები, გრიგოლ გოგნაძე, ვერა ტყლაბაძე იუწყებიან
ვალერიან სინოს-ძე ჭუჭიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, სოფელ ქვეშში. ნ. 199

დამწუხრებული ცოლი მართა, შვილები: ქეთევანი და ელენე, დედა სალომე, ძმები: ვლადიმერი და ვალია, რძლები: ლოლისი და მარო ყორღოლიანები იუწყებიან
ივანე გიორგის-ძე ყორღოლიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 იანვარს, 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება შერემეტიევის ქუჩა № 5ა. 313

სამუდამოდ დამწუხრებულნი: გიორგი და ოლღა ყორღოლიანები დასტირიან ძვირფას და დაუვიწყარ ბიძას
ივანე-ყორღოლიანს
დაკრძალვა ოთხშაბათს, 14 იანვარს, 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე, შერემეტიევის ქ. № 5ა. 313

10 იანვარს გარდაიცვალა საყვარელი
თამარა (შოშია) ალექსანდრეს ას. ეჯიბია
რასაც ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობებს თავზარდაცემულნი დედა თეოლინა, და გუგუ ქვანიასი პატარა კუკურით, სიძე ნიკო ქვანია დით ტატიკოთი, სიძეები: საშა და კიკიტუშა, დეიდები: გალინა ბოკერიასი დზბაბალა ბოკერია და ფატუ მაჭავარიანისა შვილებით და ვიაჩესლავ ბოკერია დასაფლავება 13 იანვარს, 4 ს. ქ. ახალ-სენაკში. (დეპ.)

ღრმად დამწუხრებულნი: ისიდორე, მართა, პაშა, ალექსანდრე, ოლღა, გრიშა, ივანე, თამარა, ბაბუცა, ქეთო და ლეილა ხაინდრავები აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ბიძა
დავით ივანეს-ძე დალაქიშვილი
დასაფლავება მოხდა ქ. ხონში, კვირას, 11 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე. 304

ჩხოროწყუს პარტრაიკომი, აღმასრულებელი კომიტეტი, ადმინისტრატიული განყოფილება თანამშრომლებით იუწყებიან მებრძოლი ბოლშევიკის მილიციის აქტიური თანამშრომლის
მდივანი თემკვას-ძე ჯალაღონიას
გარდაცვალებას. დასაფლავება, მოხდა სოფ. კირცხში 12 იანვარს. ნ. 113

გულმოკლული დედა თამარ, მამა ნიკოლოზ, ბებიები: დარიკო, ვაროდო, ბაბუა იასონ, მამიდები: ბაბულია და გოგოლა, ბიძიები: მიხაკო, გიორგი, სიმონ იუწყებიან, რომ 11 იანვარს გარდაიცვალა
პატარა თენგული (თენგიზ) შავიშვილი
სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, გრიბოედოვის 25. გამოსვენება 14 იანვარს, 4 ნახ. საათზე. 309

ესტატე და ბარბარე მირიანაშვილები, ნინო იმერლიშვილი, დავითი და შალვა მირიანაშვილები ცოლშვილით იუწყებიან, რომ 11 იანვარს, გარდაიცვალა საყვარელი პირველთა შვილისშვილი, უკანასკნელების— დისწული
პატარა თენგული შავიშვილი 312

ტოგო და მანიკო შავიშვილები ლამარიკოთი გულმოკლული იუწყებიან მათ საყვარელ ბიძაშვილ კოლია შავიშვილის ერთად-ერთ პაწია
თენგიზის
უდროოდ დაკარგვას. 310

მე 2 მსროლელთა ქართულ დივიზიის სამმართველოს უფროსთა და წითელ არმიელთა შემადგენლობა მწუხარებით იუწყებიან დივიზიის შტაბის მე-6 განყოფილების უფროსის ნიკოლოზ შავიშვილის საყვარელ ვაჟის
თენგიზის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, გამოსვენება 14 იანვარს, 4 ნახ. საათზე, გრიბოედოვის ქ. № 25. 3 6

სამუდამოდ გულმოკლული დედა მაშიკო, ცოლი ლიუბა ბელობოროდოვა, რძალი მერი, და ლევა-დანელიები იუწყებიან, რომ 13 იანვარს, მოსკოვში დონის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უძვირფასესი და საყვარელი
შალიკო დიმიტრის-ძე დანელიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 306

დამწუხრებული და ნადია, სიძე გრიგოლ გველესიანი შვილებით იუწყებიან, რომ 13 იანვარს, მოსკოვში დონის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი
შალვა დიმიტრის-ძე დანელიას
ხსოვნის აღსანიშნავად 306

ძმა კოლია დანელია მეუღლით მერი ანჯაფარიძეთი იუწყება, რომ 13 იანვარს, მოსკოვში დონის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი
შალვა დიმიტრის-ძე დანელიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 306

სო. საქ. ცაკის თანამშრომლები იუწყებიან, რომ ა. წ. 13 იანვარს, ქ. მოსკოვში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი ს. ს. ცაკის ყოფ. თანამშრომლის
შალვა დანელიას
გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. (ნ.)

გულმოკლული მშობლები: ოლია და გიორგი, დები: მარო, ნინიკო და ვარვარა, ძმები: ვასო და ლადო და დეიდაშვილი თამრიკო მაჭავარიანი ცხარე ცრემლებით და სტირით
ნინიკო ჩანტლაძის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ქალ. ზესტაფონში, 13 იანვარს, საღამოს 4 საათზე. 315

უახლოესი მეგობრები: გულნარა ორჯონიკიძე, თინა ურიდია, ქეთო საყვარელიძე, თინა ბარბაქაძე, ქეთო ბაღდავაძე, ნუნუ მამულაიშვილი, თამარ კვანტრიშვილი, ელენა ჩაჩიძე, თამარა თავაძე, ნელი გაჩეჩილაძე, ელენა ოგანოვი, და ლიდა ბარბაქაძე დასტირით
ელენა (ნინიკო) ჩანტლაძის
დაკარგვას. ნ. 10[illegible]

უახლოესი მეგობრები: ლენა რიგლაშვილი, დინო ჩხიკვაძე, ნინო ქორბერიძე, საჟურა ვარდოსანიძე, მარო არაბიძე, მარო მგელაძე, თინა კვანტრიშვილი, დარეჯან გ ცაძე, მიტუშა მიქაბერიძე, ელენა კიკნაძე, ლუბა კვირიკაშვილი იუწყებიან ძვირფასი
ელენა გიორგის ასულ ჩანტლაძის
დაკარგვას ნ. 106

ვასო ჩანტლაძის უახლოესი მეგობრები: იესე ყიფშიძე და შალვა ვარდიგოროლი, გამოსთქვამენ ღრმეს მწუხარებას ვასოს დის
ნინიკო გიორგის ას. ჩანტლაძის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა დღეს, ქ. ზესტაფონში. 315

დამწუხრებულნი შვილები: იოსა, კოლია, ვასო; რძლები: ანეტა, დონა, მ...ხია; შვილიშვილები: ელიკო, კონსტა, საშა, მაშუკი, გიგა, ტიტიკო, გუგული, აჩიკო, კოკი, ქეთო და კოსტია ბუკიები იუწყებიან დაუვიწყარ
ელისაბედ იოსების ას. ბუკიას
გარდაცვალებას დასაფლავება ქ. ზუგდიდში, 13 იანვარს. 305

მიშა ბერიშვილი მეუღლე ვალენტინათი და ცოლის ძმები: კლიმენტი და სერაპიონი გაბრონის-ძე ბუკიები იუწყებიან ძვირფას და საყვარელ ბიცოლას
ელისაბედ ბუკიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზუგდიდში 307

დამწუხრებულნი ქმარი ექვთიმე, შვილები: გალაქტიონი და ნინო, რძალი ელისაბედი, შვილიშვილი კოლია ჩახხიანები და სიძე შალიკო ყიფიანი იუწყებიან
ქეთევან სოლომონის ას. ჩახხიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 ნახ. საათზე, ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან (ყოფ. ალექსანდროვის). დაკრძალვა ვერის ზედა სასაფლაოზე. 314

სალომე შვილებით: ქსენია, შალვა, თეოფანე და მოთა ჯანჯღავები მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ნათესავის
თამარა (შოშია) ალექსანდრეს ასულ ეჯიბიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა, დღეს, ახალსენაკში. ნ. 107

ტირაჟი — 69.329

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68,

მთავლიტი № 904